ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ანა ბენდიანიშვილი

სტალინი და ქართული ნაციონალიზმი 1930–50–იან წლებში

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ–პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

სტალინი და ქართული ნაციონალიზმი 1930–50–იან წლებში

სამაგისტრო ნაშრომი სტალინის კულტის ჩამოყალიბებას ეხება, რომელიც 1930–იანი წლებიდან შეიმჩნევა და რომელიც ქართული ნაციონალიზმის ნაწილი გახდა 1950–იან წლებში.

თემა აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც არ არის სიღრმისეულად შესწავლილი ეს საკითხი: თუ რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი 1930–იან–50–იან წლებში.

კვლევის მიზანია სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ავხსნა თუ რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის ნაწილი და რატომ იქცა სტალინი, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი–სახელმწიფოებრიობა დაუკარგა ქართველებს, ადამიანად, რომლის სახელის დაცვის გამოც ქართველებმა სიცოცხლე გაწირეს.

კვლევის ჰიპოთეზების თანახმად, სტალინი ქართული ნაციონალიზმის ნაწილი გახდა 2 მიზეზის გამო, ესენია: საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, როგორც პროპაგანდის წარმოების საშუალება.

სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა კვლევის თვისებრივ მეთოდს, საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ოფიციალურ დოკუმენტებზე და მოგონებებზე და ინტერვიუებზე დაყრდნობით.

თეორიად კი გამოყენებული იქნება მოდერნიზმის პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორია, ერიკ ჰობსბაუმის „ტრადიციის გამოგონება“ და ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია.

Abstract

Stalin and Georgian nationalism in the 1930s-50s

This paper is about the establishment of Stalin's cult, which has been observed since 1930s and became a part of Georgian nationalism in 1950s.

The item is actual, because this theme is not deeply examined: Why did Stalin become an integral part of Georgian nationalism in the 1930s and 1950s.

The aim of the research is to explain why did Stalin become the part of Georgian nationalism and why did Georgians sacrifice their lives for person, who took part in loosing statehood, Research based on the different official documents and memoires and interviews.

According to research hypotheses, Stalin became the part of Georgian nationalism for two reasons: soviet national policy and the victory in World War 2 as a source of propaganda.

Master's thesis is based on the official documents and memoires and use qualitative research and in-depth study of the issue.

The research seeks to examine one direction of modernism theory-political transformation theory, in particular Eric Hobsbawm's theory-"the invention of tradition" and second-Hana Arendt's theory of totalitarianism.

სარჩევი

ანოტაცია 2

Abstract 3

შესავალი 5

1 .თეორიული ნაწილი 8

1.1 ლიტერატურის მიმოხილვა 8

1.2 მეთოდოლოგია 12

1.3 თეორიული ჩარჩო 13

2. ისტორიული მიმოხილვა 15

3. სტალინი და საქართველო 19

3.1 სტალინის წვლილი საქართველოსთვის 19

3.2 სტალინი და რეპრესიები 27

3.3 სტალინის კულტი საქართველოში 35

4. ომში გამარჯვებული სტალინი 39

5. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა 46

5.1 კინო 51

5.2 თეატრი 56

5.3 ლიტერატურა 58

5.4 პრესა 64

5.5 განათლება 70

6. 1956წ 9 მარტი 76

7. დასკვნა 89

გამოყენებული ლიტერატურა: 91

დანართი 98

შესავალი

1956 წლის 9 მარტს, როდესაც უამრავი ადამიანი გამოვიდა სტალინის კულტის დაგმობის წინააღმდეგ, იყო პირველი თარიღი საქართველოს საბჭოთა ისტორიაში, როდესაც ქართველი ხალხი დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს. ეს დღე იყო ქართული ნაციონალიზმის გამოვლინების დღე, როდესაც ქართველები იცავდნენ სტალინის სახელს. ადამიანის, რომელმაც სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა წაართვა ქართველ ხალხს და საქართველოს, ადამიანის, რომელმაც 1937 წელს გაანადგურა და გადაასახლა ქართველი ინტელიგენცია, დააპატიმრა და დახვრიტა ყველა, ვინც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ადამიანის, რომელმაც გაწირა 1924 წელს აჯანყებულები და უამრავი ქართველი იმსხვერპლა „სამამულო ომში“. დღევანდელ დღეს არსებული ინფორმაციის მიხედვით არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც ქართველებს სტალინის კულტის დაგმობა უნდა გაეიგივებინათ ეროვნულ შეურაცხყოფასთან, თუმცა ასე მოხდა. ჩემი კვლევის მიზანი სწორედ იმის გაანალიზებაა თუ რატომ და როგორ ჩამოყალიბდა სტალინის კულტი და რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის ნაწილი. ჩემი კვლევა კი იმით განსხვავდება სხვა არსებული კვლევებისგან, რომ მაქვს მცდელობა ვიპოვო კავშირი 1956 წლის 9 მარტსა და 1930–იანი წლებიდან სტალინის კულტის შექმნის პროცესთან, ვეცდები დავადგინო რატომ გახდა ქართველებისთვის სტალინი მათი ეროვნულობის ნაწილი და რატომ გამოვიდნენ მის დასაცავად.

პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ უამრავი უდანაშაულო ქართველი შეეწირა სტალინის რეპრესიებს, ყველაზე მთავარი–დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა დაუკარგა ქართველებს, არამარტო 1956 წლის 9 მარტს, არამედ დღესაც არსებობენ ადამიანები და მათი რაოდენობა არც ისე მცირეა, ვინც სტალინის სახელს განადიდებს და საქართველოს სიამაყედ მიიჩნევს.

ერთგვარ პარადოქსთან გვაქვს საქმე: ადამიანი, რომელმაც ბევრი ცუდი რამ გაუკეთა საქართველოს და ქართველ ხალხს, გახდა მიზეზი იმისა, რომ უამრავი ქართველი გამოსულიყო მის დასაცავად, გაეპროტესტებინათ სტალინის კულტის დაგმობა.

საინტერესოა ამ საკითხის კვლევა, რამ განაპირობა სტალინის გმირად ქცევა და **რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სტალინის ქართული ნაციონალიზმის ნაწილად ქცევას 1930–50–იან წლებში? ჰიპოთეზა კი შემდეგია: საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ განაპირობა სტალინის ქართული ნაციონალიზმის ნაწილად ქცევა.**

შესაბამისად **დამოუკიდებელი ცვლადები** იქნება საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, **დამოკიდებული ცვლადი** კი იქნება სტალინის ქართული ნაციონალიზმის ნაწილად ქცევა.

კვლევის მიზანია, სხვადასხვა ემპირიული მასალების, ამ პერიოდში არსებული ოფიციალური დოკუმენტების, თვითმხილველთა მოგონებების გაანალიზების საფუძველზე, ინტერვიუების საფუძველზე აიხსნას, თუ რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის ნაწილი იმ დროს, როცა ამის საფუძველი არ არსებობდა.

სტალინი, რომელიც როგორც დოკუმენტები ადასტურებს, უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელმაც 1937 წელს გაანადგურა ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ქმნიდა ისტორიას, კულტურას და არ აძლევდა ხალხს თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალებას, გახდა ფართომასშტაბიანი გამოსვლების მიზეზი საქართველოში, სადაც ხალხი თავს სწირავდა მისი სახელის დასაცავად.

სტალინის ქართული ნაციონალიზმის ნაწილად ქცევას ჰქონდა წინაპირობები. ამის გასარკვევად საჭიროა შევისწავლოთ 1930 წლიდან (თუმცა ასევე საჭიროა წინა პერიოდის კვლევა), როცა სტალინი ერთპიროვნული მმართველი გახდა, 1956 წლამდე პერიოდი. აუცილებელია გავიაზროთ, თუ როგორ შეიცვალა სტალინის მიმართ დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რას გულისხმობდა საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, რამაც, ჩემი აზრით, განაპირობა სტალინის გმირად ქცევა ქართველებისთვის და რამაც გახადა სტალინი ქართული ნაციონალიზმის ნაწილი.

2006 წელს დაბეჭდილ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ ვხვდებით სტატიას სათაურით– „ვეტერანები მოვითხოვთ, რომ სანაპიროზე ძეგლი აღდგეს“, იგულისხმება სტალინის ძეგლი. სტატიის ავტორი არის ომის ვეტერანი, რომელიც 1956 წლის 9 მარტის გამოსვლებში მონაწილეობდა და აქტიურად იცავდა სტალინის სახელს. იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის და ალბათ სხვა ვეტერანებისთვისაც ეს ძეგლი, რომ მზად არიან საკუთარი თანხებით დააფინანსონ ძეგლის აღდგენა. (კვეზერელი, 2006, 5)

2012 წელს კარნეგის ფონდის დაკვეთით ჩატარდა კვლევა სტალინისადმი დამოკიდებულების დასადგენად სამხრეთ კავკასიასა და რუსეთში, აღმოჩნდა, რომ საქართველოში სტალინის მომხრეები ყველაზე ბევრნი არიან. გამოკითხულთა 45% სტალინის მომხრეა. საქართველოში თვლიან რომ მისი უდიდესი დამსახურება მეორე მსოფლიო ომის მოგება იყო, მისდამი გრძნობენ პატივისცემას, თუმცა ამავე დროს მას სასტიკ ტირანად მიიჩნევენ. (ვაალი, 2013, 19–27) ეს კვლევა ადასტურებს რომ დღემდე სტალინის პიროვნებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ არსებობს და იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხი სიღრმისეულად არ არის შესწავლილი, გადავწყვიტე დეტალურად გამეანალიზებინა აღნიშნული პერიოდი.

1 .თეორიული ნაწილი

1.1 ლიტერატურის მიმოხილვა

ამ თავში ვეცდები მიმოვიხილო ის არსებული ლიტერატურა, რომელიც ეხება სტალინის კულტის შექმნას. განვიხილავ ავტორთა სხვადასხვა მოსაზრებებს სტალინის კულტის შექმნის მიზეზებთან დაკავშირებით, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ შეინიშნება ზედაპირული მიდგომა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კულტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ძირითადად ჩამოყალიბებულია ავტორების მოსაზრებები, თუმცა არ არის ძლიერი არგუმენტები ამ მოსაზრებების გასამყარებლად.

რაც შეეხება 1956 წლის 9 მარტს, რაც არის ჩემი კვლევის საბოლოო წერტილი, ძირითადი ლიტერატურა 1956 წლის 9 მარტზე–ეს არის მონაწილეთა მოგონებები, სადაც აღწერილია მოვლენები, გამომსვლელები, გამომსვლელთა სიტყვები, თუმცა ნაკლებადაა მოვლენების შეფასება, გაანალიზება ხდება არა იმ ფაქტის, რაც მოხდა, არამედ რატომ მოხდა.

ანიტა ელიზაბეტ ფიშს სადოქტორო ნაშრომში გაანალიზებული აქვს სტალინის კულტი, რომელიც იქმნებოდა პოსტერების მეშვეობით. ფიში ასახელებს პროპაგანდას, როგორც სტალინის კულტის შექმნის საშუალებას, თუმცა პროპაგანდაში განიხილავს მხოლოდ საბჭოთა პოსტერებს, რომელმაც, მისი აზრით, ხელი შეუწყო სტალინის კულტის შექმნას და რომელიც იბეჭდებოდა გაზეთებში, ვრცელდებოდა მედიის საშუალებით, ბანერების სახით. ფიში გამოთქვამს ვარაუდს, რომ იმ დროს არსებული განათლების დაბალი დონის გამო, პროპაგანდის წარმოება უნდა მომხდარიყო მარტივი, გასაგები საშუალებებით, ეს საშუალება კი პოსტერები იყო. (Pisch, 2014)

როგორც ავტორი ქრისთალ დომი აღნიშნავს, პროპაგანდის მიზანი იყო ადამიანებზე მოეხდინათ ფსიქოლოგიური ზეწოლა, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სადაც არ არსებობდა განსხვავებული აზრი, სადაც ადამიანებს არ ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება, პროპაგანდა კარგად მუშაობდა. საზოგადოება იღებდა იმას, რასაც აწვდიდნენ. სტალინის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა პროპაგანდის წარმოება. ამ

დროს ხდებოდა 5 წლიანი გეგმების დასახვა. სტალინი თავად ქმნიდა საკუთარ კულტს, იქმნებოდა პოსტერები, ფოტოები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ სტალინს, როგორც უძლეველ მხედართმავარს, მისი ფოტოები იყო ყველგან, საჯარო ადგილებში, სკოლებში. (Dome)

ალეკ ნოვი, რომელიც 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს საქართველოში აკვირდებოდა, თუმცა მისი კვლევის სფერო საქართველო არ არის ამ შემთხვევაში, სტალინს მიიჩნევს ადამიანად, რომელიც ცდილობდა დაევიწყებინა თავისი ქართული წარმომავლობა და გამხდარიყო რუსი სოციალისტი ლიდერი. მისი ინტერესი კულტურისადმი ეს იყო ნიღაბი, ფსევდო–პატრიოტიზმი, ნოვი თავის წიგნში აანალიზებს თუ რატომ ჩამოყალიბდა სტალინის კულტი არა საქართველოში, არამედ ზოგადად. ერთ–ერთი შესაძლო ვარიანტის მიხედვით, სტალინმა შეძლო ხალხის მობილიზება იდეის გარშემო, ეს იდეა კი იყო დავეწიოთ დასავლეთს. მეორე ვარაუდის მიხედვით, სტალინიზმი ლოგიკური გაგრძელება იყო ლენინიზმის. ავტორის აზრით ლენინმა სტალინი უზრუნველყო იდეოლოგიით, რაც სტალინმა კარგად გამოიყენა დაშინების პოლიტიკის დახმარებით. ასევე ნოვი სტალინის კულტის შექმნას მიაწერს განათლების დაბალ დონეს, რომელიც შეიმჩნეოდა როგორც მოქალაქეებში, ასევე პარტიის წევრებში, ის, კი ვინც განათლების დონით გამოირჩეოდა–ინტელიგენცია დახვრიტა და გადაასახლა, რაც კარგი საშუალება იყო საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად და ხალხის მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მოსარგებად. (Nove, 1992, 100–126)

ავტორთა ჯგუფი იკვლევს ზოგადად, ლიდერების კულტის შექმნის პროცესს კომუნისტურ დიქტატორებში, ერთ–ერთია სტალინის კულტი.

სარა დევისი სტალინის კულტის შექმნის პროცესს 1930–იან წლებს უკავშირებს და აღნიშნავს რომ სტალინი თავად ზრუნავდა საკუთარი კულტის შექმნაზე, რადგან ეს მისთვის საჭირო და აუცილებელი იყო ძალაუფლების შესანარჩუნებლად. (Davies, 2004, 29-47)

ბენო ენკერი სტალინის შექმნის საწყის თარიღად ასახელებს 1929 წელს, სტალინის 50 წლის იუბილეს. სწორედ ამ პერიოდიდან, მისი აზრით, სტალინმა სრული კონტროლი

დაამყარა საბჭოთა მედიაზე. სტალინის კულტი უნდა შექმნილიყო ლიდერის და ხალხის ურთიერთობის შედეგად. ლეგენდები, მითები სტალინზე, რომელსაც ხალხი ქმნიდა, კარგი საშუალება იყო სტალინის კულტის ჩამოსაყალიბებლად. პერსონის გაღმერთების პროცესი მიმდინარეობდა, რაც ახდენდა ხალხის მობილიზებას. ენკერი სტალინის კულტის შექმნას უკავშირებს იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის (კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, ორჯონიკიძე) წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სტალინის პროპაგანდას. სტალინი, ენკერის აზრით, გახდა სიმბოლო ერთიანი საბჭოთა ხალხის. ჩანაფიქრიც სწორედ ასეთი იყო, საჭირო იყო ვინმე ლენინის სახელის გამგრძელებელი, რომელიც გააერთიანებდა საბჭოთა ხალხს ერთი იდეის გარშემო. (Ennker, 2004, 83-102)

როგორც ალან ვუდი აღნიშნავს, სტალინის პერიოდში ხელოვნების ყველა დარგი ემსახურებოდა მათი იდეოლოგიის გავრცელებას, შეიძლება ითქვას, რომ კულტურის სფეროს ნებისმიერი მიმართულება იყო გამავრცელებელი კომუნისტური იდეოლოგიის. მეცნიერების დარგებშიც კი სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა რომ რაიმე გადახვევა არ ყოფილიყო იდეოლოგიიდან, ამავდროულად ისტორია იწერებოდა ისე, როგორც კომუნისტური პარტიისთვის იქნებოდა მოსახერხებელი. აქედან გამომდინარე, სტალინი თავად ზრუნავდა იმაზე რომ კულტურის სფეროს დახმარებით გავრცელებულიყო იდეოლოგია, რაც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ნაწილი იყო. (Wood, 2005, 36)

ქართველი ავტორები მსჯელობენ სტალინის კულტის შექმნის პროცესზე საქართველოში, მათი აზრით, სტალინის კულტი საქართველოში იმიტომ შეიქმნა, რომ ქართველებს მოთხოვნილება ჰქონდათ ჰყოლოდათ უძლეველი ბელადი, რომლის იმედიც ექნებოდათ და რომელიც ყველა მათ პრობლემას გადაჭრიდა, ავტორთა მოსაზრებით საბჭოთა აზროვნებიდან, რაც დღემდე დამახასიათებელია ქართველებისთვის, ეს არის ალტერნატივების არ არსებობა. თითქოს დღესაც, როცა აღარ არის სიტყვის თავისუფლების პრობლემა, ადამიანებს მაინც სურთ ჰყავდეთ ადამიანი, რომელიც მათ მაგივრად გადაჭრის პრობლემებს და თვალდახუჭული ენდობიან მას,

იმის მაგივრად რომ თავად იაზროვნონ და გადაჭრან პრობლემები. (კაჭკაჭიშვილი, ჩიტაშვილი, 2009, 15–27)

რაც შეეხება 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს, უცხოელი ავტორის ანალიზი საინტერესოა თუ რატომ მოხდა ეს მოვლენა. ტიმოთი ბლაუველტი აანალიზებს 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს იმ დროს მოღვაწე თანამდებობის პირების გამოკითხვის საფუძველზე. მისი აზრით, მთავარი მიზეზი მათი პროტესტის იყო ის, რომ ქართველებს სტალინი გაიგივებული ჰყავდათ საქართველოსთან. ასევე, ბლაუველტი აღნიშნავს, რომ სტალინის პერიოდში ქართველები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, მათი ბელადი იყო ქართველი, ამავე დროს ელიტის წარმომადგენლები, ორჯონიკიძე და ბერიაც ქართველები იყვნენ. 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს ბლაუველტი ელიტების მანიპულირების კონტექსტში განიხილავს. ხრუშჩოვის მიერ სტალინის კულტის დაგმობამ, ბლაუველტის აზრით, გამოიწვია ქართული ელიტის შიში, რომ მათ აღარ ექნებოდათ პრივილეგირებული მდგომარეობა და პოზიცია საბჭოთა კავშირში. ბლაუველტის აზრით, გამომსვლელებში ჭარბობდნენ ახალგაზრდები, რომლებიც იყვნენ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შვილები, ასევე პარტიის წარმომადგენლები–ამიტომ ავტორი ვარაუდობს რომ საზოგადოების მობილიზება მოხდა პოლიტიკური ელიტის მიერ, რათა მათ მიეღწიათ საკუთარი მიზნებისთვის. მათ არ სურდათ საქართველოს პოლიტიკური ელიტის როლის შემცირება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, თუმცა თავადვე აღნიშნავს რომ არცერთ დოკუმენტში არ დასტურდება ქართული პოლიტიკური ელიტის მონაწილეობა დემონსტრაციების ორგანიზებასა და მოწყობაში. (Blauvelt, 2009, 651-668)

1.2 მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი მეთოდი, სხვადასხვა მასალებზე, დოკუმენტებზე, ლიტერატურაზე, მოგონებებზე დაყრდნობით მოხდება თემის სიღრმისეული გაანალიზება და შესწავლა. (ზურაბიშვილი, 2006, 5, 48, 61) გამოყენებული იქნება ქეისსთადის მეთოდი, განვიხილავ სტალინის კულტის შექმნას საქართველოში. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი კვლევის პერიოდი მოიცავს 1930იან–1950–იან წლებს და საბოლოო წერტილი–ეს არის 1956 წელი, როცა, ჩემი აზრით, სტალინი იქცა ქართული ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად საქართველოში, ჩემი კვლევაც შესაბამისად მოიცავს საქართველოს. მონაცემებზე, იმ პერიოდის და თანამედროვე ოფიციალურ დოკუმენტებზე, ინტერვიუებზე, მოგონებებზე დაყრდნობით, რაც პირველწყაროს წარმოადგენს, შესწავლილი იქნება საკითხი.

მოხდება თეორიის ტესტირება. თეორია, რომელიც ნაშრომში იქნება გამოყენებული–ეს არის მოდერნიზმის თეორიის ერთ–ერთი მიმართულება–პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორია და მისი ერთ–ერთი ავტორის ერიკ ჰობსბაუმის „ტრადიციის გამოგონება“, რომლის მიხედვითაც ძირითადად პოლიტიკური ელიტის მიერ ხდება ძველი ტრადიციის განახლება, ან ახლის შექმნა ხალხის მობილიზებისთვის. სტალინიზმი და სტალინის კულტიც, ჩემი აზრით, ეს იყო ტრადიციის გამოგონება პოლიტიკური ელიტის მიერ. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომში მოხდება თეორიის ტესტირება. მეორე თეორია, რომლითაც ვცდილობ ავხსნა ჩემი ჰიპოთეზები, ეს არის ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია, რომლის მიხედვითაც, რეჟიმი ხალხს მართვადს ხდის და ადვილია მათი მობილიზება ერთი იდეის გარშემო. თუმცა, ეს რეჟიმი, ჩემი აზრით, იყო დამხმარე საშუალება ამ პოლიტიკის განხორციელების. (Blattacherjee, 2012, 92-93)

1.3 თეორიული ჩარჩო

ჩემი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იქნება მოდერნიზმის პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორია. მისი ერთ–ერთი ავტორის ერიკ ჰობსბაუმის თეორია „ტრადიციის გამოგონება“. ტრადიციის გამოგონებაში ჰობსბაუმი 2 გზას გამოყოფს. პირველი–ეს არის ძველი ტრადიციების მორგებას ახალ რეალობასთან ან ახალი ტრადიციების გამოგონება საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის. შესაძლებელია, ძველი ტრადიციების გარდაქმნა, ცვლილებების შეტანა ახალი ტრადიციების შესაქმნელად. ამ ტრადიციების გამოგონებას რამდენიმე მიზანი აქვს: ერთ–ერთი მიზანი შეიძლება იყოს ხალხთა გაერთიანება, შეკავშირება ერთი იდეის გარშემო. მეორე–შეიძლება იყოს ავტორიტეტის დამყარება, ძალაუფლების დამყარება და მესამე შეიძლება იყოს გარკვეული რწმენების, ღირებულებების დამკვიდრება. (Hobsbawm, 2000, 1-15)

ტრადიციების გამოგონება კი ძირითადად პოლიტიკური ელიტების საქმეა, რომლებიც ამას აკეთებენ მასების მობილიზებისთვის. ტრადიციებში შეგვიძლია ვიგულისხმოთ სახალხო ცერემონიების დამკვიდრება. ჩემი კვლევის შემთხვევაში ტრადიციების გამოგონებაში ელიტების მხრიდან შეიძლება ვიგულისხმოთ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, როდესაც ხდებოდა ახალი ტრადიციების, მაგალითად, ხალხური სიმღერების, ცეკვების, ცერემონიების შექმნა, იუბილეების აღნიშვნა, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ახალ ტრადიციად, თუმცა ძველზე დაშენებულად. მაგალითად შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის იუბილეები– ეს იყო ახალი ტრადიციის გამოგონება, თუმცა ამ ტრადიციის გამოგონებით ქართველები კავშირს ინარჩუნებდნენ წარსულთან. ეს ყველაფერი შექმნილი იყო პოლიტიკური ელიტის მიერ, რომელთა მთავარი მიზანი ხალხის გაერთიანება იყო ერთი იდეოლოგიის და პიროვნების გარშემო. 7 ნოემბრის, 1 მაისის და 9 მაისის გამოსვლები, სადაც საბჭოთა მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, სადაც წარმოდგენილი იყო სტალინის ფოტოები და ხდებოდა მისი სახელის პროპაგანდა, ესეც ერთგვარი ახალი ტრადიცია იყო, რომელიც ზეგავლენას ახდენდა მოსწავლეებზე. სტალინიზმი, სტალინის კულტიც შევიძლია ახალი ტრადიციის

გამოგონებად მივიჩნიოთ, სტალინი ხომ ერთგვარ სიწმინდესთან ასოცირდებოდა, რომლის გარშემოც უამრავი მითი, ლეგენდა, ხალხური თქმულება, ლექსი, სიმღერა, ფილმი და ნაწარმოები იქმნებოდა, სწორედ ეს ახალი ტრადიცია–სტალინის კულტი გახდა ქართული ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი. ყველა მოვლენის ერთ ადამიანთან დაკავშირება, მაგალითად სტალინი, როგორც ომის გმირი, სტალინი, როგორც კულტურული, ეროვნული ღირებულებების დამცველი, ამის გარშემო იქმნებოდა მითები, გამოგონებები, რაც ახდენდა მასების მობილიზებას და ხალხთა შეკავშირებას, საბოლოოდ ქართული ნაციონალიზმის განმაპირობებელი ფაქტორი გახდა.ნაციონალიზმს კი ჰობსბაუმი უარყოფით მოვლენად მიიჩნევს. (დავითაშვილი, 2003, 113–115)

ჩემი საკვლევი თემის დასასაბუთებლად შესაძლებელია გამოვიყენო ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია. ჰანა არენდტი იკვლევს ტოტალიტარული რეჟიმების გავლენას ადამიანებზე, რომლებსაც ამ რეჟიმის დროს მოუხდათ ცხოვრება. ჰანა არენდტის მიხედვით, ტოტალიტარიზმი–ეს არის მუდმივი ტერორი, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია პიროვნების კულტის შექმნა. არენდტი სტალინის კულტს არ აიგივებს დიქტატურასთან და ტერორთან, მისი აზრით ეს არის იდეოლოგია, რომლის გავრცელებასაც ესწრაფვიან. ტერორი კი მხოლოდ არის საშუალება, რომლის დახმარებითაც ვრცელდება ეს იდეოლოგია. ჰანა არენდტი მიიჩნევს რომ ასეთი რეჟიმი ქმნის საზოგადოებას, რომლის მართვაც ადვილია და რომლებიც დაინტერესებულნი არიან მხოლოდ მატერიალური, ყოველდღიური პრობლემებით. ამას ჰანა არენდტი ხსნის ჩაკეტილობით, მათ არ იციან რა ხდება სხვა ქვეყნებში. ასეთი რეჟიმის დროს ყალიბდება მასები–ბრბო და არა საზოგადოება, რომელიც ნაკლებად ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი მართვა უფრო მარტივი ხდება. ასეთი ადამიანები ადვილად იღებენ ბელადის იდეას, რჩებიან მისი ერთგულები, ზუსტად ასე მოხდა სტალინის შემთხვევაშიც. არენდტი გამოთქვამს მოსაზრებას რომ ტოტალიტარიზმიდან თავის დაღწევის შემდეგ, ადამიანები იხრებიან ნაციონალიზმისკენ. (მაცაბერიძე,2014 ,8–10)

2. ისტორიული მიმოხილვა

ამ თავში მინდა ავხსნა, თუ რატომ იწყება ჩემი კვლევა 1930 წლიდან. მოვიყვანო ფაქტები იმის დასადასტურებლად, რომ პერიოდი 1930–იანი–50–იანი წლები გამართლებულია ჩემი კვლევისთვის. ასევე, ისტორიულ მიმოხილვაში აღვწერ იმ მოვლენებს, რომელიც მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით ჩემი კვლევისთვის.

სტალინი ერთპიროვნული მმართველი 1930 წლიდან ხდება. „მანამდე შეიმჩნეოდა წინააღმდეგობები და დაპირისპირებები კომუნისტური პარტიის შიგნით. ამ პერიოდიდან სტალინი თავის თანამებრძოლებთან ერთად იწყებს საკუთარი პოლიტიკის გატარებას.“ (დევისი, ჰარისი, 2015, 17) (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, 2012) სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სტალინის კულტის ჩამოყალიბება. როგორც ვუდი აღნიშნავს, ამ პერიოდიდან სტალინს მიიჩნევდნენ ხალხების მამად, ეკონომიკური წინსვლის მთავარ შემოქმედად, ინტელექტუალად. (Wood, 2005, 59) გაზეთ კომუნისტში სწორედ ამ წლიდან გახშირდა სტატიები სტალინზე. სტალინის კულტის შექმნის მთავარი მიზეზი იყო პროპაგანდა, რომელიც ნაციონალური პოლიტიკის ქვეშ ტარდებოდა და ინერგებოდა ხალხში. სკოლაში ბავშვებს უნერგავდნენ სტალინის სიყვარულს, მთავარი მიზანი მათი უნდა ყოფილიყო კომუნიზმის გამარჯვება. პროპაგანდა ხდებოდა იმ ფაქტის, რომ სტალინი ხელს უწყობდა ქართული კინოს, თეატრის, ლიტერატურის „განვითარებას“, რომელსაც ისევ თავიანთი მიზნებისთვის იყენებდნენ და საწინააღმდეგო აზრი იხშობოდა, არ დაიშვებოდა თავისუფალი სიტყვა.

1930–იან წლებამდე საქართველოში არ იცნობდნენ სტალინის სახელს, ბევრმა არც მისი წარმომავლობა იცოდა. ამას ადასტურებს ერთ–ერთი პოეტის მიერ გამოსვლის დროს ნახსენები სტალინის გვარი ჯუღელი– ჯუღაშვილის ნაცვლად. (ჩარკვიანი, 2015,26–27)

სწორედ 1930–იანი წლებიდან დამკვიდრდა ტერმინი „ხალხის მტერი“, რომელშიც მოიაზრებოდა ყველა ადამიანი, ვინც ეწინააღმდეგებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, ვინც რაიმე ფორმით აპროტესტებდა ან უპირისპირდებოდა კომუნისტურ რეჟიმს, ვინც კომუნისტების აზრით, ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას და ვინც ეროვნული

ღირებულებების შენარჩუნებისთვის იბრძოდა–ძირითადად ინტელიგენცია. ასეთი ადამიანები შავ სიაში ირიცხებოდნენ და სამაგალითოდ ისჯებოდნენ, რომ სხვას მსგავსი არაფერი გაემეორებინა. ამ რეპრესიებმა იმსხვერპლა ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, მათ შორის: ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი და სხვა. შეიქმნა ისეთი რეჟიმი, სადაც არავინ არავის არ ენდობოდა. დასმენის ინსტიტუტმა ოჯახის წევრებსაც კი დააკარგვინა ნდობა. ადამიანებს აიძულებდნენ ეღიარებინათ დანაშაული, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ. მოგონილი ბრალდებებით 1937 წელს 12 000 ადამიანი იქნა დაპატიმრებული, 4379 ადამიანი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, 2642 კი დააპატიმრეს, 1949 წელს 8285 ოჯახი გაასახლეს. ამ ოპერაციას ერქვა „ვოლნა“, 1950 წელს–1273 ოჯახი, 1951 წელს–2581 ოჯახი (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, 2012). მიზანი იყო ყველას განადგურება, ვინც შეეწინააღმდეგებოდა საბჭოთა რეჟიმს და სტალინის ერთპიროვნულ მმართველობას. ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და გადასახლებები არამარტო ინტელიგენციაზე ახდენდა გავლენას, არამედ მათ ოჯახებზე. გადასახლებებიდან და ციხეებიდან ბრუნდებოდნენ ფსიქოლოგიური ტრავმებით, რაც რთული გადასატანი იყო როგორც მათთვის, ასევე მათი ოჯახებისთვის. სტალინისთვის მთავარ მტერს წარმოადგენდა ინტელიგენცია, რომელიც კარგად ხედავდა მის ჩანაფიქრს, ამიტომ საჭირო იყო სტალინის „მტრის“ განადგურება მასობრივი რეპრესიებით, გადასახლებებით და დახვრეტებით, ვინც გადაურჩა რეპრესიებს, მაინც ზეწოლის ქვეშ უწევდათ არსებობა და მოღვაწეობა.(იზორია, 2010, 37– 38)

საკითხის სრული კვლევისთვის საჭიროა მიმოვიხილოთ 1930 წლამდე პერიოდის ის ფაქტები, რომლებიც საინტერესო იქნება ნაშრომისთვის და საკითხის უკეთ გაგებისთვის. ვეცდები დოკუმენტების საფუძველზე გავიაზრო სტალინის როლი ქართველებისთვის და ვაჩვენო მისი დადებითი თუ უარყოფითი წვლილი საქართველოს ისტორიაში.

როგორც მ.მჭედლიშვილი აღნიშნავს, სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში. ავტორის თქმით, ორჯონიკიძეს

და სტალინს სურდათ მაღალი თანამდებობები მიეღოთ, ეს კი შეუძლებელი იქნებოდა თუ ისინი რუსეთის მოქალაქეობას არ მიიღებდნენ. საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლით ეს შესაძლებელი გახდებოდა, ამიტომ სურდათ მოვლენები სწრაფად განვითარებულიყო. ამ ფაქტს ადასტურებს სტალინის დეპეშა ორჯონიკიძესთან გაგზავნილი: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი...“ (მჭედლიშვილი, 2006, 8– 9)

აუცილებელია აღინიშნოს სტალინის როლი 1924 წლის აჯანყების დროს, როგორც ისტორიკოსი მ.მჭედლიშვილი აცხადებს, 1924 წლის აჯანყება წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ სტალინმა უარი განაცხადა მის პრევენციაზე, მას სურდა სისხლი დაეღვარა საქართველოში, როგორც მჭედლიშვილი აღნიშნავს, სტალინის სიტყვები იყო: „რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთო“. როგორც ცნობილია, აჯანყებულების გარდა, მშვიდობიანი მოსახლეობა ამოხოცეს, გადაასახლეს ძირითადად ინტელიგენცია. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 1924 წელს განადგურდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი. (მჭედლიშვილი, 2006, 20) ამ ფაქტების წარმოდგენით, მინდა ხაზი გავუსვა სტალინის უარყოფით როლს საქართველოს განვითარებაში, ფაქტობრივად მან ყველაზე მთავარი–სახელმწიფოებრიობა წაართვა ქართველ ხალხს და მიუხედავად ამისა, ის მაინც გმირად იქცა. ისტორიკოსი ვახტანგ გურული სტალინს ასახელებს, როგორც მთავარ შემოქმედს 1924 წლის სისხლისღვრის. მისი თქმით, სწორედ სტალინმა დადგა ეს სცენარი, ბერია და სხვანი კი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ. (ყიფშიძე, 2010, 68)

მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა სახელმწიფოებრიობა დააკარგვინა ქართველ ერს, გაანადგურა ქართველი ინტელიგენცია 1937 წელს და მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი კულტურის სფეროს ნებისმიერი დარგი ძირითადად სტალინის პიროვნებით იყო განპირობებული, პარალელურად აღინიშნებოდა იუბილეები, იქმნებოდა ფილმები, სპექტაკლები, მუსიკა, იდგმებოდა ცეკვები, რაც იყო ქართული ეროვნული ღირებულებების გამომხატველი და ვფიქრობ, რომ სტალინის კულტის ჩამოყალიბება სწორედ ამან განაპირობა. ამ ყველაფრის შემდეგ 1956 წლის 9 მარტს

100 000 ადამიანი გამოვიდა სტალინის დასაცავად, როდესაც მისი კულტი დაიგმო. სტალინი ქართული ნაციონალიზმის განმაპირობებელი ფაქტორი თუ არა, მისი შემადგენელი ნაწილი მაინც იყო. არსებობს მოსაზრება, რომ სტალინი იმიტომ გააღმერთეს რომ ეროვნებით ქართველმა შექმნა იმპერია და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მოიპოვა. ომის შემდეგ მასში გენიალურ ქართველს ხედავდნენ, უდიდეს მხედართმთავრად აღიქვამდნენ, რომელმაც ქართველთა სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა. მიზეზი, რის გამოც სტალინი გმირად იქცა ქართველებისთვის, იყო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, უამრავი ადამიანი, ვინც მონაწილეობა მიიღო ომში, თავს სწირავდა სტალინის და „სამშობლოს“ გამო, ომი კი რეალურად სამამულო არ იყო. სტალინი კი პირიქით აცხადებდა, რომ აღნიშნული ომი სამამულო იყო ყველა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხისთვის, ამიტომ ყველა ვალდებული იყო ებრძოლა „სამშობლოსთვის“. საბჭოთა პროპაგანდა კარგად მოქმედებდა. ბევრს სჯეროდა, რომ ომი მართლაც სამამულო იყო და თავს ვალდებულად თვლიდა თავი გაეწირა სამშობლოსთვის და სტალინისთვის. საქართველო, რომელიც იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის და ეს ბრძოლა არასდროს შეუწყვეტია, არ შეიძლებოდა შერიგებოდა ამ ომის სამამულოდ აღიარებას. (იზორია, 2010, 39–40)

3. სტალინი და საქართველო

3.1 სტალინის წვლილი საქართველოსთვის

1956 წლის 9 მარტის გამოსვლების და სტალინის დაცვის ერთ–ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სტალინი ქართველი იყო და ქართველებმა მისი სახელის შეურაცხყოფა ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვეს. ამ თავში ვისაუბრებ, რამდენად ზრუნავდა სტალინი ქართველებზე და საქართველოზე. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ სტალინის სახელის დაცვა და მის გამო სიცოცხლის შეწირვა თითქოს პარადოქსულად ჩანდა.

საინტერესო იქნება მსჯელობის დაწყება ერის სტალინისეული განმარტებით: „ერი ეს არის წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ერთობის და ფსიქოლოგიური ერთობის ბაზაზე, რომლის გამოვლინებაც კულტურაშია“. სტალინი უარყოფს სახელმწიფოს დამატებას ერის განსაზღვრებაში, რადგან თვლის, რომ სახელმწიფოებრიობადაკარგული ერებიც ერები არიან და არ შეიძლება მათ დაეკარგოს ერის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტალინი ქართველებს ერად მიიჩნევდა მათი საბჭოთა კავშირში გაერთიანების შემდეგ, რადგან ქართველებს გააჩნდათ საკუთარი ენა, ტერიტორია, კულტურა, ეკონომიკა და არ გააჩნდათ სახელმწიფო. (სტალინი, 3–4) ეს განმარტება ეწინააღმდეგება ენგელსის მოსაზრებას ერის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით: „თუ ქვეყანას და ერს დამოუკიდებლობა არ აქვს, სოციალიზმი ვერ განვითარდება. თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა, საერთო მიზნების მისაღწევად.“ (ყორანაშვილი, 2006) სტალინისეული განმარტებისგან განსხვავებით, ერი–თანამედროვე განმარტებით არის ადამიანთა ერთობა, რომელსაც გააჩნია საკუთარი სახელმწიფო და მისი დაკარგვის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ჰქონდეს აღდგენის სურვილი. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება სტალინის განმარტებას, ამ განმარტების მიხედვით, ქართველი ერი არსებობდა საბჭოთა კავშირში, ჰქონდა დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი, თუმცა

სტალინი ეწინააღმდეგებოდა ამ სურვილს და ყველანაირად ცდილობდა ჩაეხშო მსგავსი წინააღმდეგობები. (დავითაშვილი, 2003, 18)

საბჭოთა პოლიტიკის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბებულიყო საბჭოთა ხალხი, რომელთა სახელმწიფოც იქნებოდა საბჭოთა კავშირი, თუმცა რამდენად იყო ეს ქართველების ნება, რამდენად იყო მათი სურვილი საკუთარი სახელმწიფოს სუვერენიტეტი გაეცვალათ საბჭოთა კავშირში? ვინც საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე იყო და ყოველთვის ხაზს უსვამდა საქართველოს დამოუკიდებლობის საჭიროებას, ის რეპრესირებული ან დახვრეტილი იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. თუმცა, როგორც შემდგომში ირკვევა, ვგულისხმობ სტალინის კულტის ჩამოყალიბებას საქართველოში, ეს განპირობებული იყო იმით, რომ სტალინი იყო ქართველი, რომელმაც შექმნა იმპერია და სწორედ ამ ფაქტმა გადაფარა ის მტკივნეული ფაქტი, რომ ქართველებმა სახელმწიფოებრიობა დაკარგეს. როგორც მოგონებებიდან, პრესიდან, ლიტერატურიდან ირკვევა, სტალინის კულტის ჩამოყალიბება–ეს არ იყო განპირობებული შიშის, რეპრესიების გამო, არამედ ეს იყო ბუნებრივი, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველებს ჰქონდათ ისეთი შეგრძნება, თითქოს სტალინი ზრუნავდა მათ ეროვნულ ღირებულებებზე, რაც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ნაწილი იყო.

სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"–ნაშრომში მოხსენიებული აქვს ქართველი ერი და მათი წარმოშობის საკითხი–„რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ...საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს მხარეებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი". (ჩარკვიანი, 2015, 90) როგორც სტალინის სიტყვებიდან ირკვევა, ქართველი ერი არ არსებობდა ბატონყმობის გაუქმებამდე.

იქიდან გამომდინარე, რომ 1956 წლის 9 მარტს ქართველები იცავდნენ სტალინს მისი ქართველობის გამო, რომელმაც შექმნა უდიდესი იმპერია, საინტერესოა, თავად რამდენად მიიჩნევდა თავს ქართველად. როგორც ნათაძე აღნიშნავს, მიუხედავად მისი დაბადების ადგილისა, სტალინი არ იყო ქართველი ნაციონალისტი, უფრო რუს ნაციონალისტად შეიძლება მივიჩნიოთ. „სტალინი იყო რუსიფიცირებული და მიზნად ჰქონდა დასახული ქართველის განადგურება. 1924 წელს აჯანყების დროს, როგორც ცნობილია წინასწარ გამჟღავნდა ჩანაფიქრი, წინასწარ იყო ცნობილი აჯანყების იდეების ავტორები, მაგრამ სტალინმა უფლება არ მისცა თავისი ჯგუფის წევრებს ისინი წინასწარ დაეპატიმრებინათ. მან თქვა „საქართველოს სამოქალაქო ომში სისხლი არ დაუღვრია და ახლა დაღვაროსო“. ყველაზე დიდი რეპრესიები სწორედ საქართველოს დაატყდა თავს“. როგორც ნოდარ ნათაძე აღნიშნავს– „სტალინი საქართველოს მოძულე იყო, მისგან მხოლოდ ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვა დატოვა, სძულდა ქართველი პატრიოტი“. (ნათაძე, 1992) მიხეილ მჭედლიშვილის მიერ მოყვანილი ფაქტებიდან დასტურდება სტალინის უარყოფითი როლი საქართველოსთან მიმართებაში. ლენინმა და სტალინმა თურქეთს გადასცეს, მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), ართვინის და არდაგანის ოლქები, 10 000 მდე კვადრატული კილომეტრი 160 000 მცხოვრებით. სტალინმა და ორჯონიკიძემ გაასხვისეს 15 853 კვადრატული კილომეტრის ფართობი 292 257 მაცხოვრებლით, სომხეთს გადასცეს ლორე–ალავერდი 2367 კვადრატული კილომეტრი 38 000 მოსახლით, აზერბაიჯანს ზაქათალის ოლქი(ისტორიული საინგილო), გარეჯის ველი და ყარაიაზის სექტორი, ელდარი–4553 კვადრატული კილომეტრი 92 600 მცხოვრებით, რუსეთს–სოჭის მხარე და პალენკოვო–აფხაზეთის კუთვნილი ტერიტორია. როგორც ვლასა მგელაძე იხსენებს, სტალინი ამბობდა „თბილისს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესვასო“. „სანამ საქართველო არსებობს, სოციალიზმი სასიკვდილო საფრთხეშია“–სტალინი. 1921 წელს მუშები, პოლიტიკური მოღვაწეები დააპატიმრეს, ყველას ჯაშუშები მიუჩინეს, პატიმრებს საბურთალოს და ორთაჭალის მინდვრებზე ხვრეტდნენ და მარხავდნენ“. (მჭედლიშვილი, 2006, 10–12) მიუხედავად ამ ყველაფრისა, სტალინს მაინც იცავდნენ და ეთაყვანებოდნენ.

ავტორი ნოდარ ზაქარიაძე უარყოფს სტალინის სურვილს ყოფილიყო რუსი და არა ქართველი. ამის დასამტკიცებლად თავის ნაშრომში „სტალინი და საქართველო“ ამბობს, რომ თუ ის იყო რუსი და არა ქართველი რატომ ცდილობდა განევითარებინა ქართული ლიტერატურა, კულტურა. ეს ნაშრომი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ყველაფერი ეროვნულის განვითარებას, უფროდაუფრო მეტ ადამიანს ხდიდა სტალინის მომხრედ. სინამდვილეში, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა და მათი მიზანი არ ყოფილა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება ან რამე მსგავსი. მათ სურდათ თავიანთი იდეოლოგია გაევრცელებინათ ადგილობრივ ენაზე, დაეკმაყოფილებინათ ქართველთა კულტურული მოთხოვნილებები და მეორე მხრივ, შეესუსტებინათ ისინი პოლიტიკურად.

რაც შეეხება სტალინის დამოკიდებულებას ქართველებისადმი, ამ შემთხვევაში საზოგადოების აზრი ორად იყოფა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სტალინის წვლილი საქართველოს განვითარებაში დიდია და არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ რომ სტალინს კარგი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის. როგორც ისტორიკოსი მიხეილ მჭედლიშვილი მიიჩნევს, სტალინმა მეზობლებს გაუნაწილა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები და ავტონომიებად დააქუცმაცა დარჩენილი მიწები. ავტორი ამბობს, რომ ქართველებს არანაირი სარგებელი არ მიუღიათ სტალინის მმართველობით, პირიქით, 1924 წელს, ასევე 1937 წელს საქართველომ დაკარგა 268 000 ადამიანი, უმრავლესობა განათლებული ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, ამას გარდა, სიტყვის თავისუფლად გამოთქმის უფლება დაუკარგა ქართველებს. ავტორს მოყავს სტალინის სიტყვები ქართველების შესახებ: „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან–ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს: ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“.–ამ სიტყვიდან ჩანს რომ სტალინი აჭარლებს არაქართველებად მიიჩნევს და საქართველოს დამოუკიდებლად, რუსეთის გარეშე ვერ ხედავს. (მჭედლიშვილი,2006, 6) ზოგადად ერისთვის და მათ შორის ქართველებისთვის დამოუკიდებლობა, თავისუფლება,

სუვერენიტეტი იყო და არის მთავარი ღირებულება. ინტელიგენციის ის ნაწილი, ვინც სწორედ ამ ღირებულებებს მიიჩნევდა სასიცოცხლოდ ქართველი ერისთვის, ისინი გადაასახლეს ან დახვრიტეს. სტალინის ამ სიტყვებით კარგად ჩანს მისი ქართველებისადმი და საქართველოსადმი დამოკიდებულება. რუსეთის გარეშე ის ვერ წარმოიდგენდა საქართველოს, მიუხედავად ამისა შეიქმნა მისი კულტი და ხალხმა თავი გაწირა მისთვის. საინტერესოა რა იყო ამის მიზეზი?

ხშირად ისმის ფრაზები სტალინთან დაკავშირებით, ქართველმა ასეთი იმპერია შექმნა, გამარჯვება მოგვიტანა ომში და უნდა დაფასდეს მისი სახელიო, თუმცა საინტერესოა თავად თვლიდა თუ არა თავს ქართველად და ეროვნებით ქართველობა ნიშნავდა თუ არა იმას რომ ის ზრუნავდა საქართველოზე და აღელვებდა მისი ბედი? ეს საკითხი მნიშვნელოვანია ნაშრომისთვის, რადგან მინდა ვაჩვენო რომ სტალინის ქართული წარმომავლობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აყენებდა ქართველებს, პირიქით, შეიძლება ითქვას რომ ქართველები მეტადაც დაზარალდნენ და მისი „ქართველობა“ არ იყო განმაპირობებელი იმ დამოკიდებულებისა, რაც არსებობდა ქართველებში და რაც გამოჩნდა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებში.

საინტერესოა აკაკი ვასაძის მოგონებები, მის წიგნში „შეხვედრა სტალინთან“, კარგად ჩანს ვასაძის დამოკიდებულება სტალინის მიმართ, აკაკი ვასაძე არ მალავს თავის სიმპათიებს სტალინის პიროვნების მიმართ და საინტერესო ფაქტებს აღწერს, რაც კარგად ახასიათებს სტალინს. საინტერესოა სტალინის სუფრასთან წარმოთქმული სიტყვები, რომელსაც აკაკი ვასაძე იხსენებს „უსიმღეროდ ქართული სუფრა ხომ სუფრა აღარ არის“–ეს ფრაზა სტალინის მიერ წარმოთქმული მიუთითებს იმაზე რომ სტალინი ყურადღებას აქცევს და მნიშვნელოვანია ქართული ტრადიციები, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, თავის თავს ქართველად არ მიიჩნევდა. მოგონებებში აღნიშნულია სტალინის გურული სიმღერა, დეტალები იცოდა და ამის გამო ფენომენად მიიჩნევდა აკაკი ვასაძე. „საარაკო ბუნების პატრონები ვართ“ –ამბობდა სტალინი საქართველოზე–„ქართული ენა საერთო უნდა იყოს ყველა კუთხისთვის“–ეს ფრაზები თითქოს ქართველ პატრიოტად წარმოაჩენს სტალინს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს და ქართველების

ბედი, თუმცა მეორე საკითხია რამდენად გამოხატავდა ეს ფრაზები მის შინაგან მდგომარეობას და რამდენად იყო ეს ფრაზები მისი პროპაგანდის ნაწილი (ვასაძე, 2012, 23–24, 43, 77) თუმცა ვასაძე და სტალინთან სტუმრად მყოფი სხვა ადამიანებიც მოხიბლულნი იყვნენ მისი პიროვნებით. როგორც ირკვევა, ორმაგი დამოკიდებულებაა როგორც სტალინის მიმართ, ასევე გაურკვეველი და პარადოქსულია თავად სტალინის დამოკიდებულება ქართველებისადმი.

როგორც ნათაძე შენიშნავს, სტალინს რომ მოენდომებინა მთელ საქართველოს გადაასახლებდა და დახრვეტდა, თუმცა სტალინი, მეორე მხრივ, იყო „კაცი, რომლისთვისაც ხალხური სიმღერა, სასმელ–საჭმელი და ქართული ყოფა რეალობაა და რომლისთვისაც გიორგი სააკაძის როლის შეფასება ყურადღების ღირსი პრობლემაა. სტალინში პატრონს ხედავდნენ, რომელსაც თუ დასჭირდა მოგივლის, მაგრამ თუ აღარ დასჭირდი მოგკლავს“. (ნათაძე, 1992)

მიმდინარეობს მსჯელობა იყო თუ არა სტალინი ქართველი ნაციონალისტი, რუსი ნაციონალისტი თუ უბრალოდ ნაციონალისტი რომელიმე ერის მიკუთვნებულობის გარეშე. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიაში მიმდინარეობდა მსჯელობა ამ თემებზე. გამოითქვა მოსაზრება რომ ქართული ნაციონალიზმის შემოქმედი არის სტალინი, მაგრამ თავად რამდენად იყო ქართველი ნაციონალისტი –ეს საკამათოა, მით უფრო მაშინ როცა მრავალგან არის აღნიშნული რომ თავად არ მიიჩნევდა თავს ქართველად. ეთნიკურად ქართველი არ ნიშნავს ქართველ ნაციონალისტს. მეორე საკითხია რამდენად ნაციონალისტი იყო სტალინი და იმის თქმა შეიძლება რომ იმპერია იყო ნაციონალისტურ პრინციპებზე დაფუძნებული, თუმცა „სტალინისთვის ნაციონალიზმი იყო მართვის საშუალება და არა შინაგანი მდგომარეობა“. შეიძლება ითქვას ანტიქართველი ნაციონალისტი, რომელიც ქართული ნაციონალიზმის სიმბოლო გახდა.[1]

[1] https://www.youtube.com/watch?v=pAk_OB4T7uc

სანამ სტალინის მომხრეების მოსაზრებებზე გადავიდოდე, მინდა გურამ ფანჯიკიძის სიტყვები მოვიყვანო სტალინზე: „ყველაზე საშინელ ცილისმწამებელსაც კი გაუჭირდება დაასახელოს სტალინის მიერ მაინცდამაინც თავისი ერის კეთილდღეობისთვის გადადგმული თუნდაც ერთი ნაბიჯი“. (გვარიშვილი, 1998,10)

სტალინის მომხრეები მის დამსახურებად მიიჩნევენ ეკონომიკურ კეთილდღეობას და აღნიშნავენ მის როლს, როგორც ქართველი მოღვაწეების დაფასების საქმეში, რაც ჩემი აზრით საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის, როგორც პროპაგანდის წარმოების შედეგია. „სტალინმა ააყვავა ეკონომიკა, ააგო ჰიდროელექტროსადგურები, ქარხნები, ექსპორტზე გადიოდა საქართველოში წარმოებული პროდუქცია. სტალინმა შემოიღო 5 დღიანი სამუშაო კვირა და 7 საათიანი სამუშაო დღე, რაც მანამდე არ არსებობდა“. (ტაკიძე, 2013, 553)

ტაკიძე ჩამოთვლის სტალინის დამსახურებებს: „1941 წელს სტალინმა დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. უმოკლეს დროში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული განათლება, სპორტი, კინო, თეატრი. მსოფლიოს დაუბრუნა შოთა, საქართველოს–ილია და ვაჟა და ივანე ჯავახიშვილი, ეს ფაქტიც რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი იყო ქართველებისთვის, მათი ეროვნული გრძნობების გაღვივებისთვის, იმისთვის რომ დაეკმაყოფილებინათ კულტურული მოთხოვნილებები თუ შეიძლება ასე ითქვას და პრეტენზია არ გასჩენოდათ პოლიტიკურ უფლებებზე. სტალინმა გადაარჩინა მართლმადიდებლური ეკლესია, ქართულ ეკლესიას აღუდგინა ავტოკეფალია, ეს ფაქტი დადებითად მოქმედებდა ქართველებზე, აღვიძებდა მათში ეროვნულ გრძნობებს . სტალინმა ააშენა ზაჰესი, მან დააშრო კოლხეთის ჭაობი და ჩაის და ციტრუსების მოსაყვან ადგილად აქცია. სტალინის მიერ მოხდა სარწყავი სისტემების შექმნა, „თბილისის ზღვა“. მან ააშენა ქალაქი რუსთავი, მეტალურგიული კომბინატით და მან ააშენა ქუთაისის ავტოქარხანა, თბილისის მეტროპოლიტენი. სტალინის ძალისხმევით საქართველოში დაბრუნდა წარსულში გატაცებული მდიდარი კულტურული და მეცნიერული ექსპონატები: ლენინგრადიდან ქართული ხელნაწერების კოლექციის ძირითადი ნაწილი, გელათიდან წაღებული მინანქრის ღვთისმშობლის ხატი, ტაძრების

საგანძურები, დოკუმენტები, წერილები და ა.შ. სტალინმა დააბრუნა 1921 წელს საქართველოდან საფრანგეთში წაღებული განძი. მისი თაოსნობით აღინიშნა რუსთაველის, ჭავჭავაძის იუბილეები, ის ხელს უწყობდა ქართული პრესის გამოცემას. ხელს უწყობდა განათლების განვითარებას. უამრავი მეცნიერი იქნა აღმოჩენილი მის დროს და მათ მსოფლიო მასშტაბით გაითქვეს სახელი.

როგორც გიორგი გიგაური აღნიშნავს, სტალინის დროს უფრო იყო საქართველო ნამდვილად ქართული, ვიდრე შემდეგ და მის დროს განვითარების დონითაც ბევრად აღემატებოდა ახლანდელ მდგომარეობას. მაშინ უფრო იყო დაცული ეროვნული ღირებულებები, ვიდრე ახლა. როგორც აღნიშნული ავტორი აღნიშნავს, მაშინ განათლება უფრო ხელმისაწვდომი იყო, მწერლობა და მეცნიერება უფრო განვითარებული.“ (ტაკიძე, 2013,549–560) როგორც გრეგორ სიუნი აღნიშნავს, სტალინმა ხელი შეუწყო ქართულ ენაზე განათლების მიღებას, 1950–იანი წლების დასაწყისში ბევრად მეტი ადამიანი იღებდა განათლებას ქართულ ენაზე, ვიდრე სხვა პერიოდში. ის ხაზს უსვამს ქართული ხალხური ცეკვების, სიმღერების განვითარებას ამ პერიოდში იდგმებოდა ერეკლე მე–2 ის, ვახტან გორგასლის, ბაგრატიონთა ცხოვრების ამსახველი დრამები. (სიუნი, 2002, 35–38) ეს ყველაფერი სწორედ ნაციონალური პოლიტიკის ნაწილი იყო, მიეღოთ ხალხის მხარდაჭერა კულტურული უფლებების მინიჭების ხარჯზე.

სტალინის მომხრეები მიიჩნევენ რომ სტალინი საქართველოსთვის ზრუნავდა, თუმცა მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი კარგად ჩანს 1918–21 წლებში, როცა ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. რიჩარდ ფაიფსი აღნიშნავს, რომ რომ არა სტალინი და მისი გარემოცვა შესაძლებელია საქართველოს შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. როცა ქართველები მას აფასებენ იმის გამო რომ ის ქართველი იყო, მისივე შვილი ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს რომ თავად თავს რუსად მიიჩნევდა, შვილებსაც რუსებად ზრდიდა და უნდოდა რომ სხვებისგანაც ასე ყოფილიყო აღქმული. მან თავისი შვილი–იაკობიც კი უარყო, რადგან ის ახსენებდა სტალინს მის ქართულ წარმომავლობას. (ავტორთა კრებული, 3–18)

ნაშრომის მთავარი კითხვაა, რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის განმაპირობებელი ფაქტორი. რატომ დაიცვეს ადამიანის სახელი, რომელმაც სახელმწიფოებრიობა დააკარგვინა ქართველებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო სტატია იბეჭდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“ სათაურით „საბჭოთა საქართველოს 27 წელი“, სადაც გ. სტურუა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მისი კულტურული, ეროვნული უფლებები და ღირებულებები დაცული იყო საბჭოთა კავშირში. ეს სტატია კარგად გამოხატავს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას დამოუკიდებლობისადმი. მათ თითქოს მოახდინეს საქართველოს ჩანაცვლება საბჭოთა კავშირით, ამ შეგრძნებას კი უმყარებდათ ის ფაქტი რომ სტალინის მიერ „დაცული იყო“ ეროვნული ღირებულებები. (სტურუა, 9, 1)

3.2 სტალინი და რეპრესიები

ამ თავში მინდა ვისაუბრო სტალინის როლზე საქართველოში მომხდარ რეპრესიებზე. ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით ვეცდები ვაჩვენო რამდენად იყო ჩართული თავად სტალინი რეპრესიებში -თუ შეიძლება ასე ითქვას.

1936 წლიდან 1938 წლამდე 2,5 მილიონიანმა საქართველომ 268 000 ადამიანი დაკარგა რეპრესიების დროს, ამავე დროს ძალიან გავრცელდა ხალხთა დაბეზღება, მ. მჭედლიშვილს მაგალითისთვის მოყავს სანდრო ახმეტელი, რომელიც მსახიობებმა დაასმინეს. (მჭედლიშვილი, 25–26) ისეთი ადამიანები გამოასალმეს სიცოცხლეს, რომელთაც დატოვეს ისეთი ნამუშევრები, რომელთა მსგავსიც დიდი ხნის განმავლობაში აღარ შექმნილა. უნიჭიერესი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე და მრავალი სხვა შეეწირნენ საბჭოთა რეჟიმს და სტალინის უსამართლო ბრალდებებს. 1937 წელს ხალხის მტრებად შერაცხეს ადამიანები, დაადანაშაულეს ტერორიზმში, შპიონაჟში, ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი

დააპატიმრეს. ამავე დროს საყვედურობდნენ დამსჯელებს რომ ისინი ლმობიერები და შემწყნარებლები იყვნენ. (სიუნი, 2002,30–34)

„30–იანი წლებიდან სტალინი უკვე გახდა ერთპიროვნული დიქტატორი. ყველა ის, ვინც ოდნავ არასაიმედო იყო მათთვის, ნადგურდებოდა. განსაკუთრებით მძიმე დრო დადგა 1937–1939 წლებში. როდესაც, სტალინის მიერ განადგურებულ იქნა ათასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი, სამშობლოს პატრიოტი და გამოცდილი ხელმძღვანელი. დასახიჩრდა რეპრესირებულთა ოჯახის წევრები, მათი შვილები–რის პატიებაც სტალინისთვის არ შეიძლება“–ეს სიტყვები ეკუთვნის მარშალ გიორგი ჟუკოვს. (გვარიშვილი, 1998,10)

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებობს 3616 ადამიანის მონაცემები, რომელთა დახვრეტაზეც უშუალოდ სტალინი აწერს ხელს. მათ საქმეებში მითითებულია, რომ ისინი ჩაბმულნი იყვნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და მათ მიერ დასახელებული იყო სხვა ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომლებიც თითქოსდა იმავე საქმიანობაში იღებდნენ მონაწილეობას. (სტალინური სიები საქართველოდან, ეროვნული ბიბლიოთეკა)

სასტიკ მეთოდებზე, რასაც “ხალხის მტრების“ წინააღმდეგ იყენებდნენ, საუბრობენ შინსახკომის ზედამხედველები ტკაჩოვი და ბელონოჟკო, რომელთა ჩვენებები დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. ისინი ყვებიან თუ რა მეთოდებით აწამებდნენ ადამიანებს, როგორ მიყავდათ სიკვდილის პირამდე, როგორ აიძულებდნენ ეღიარებინათ არარსებული დანაშაული, როგორ აიძულებდნენ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინათ და როგორ ხვრეტდნენ უამრავ ადამიანს, რომელსაც თავადაც უდანაშაულოებს უწოდებდნენ. (ბარბაქაძე, 2010, 148–156)

სტალინის უშუალო ინიციატივით 30–იან წლებში დაიბეჭდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია, რომლის ავტორი იყო უნივერსიტეტის რექტორი, მალაქია ტოროშელიძე. მან 50–მდე ასპირანტთან ერთად შექმნა ეს ნაშრომი. ასევე მალაქია ტოროშელიძე იყო 1934 წელს მწერალთა ყრილობაზე საქართველოს წარმომადგენელი, რომელმაც ისაუბრა შოთა რუსთაველზე, როგორც საქართველოს უდიდეს მოღვაწეზე

სტალინის უშუალო მითითებით, 1937 წელს კი მალაქია ტოროშელიძეც და უკლებლივ ყველა, ამ წიგნის შემქმნელი დახვრიტეს. უშუალოდ სტალინის ბრძანებით ქართველების 10% განადგურდა რეპრესიების შედეგად. 1924 წლის, 1937 წლის რეპრესიების დროს და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა რაოდენობა დაახლოებით 20%–ს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. (გვარიშვილი, 1998, 57,64)

ალექსანდრე სიგუა და მიხეილ მგალობლიშვილი ყვებიან იმ სასტიკ მეთოდებზე, რომელსაც იმ პერიოდში იყენებდნენ. (მჭედლიშვილი, 2006,43–45) ბუდუ მდივანს და მალაქია ტოროშელიძეს სასტიკად მოექცნენ და როგორც ირკვევა, ამ ყველაფერში პირდაპირი მონაწილე სტალინი იყო. თუმცა სტალინის მომხრეები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ამბობენ, რომ სტალინის მონაწილეობა უდანაშაულო ადამიანების დასჯაში არის ტყუილი და მათი აზრით, მართლაც არსებობდნენ „ხალხის მტრები“, რომელთა დაუსჯელობის შემთხვევაშიც რთული გახდებოდა სახელმწიფოს მართვა. (სოლოვიოვი, სუხოდეევი,2002, 21) ადამიანებს არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ სტალინი თავად იყო ჩართული ამ რეპრესიებში, თუმცა დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სტალინი თავად იღებდა გადაწყვეტილებებს დახვრეტების და გადასახლებების შესახებ. ერთ–ერთი რეპრესირებული ბანაკებს ადარებს „აუშვიცის ბანაკს, გაზის კამერების გარეშე“. (Wood, 2005, 41)

როგორც ზაქარიაძე აღნიშნავს, 30–იან წლებში რეპრესირებულთა რაოდენობა ხელოვნურად არის გაზრდილი. ავტორი ცდილობს გაამართლოს ეს რეპრესიები. მისი თქმით, ყველა დაპატიმრებული, რეპრესირებული, უდანაშაულო არ იყო. სტალინის პოლიტიკა ითვალისწინებდა ძალადობრივ მეთოდებს, რომელიც, მათი აზრით, მთავარი ბერკეტი იყო წესრიგის დასამყარებლად. „რეპრესირებული ადამიანები იყვნენ საშიშები სახელმწიფოსთვის, ისინი ძირს უთხრიდნენ სახელმწიფოს“, მაგალითად მოყავს რამდენიმე რეპრესირებულის აღიარება, რომ მათ მართლაც ჩაიდინეს დანაშაული. სინამდვილეში, ეს ჩვენებები დაწერილი იყო იძულებით. (ზაქარიაძე, 1997,272–278)

სტალინის უშუალო მონაწილეობას რეპრესიებში ასევე ადასტურებს საიმონ სებაგ მონტეფიორე თავის ნაშრომში– „სტალინი–წითელი მეფის კარი“, ამ ნაშრომში იგი

აღწერს ტროცკისტების დაპატიმრებას, სადაც სტალინი ეცნობოდა თითოეულ წვრილმანს დაკითხვების დროს: „თვალი არ მოაცილოთ პატიმარს და არ მოეშვათ, სანამ აღიარებას არ მიიღებთ“–ეს სტალინის სიტყვებია, რომელიც ძველ მეგობრებს აპატიმრებდა და აიძულებდა ეღიარებინათ ის დანაშაული, რომელსაც სტალინი და მისი გარემოცვა იგონებდა. „ბრალდებების“ შექმნის პროცესში უშუალოდ მონაწილეობდა თავად ბელადი. მაგალითისთვის, მან პირადად დააბრალა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა ზინოვიევს. ის სასამართლოს ყველა დეტალს ადევნებდა თვალს. როგორც მონტეფიორე აღნიშნავს, მისი მაგიდა სავსე იყო დაკითხვების ოქმებით, თავად აკონტროლებდა თუ რა ფორმით უნდა დაბეჭდილიყო ბრალდებულების შესახებ სტატიები პრესაში, რა ფორმით უნდა დაედანაშაულებინათ სასამართლოში „ბრალდებული“. (მონტეფიორე, 2012, 226–255) მას სურდა ხალხის დამორჩილება. ისინი, ვინც მისი რეჟიმის და მოთხოვნების წინააღმდეგ წავიდოდა, გადასახლებული და რეპრესირებული იქნებოდნენ. სწორედ ამიტომ იყო რომ, როგორც ვუდი შენიშნავს, არაფერი ღირებული და მნიშვნელოვანი არ იქმნებოდა. (Wood, 2005, 42)

სინამდვილეში აღიარებები ზეწოლის შედეგად იწერებოდა. ხალხი იძულებული იყო ეღიარებინათ არჩადენილი დანაშაული. არქივში არსებული მასალებით და იმ ადამიანების მოგონებებიდან, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს რეპრესიების სისასტიკე, ყვებიან საშინელ მეთოდებზე. უამრავი ადამიანის ოჯახები გაანადგურეს. მაგალითისთვის, სახალხო არტისტი– ალექსი ჭიჭინაძე, რომელსაც მამა დაუხვრიტეს და დედა გადაუსახლეს, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტის– მინდია სალუქვაძის მშობლები და ბიძა დახვრიტეს და უამრავი შემთხვევა იყო ამის მსგავსი. (გვარიშვილი, 1998, 71) ამ ყველაფერს ვახტანგ გოგუაძე, რომელიც სტალინის აშკარა დამცველია, გვერდს უვლის და ამბობს, რომ სტალინმა მეორე მსოფლიო ომთან ერთად 1937 წლის „ომი“ მოიგო, თუმცა ვერ ხსნის ვისთან?–ინტელიგენციასთან, რომელსაც საქართველოს გადარჩენა შეეძლო. სრულიად აბსურდული არგუმენტები მოჰყავს სტალინის დასაცავად. რეპრესიებს დასჯად მიიჩნევს, რეპრესირებულთა რიცხვს ხელოვნურად გაზრდილს, რუსეთი და სტალინი კი მესიად ესახება. (გოგუაძე, 2007, 22–

24) საინტერესოა, ალან ვუდის წიგნში „სტალინი და სტალინიზმი“, აღნიშნული ერთი ფაქტი, რომ ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ სტალინის უშუალო მონაწილეობა რეპრესიებში ან ეჭვი მაინც ჰქონდათ ამის შესახებ, თავიანთ თავს არწმუნებდნენ რომ სტალინი არაფერ შუაში იყო და ყველაფერი მის ზურგს უკან ხდებოდა. (Wood, 2005, 47) ეს, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმ ძლიერი პროპაგანდით, რომელსაც ეწეოდა სტალინი და მთელი საბჭოთა რეჟიმი. ისმოდა მხოლოდ სტალინის ქება და მის მხოლოდ დადებით მხარეებზე იყო საუბარი. სხვა აზრის გამოთქმის საშუალება ხალხს არ ჰქონდა, ამიტომ საზოგადოებაში მკვიდრდებოდა აზრი სტალინის უდანაშაულობის შესახებ.

კარლო ხარატიშვილიც იზიარებს ზაქარიაძის აზრს და რეპრესიებს დამნაშავეების დასჯად მიიჩნევს, სტალინს კი გადამრჩენელად, რომელმაც ბოროტი და დამნაშავე ადამიანებისგან გაათავისუფლა ქვეყანა. ამიტომ სტალინი არა დამნაშავე, არამედ გმირია მათი აზრით. რეპრესიები კი მხოლოდ სტალინის ინიციატივა არ იყო. მაქსიმალურად ცდილობენ სტალინის სახელი არ ფიგურირებდეს რეპრესიებში. (ხარატიშვილი, 2012, 41) თუმცა სტალინის უშუალო სურვილს და მონაწილეობას უდანაშაულო ხალხის დასჯაში მოწმობს 1937 წლის პლენუმზე წარმოთქმული განცხადება– „ქვეყანაში მოქმედებენ მავნებლური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც პარტიაშიც კი აღწევენ.“ მის სიტყვაში ასევე იყო დახასიათებული ადამიანები, რომლებიც „ხალხის მტრებად“ შერაცხეს. თუმცა ამას, მათი აზრით, შეფარვით აკეთებდნენ და პარალელურად პატიოსნად ემსახურებოდნენ პარტიას. სტალინი ამ სიტყვაში ყველას მოუწოდებდა სიფხიზლისკენ და აღნიშნული „დამნაშავე“ ადამიანების გამოაშკარავებისკენ. ამ სიტყვიდან დასტურდება, რომ სტალინმა კარგად იცოდა უსამართლო რეპრესიების შესახებ და ხშირად თავად იყო ინიციატორი ამ მოვლენების. (მგალობლიშვილი, 2016,119–120)

როგორც ზოგიერთი ამტკიცებს, სტალინმა არაფერი იცოდა დახვრეტების შესახებ და ამას თითქოს სხვა ადამიანები აკეთებდნენ, თუმცა როგორც ცნობილია, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი სტალინის უშუალო ბრძანებით დახვრიტეს. სტალინი ისე

მალავდა ამ ყველაფერს, თითქოს არაფერი იცოდა. (მჭედლიშვილი, 2006, 55) „ხალხის მტერი მარტო ის კი არაა, ვინც საბოტაჟს ეწევა, არამედ ისიც, ვისაც პარტიის სისწორეში ეჭვი შეაქვს. ასეთები კი ბევრნი არიან და ჩვენ მათი ლიკვიდაცია უნდა მოვახდინოთ.“ „გაუმარჯოს ყოველი მტრის, მათ და მათი მოდგმის სრულ განადგურებას“.–სტალინი. (მონტეფიორე, 2012, 295)

არსებობს ფაქტები იმის დასადასტურებლად, რომ ადამიანები რომლებსაც უშუალოდ შეეხოთ 1937 წლის რეპრესიები, მაინც ადიდებდნენ სტალინს. ერთ–ერთი რეპრესირებული იგონებს თავისი ოჯახის წევრების სიტყვებს, რომელიც დააპატიმრეს უსაფუძვლოდ: „ღმერთო გვიცოცხლე და გვიდღეგრძელე დიდი ბელადი! სტალინო, პარტიიდან შენმა მტრებმა გამრიცხეს, ეგონათ სტალინს ერთი ერთგული და თავდადებული კაცი დააკლდებაო, შენს ერთგულებას და სიყვარულს არ მოვიშლი, სანამ ცოცხალი ვარო“. (შამანაძე, 1996,9) უამრავ ადამიანს ხატების გვერდით სტალინის სურათი ჰქონდათ და მას ევედრებოდნენ დაპატიმრებული ადამიანების დაბრუნებას. ადამიანს, რომელიც თავად იყო ამ რეპრესიების შემოქმედი წმინდანად აღიქვამდნენ და ბავშვებსაც მის სიყვარულს უნერგავდნენ.

ჩემი აზრით, იმ ეპოქის რეალურ შემფასებელს- კანდიდ ჩარკვიანს მოჰყავს ჭიჭინაძის და ბარამიას საქმე, როცა მათ სრულიად უსაფუძვლოდ ანტიპარტიული ქმედებების ჩადენაში დასდეს ბრალი. ის აიძულეს წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა:“ვერ შევამჩნიეთ ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობა, ფარდა ვერ ავხადეთ მის მონაწილეებს, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს“. ჩარკვიანი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დარწმუნებული იყო ამ ადამიანების უდანაშაულობაში, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. (ჩარკვიანი, 2015,234)

რეპრესიების სიმწვავეს ადასტურებს კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები, უდანაშაულო ხალხი თანდათან მცირდებოდა სამსახურებში, თანამდებობებზე. როგორც ჩარკვიანი წერს 4 მომუშავე ინსტრუქტორიდან 2 დარჩა, მოგვიანებით კი ის 2იც იმსხვერპლა რეპრესიებმა. (ჩარკვიანი, 2015,9)

მიხეილ მგალობლიშვილის მოგონებებიდან ირკვევა, რომ იმდენად ძლიერი იყო საბჭოთა პროპაგანდა, ვერც კი იჯერებდნენ უდანაშაულო ხალხის დასჯის ფაქტებს. მიხეილ მგალობლიშვილი, რომელიც კულტურის სფეროში მომუშავე ადამიანი იყო და რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა იმ დროის კინოხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან–რეჟისორებთან, მსახიობებთან, თავადაც რეპრესიის მსხვერპლი გახდა. ის აღნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში, სანამ მისი ნაცნობი უდანაშაულო ადამიანები არ დააპატიმრეს, სჯეროდა რომ ბერია სტალინის დავალებით ნამდვილ დამნაშავეებს იჭერდა, ასახლებდა და ხვრეტდა. თუმცა საბოლოოდ დადგინდა, რომ სტალინმა და ბერიამ კარგად იცოდნენ ამ ხალხის უდანაშაულობა. ოჯახის წევრები არ ენდობოდნენ ერთმანეთს. როგორც რეპრესირებული მიხეილ მგალობლიშვილი წერს, ხალხი ცდილობდა ერთმანეთი დაესმინათ რომ რაიმე სარგებელი მიეღოთ. საინტერესო და ამავე დროს გასაკვირია ის ფაქტი, რომ დახვრეტის, გადასახლების მოლოდინში მყოფი ხალხი, ვინც მოგონილ ბრალდებებზე ძალით აწერდნენ ხელს, მაინც სტალინის ქება–დიდებაში იყვნენ და ინტერესდებოდნენ მისი საქმიანობით ციხეშიც კი. თუმცა სწორედ სტალინის ბრძანებით გაუსაძლის პირობებში ამყოფებდნენ დაპატიმრებულებს, სასტიკად აწამებდნენ და აიძულებდნენ სხვებიც დაებეზღებინათ. მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქართველი ხალხი, ძირითადად ინტელიგენცია, სტალინის ბრძანებების გამო. (მგალობლიშვილი, 2016,17–24, 42) 1937 წელს გამოვიდა სსრკ–ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანება N 00486, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების და 15 წელს ზევით შვილების რეპრესირება და მათი ქონების კონფისკაცია. (გვარიშვილი, 1998,19) ადამიანთა წამებას არც მალავდნენ, ოფიციალურად გამართლებული იყო ამგვარი ქმედებები. სტალინის თქმით, „ფიზიკური ზეწოლის გამოყენება სრულიად სწორი და მიზანშეწონილი მეთოდი იყო“. (მონტეფიორე, 2012, 297)

სტალინის სასტიკ მეთოდებზე მიუთითებს სანდრო ახმეტელის დახვრეტა, რომელსაც, სრულიად უდანაშაულოს დააბრალეს სამხედრო დაჯგუფებების შექმნა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასევე, მას ბრალად ედებოდა სტალინის და ბერიას ფიზიკური განადგურების მცდელობა. სანდრო ახმეტელი

თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაპატიმრებული ყავდათ და დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად აღიარებინეს დანაშაული. მას ასევე აიძულეს დაესახელებინა „თანამზრახველები“, რომელთა რაოდენობა 200–ს შეადგენდა. დასახელებულთა შორის იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია. სრულიად აბსურდული ბრალდებები აღიარეს ამ ადამიანებმა. ამ ბრალდებების აბსურდულობას ადასტურებს ისიც, რომ იმ ადამიანებმა, ამ ხალხს აღიარებინეს დანაშაული, წლების მერე თავად დაადასტურეს რომ ფიზიკურ ძალას იყენებდნენ სასურველი ჩვენებების მისაღებად. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მასალებიდან ირკვევა, სანდრო ახმეტელი აკაკი ვასაძემ დაასმინა. თუმცა წლების მერე თავად აკაკი ვასაძე იხსენებდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა საკუთარ ჩვენებაზე. სანდრო ახმეტელის საქმე კარგად ასახავს იმდროინდელ სიტუაციას. (კლდიაშვილი, ავალიშვილი, 2010,37–44) სანდრო ახმეტელთან ერთად გაანადგურეს თეატრის უამრავი მოღვაწე, მსახიობები, რეჟისორები, მათი ოჯახის წევრებს კი დაპატიმრებით ემუქრებოდნენ და მუდმივ შიშში აცხოვრებდნენ. (გვარიშვილი, 1998, 48)

გაჩნდა აჭარის და სიღნაღის საქმეები, რომლები სრულიად მოგონილი იყო. ადამიანებს ადანაშაულებდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, ჯაშუშურ საქმიანობასა და უცხოეთთან კავშირში, რის გამოც „მონაწილეები“ დახვრიტეს. (გვარიშვილი, 1998,50–52)

მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც თავისუფალ სიტყვას უზღუდავდნენ, წერდა, რომ აღარ შეეძლო საქართველოში ცხოვრება და დაკვეთილი ნაწარმოებების წერა– „ყველგან სუფევს ჩვეულებრივი სიმდაბლე, ჭორიკანობა და გულგატეხილობა. დავიშრიტეთ, დავიქანცენით და მოვიღუნეთ.“ (არველაძე, 2008, 71) მიხეილ ჯავახიშვილს, ისევე, როგორც სხვა ადამიანებს, სასტიკი წამების შემდეგ აიძულეს ეღიარებინა არარსებული დანაშაული და აღიარების შემდეგ 1937 წელს დახვრიტეს. ეს იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ როგორ იზღუდებოდა თავისუფალი სიტყვა.

მიხეილ ჯავახიშვილი იცავდა გრიგოლ რობაქიძის სახელს, რომელიც საბჭოთა ზეწოლის მსხვერპლი გახდა. ის აიძულეს ცხოვრება საქართველოს ფარგლებს გარეთ გაეგრძელებინა, რადგან სამშობლოში მას სხვადასხვა ბრალდებებს უყენებდნენ. გარიცხეს მწერალთა კავშირიდან და აუკრძალეს თავისუფალი სიტყვა. გრიგოლ რობაქიძე კი მუდმივად იცავდა ქართულ ენასა და სიტყვას, საბჭოთა პოლიტიკა და ბოლშევიზმი კი ყველაზე დიდ საფრთხედ მიაჩნდა საქართველოსთვის. (ბარბაქაძე, 2010, 140)

ზემოაღნიშნულიდან დასტურდება სტალინის მონაწილეობა რეპრესიებში და ჩანს ადამიანთა დამოკიდებულება. საინტერესოა რამ განაპირობა მათი ასეთი დამოკიდებულება სტალინისადმი.

3.3 სტალინის კულტი საქართველოში

თემის ამ ნაწილში მინდა ავხსნა, თუ როგორ ჩამოყალიბდა სტალინის კულტი საქართველოში, რამ განაპირობა სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება.

სტალინი წმინდანთან ყავდათ გაიგივებული. მის სურათებთან ლოცულობდნენ, იქმნებოდა ლეგენდები, მითები. წმინდანების ყოვლისშემძლეობას ანაცვლებდა სტალინის ყოვლისშემძლეობა და როგორც შამანაძე აღნიშნავს, სწორედ ამ სახით ასწავლიდნენ ბავშვებს სკოლაში, რომ სტალინი იყო ყველაფრის მცოდნე და ყოვლისშემძლე. „ღმერთი მამაზეციური სტალინია“–ასე შთააგონებდნენ ბავშვებს, ყვებოდნენ ლეგენდებს, ქმნიდნენ მითებს სტალინზე, სადაც ხაზგასმული იყო მისი ყოვლისშემძლეობა. (შამანაძე, 1996,29–30,32)

საინტერესოა აკაკი ვასაძის მოსაზრება, ის სტალინს გამაერთიანებლად მიიჩნევს, რომელმაც წაშალა ზღვარი საქართველოს კუთხეებს შორის. „დამპყობლები ყოველთვის ცდილობდნენ დაენაწევრებინათ საქართველო კუთხეებად და ერთმანეთში შუღლი ჩამოეგდოთ, თუმცა საბჭოთა კავშირმა ეს ზღვარი წაშალა და გააერთიანა საქართველო, აღარ იყო აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის დაპირისპირება. ამას კი მეცნიერების,

კულტურის, ეკონომიკის აყვავება მოჰყვა“. საინტერესოა აკაკი ვასაძის მიერ აღნიშნული ფაქტი როცა შეხვედრის დროს სტალინთან, თითოეულ სტუმარს თავიანთი კუთხის ღვინო მიუტანეს. ეს ფაქტი შეიძლება საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას დავუკავშიროთ, თითოეული ჯგუფის წახალისების მცდელობას. პარალელურად ვასაძე აღნიშნავს რომ სტალინი დაინტერესებული იყო ქართული ღვინის, ყურძნის ტრადიციებით, რაც ქართველებისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული ღირებულება იყო. (ვასაძე,2012, 12–20) როგორც ვასაძე აღნიშნავს, მას აცვიფრებდა სტალინის გამჭრიახობა, ის წერს მის განათლებაზე, რომ წიგნებს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში კითხულობდა, რომ საღად აზროვნებდა და რაციონალურად, (ვასაძე,2012, 63–65)

სტალინი თავად ზრუნავდა საკუთარი თავის განდიდებისთვის. სტალინი იყო გამაერთიანებელი იქ, სადაც არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფოებრივი მოწყობა, ქარიზმატულ ლიდერებს ყოველთვის ყავთ მხარდამჭერები. სტალინსაც ასეთი წარმოდგენა ჰქონდა კულტის შესახებ. 1930–იან წლებში მ.ა სვანიძეს უთხრა „ ხალხს სჭირდება ცარი, ანუ ის ვინც იქნება მათი კერპი და ის, ვის გამოც იცხოვრებენ და იშრომებენ“.

სტალინის 1929 წლის იუბილე არის სტალინის კულტის შექმნის დასაწყისი (დევისი, 2015,466). იწერება ბიოგრაფიული წიგნი სტალინზე. მიმდინარეობდა შეჯიბრი ვინ დაწერდა მის ბიოგრაფიას. საბოლოოდ ბერიამ გამოაქვეყნა პირველი ბიოგრაფია სტალინზე. პარალელურად, ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის მიერ გამოქვეყნდა სტალინის ბიოგრაფია. მასალა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიაწოდა ბარბიუსს, თუმცა წიგნის ყველა ასლი ამოიღეს ყველა ბიბილიოთეკიდან, რადგან მასში მოხსენიებულნი იყვნენ სტალინის თანამებრძოლები, რომელიც წიგნის გამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს.

ბერიამ დიდი წვლილი შეიტანა სტალინის კულტის შექმნაში. მან 1935 წლის ივლისში გააკეთა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, სადაც მოცემულია სტალინის ბიოგრაფია, პარტიის ისტორია, რომლის შემქმნელად და სულისჩამდგმელად სტალინს ასახელებს. სტალინი არის ბოლშევიკური

იდეოლოგიის შემქმნელი და გამავრცელებელი– ამბობდა ბერია და ამით ხელს უწყობდა სტალინის სახელის პროპაგანდას. (კომუნისტი, 1945, 143, 1)

სტალინის სიყვარულს ბავშვობიდან უნერგავდნენ ადამიანებს. სკოლაში მასწავლებლები პროპაგანდას უწევდნენ სტალინს, სახელმძღვანელოები მხოლოდ კომუნიზმზე, სტალინზე, კომუნისტურ პარტიაზე წერდნენ. ყველგან იყო სტალინის ფოტოები, პიონერები იზრდებოდნენ კომუნისტური იდეოლოგიით, სტალინის სიყვარულით. ყველა სახლში, ხატების ნაცვლად ჰქონდათ სტალინის ფოტოები, ფილმები იქმნებოდა სტალინზე, კომუნიზმზე. ლიტერატურა იქმნებოდა მხოლოდ კომუნისტურ იდეოლოგიაზე და არ იყო ხელმისაწვდომი განსახვავებული აზრი. ეს პროპაგანდა გათვლილი იყო ძირითადად ახალგაზრდობაზე. (Kenny, 2015)

პროპაგანდა ვრცელდებოდა ლიტერატურის, ფილმების, განათლების, ხელოვნების საშუალებით. უამრავი ქუჩის, მოედნის, სხვადასხვა ადგილების სახელწოდებები სტალინის სახელს უკავშირდებოდა. (UKessays) დღევანდელ დღეს სტალინისტების განსაკუთრებული სურვილია აღდგეს სტალინის ძეგლი. როგორც ავტორი ქიქოძე აღნიშნავს, იმდენად დიდია მათი სიყვარული სტალინის მიმართ, რომ ეს ადამიანები უცხოელ მკვლევარებზეც კი ახდენენ ზეგავლენას. (ქიქოძე, 2009, 40–42)

საინტერესო წიგნი აქვს დაწერილი ნოდარ შამანაძეს სათაურით „როგორ შემაყვარეს სტალინი“, სადაც აღწერს მისი და მისი ოჯახის დამოკიდებულებას სტალინისადმი. ჩემი აზრით, ავტორის ეს წიგნი კარგად აღწერს იმ მოვლენებს, რის საფუძველზეც შეიქმნა სტალინის კულტი. ბავშვებს სკოლაში უყვებოდნენ ლეგენდებს სტალინზე, თუ როგორ გადაარჩინა სტალინმა დაკარგული ბავშვი, რომლის ადგილსამყოფელიც არავინ იცოდა. ეს თითქოს აბსურდულად ჟღერს, თუმცა ბავშვები ადვილად იჯერებდნენ და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა მარტივი იყო. მოსწავლეებს გულზე ეკეთათ სტალინის სურათი და წიგნში კარგად არის აღწერილი თუ როგორ განიცდიდნენ ამ სურათის დაკარგვას ან დაზიანებას. სტალინის შეურაცხყოფას მძაფრად აღიქვამდნენ. როგორც ნოდარ შამანაძე იგონებს, იმის გამო რომ სტალინს ოსი უწოდეს, მამამისი ძალიან გაბრაზდა და მთელი ღამე ამაზე ფიქრში გაატარა. ავტორი თავად არის მოწმე

თუ როგორ ლოცულობდნენ სტალინის სურათებთან ოჯახის წევრები. (შამანაძე, 1996, 38) ბევრს სჯეროდა რომ თუ ვინმეს დაიჭერდნენ, ესეიგი დამნაშავე იყო და სათანადოდ უნდა დასჯილიყო. ვერ იჯერებდნენ სტალინის ბრალს რეპრესიების მოწყობაში.

გაზეთებში დიდი ადგილი ეთმობოდა „სტალინურ კონსტიტუციას“, სადაც ნათქვამი იყო რომ ადამიანებს უნდა ჰქონოდათ თავისუფალი არჩევანის უფლება, უნდა ყოფილიყო სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება, ყველა უნდა ყოფილიყო თანასწორი, უნდა ჰქონოდათ მიტინგებისა და მსვლელობების მოწყობის შესაძლებლობა და აზრის გამოთქმის თავისუფლება. ავტორის აზრით, სწორედ სტალინური კონსტიტუცია იყო დემოკრატიის გარანტი, თუმცა სინამდვილეში რეპრესიებმა და ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაგვანახა კონსტიტუციის და მასში არსებული საკითხების უგულებელყოფა. (ჩელიაპოვი, 1936, 3)

როგორც ირკვევა, სტალინის კულტის შექმნის წინაპირობა და მიზეზი იყო პროპაგანდა, რომელსაც თავად სტალინი და მისი მომხრეები ეწეოდნენ.

4. ომში გამარჯვებული სტალინი

სამაგისტრო ნაშრომის ერთ–ერთი ჰიპოთეზა მოიცავს სტალინის, როგორც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულის როლს ქართველებისთვის. ბევრი ავტორი ამახვილებს ყურადღებას მის მხედართმთავრულ ნიჭზე. სტალინის მიმართ პატივისცემა გაძლიერდა ომის მოგების შემდეგ, ამას ადასტურებს კულტურის სფეროში გაძლიერებული პროპაგანდა სტალინისა, როგორც გმირის, რომელმაც იხსნა ხალხი სასტიკი მტრისგან. (დევისი, ჰარისი, 2015, 22) მას მიიჩნევდნენ გმირად, რადგან შეძლო ამ დიდ ომში გამარჯვების მოპოვება. თუმცა ჩემი ჰიპოთეზა გულისხმობს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას–არა როგორც მოვლენას, არამედ როგორც პროპაგანდის ნაწილს. ომში გამარჯვებას მიაწერდნენ სტალინს, ამაზე იქმნებოდა ფილმები, წერდა პრესა, ასე ასწავლიდნენ ბავშვებს სკოლაში. ეს კულტის შექმნის ერთ–ერთი მეთოდი იყო.

თუმცა არსებობს ფაქტები, რომელიც სტალინს წარმოაჩენს როგორც სასტიკ პიროვნებას და არა ომის გმირს, 1941–1942 წლებში სტალინის ბრძანებით 994000 სამხედრო მოსამსახურე გაასამართლეს, 157000 კი დახვრიტეს. ტყვედ ვინც ჩავარდებოდა, მას თავი უნდა მოეკლა, ტყვედ ჩავარდნილის ოჯახის წევრებს კი აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ (მონტეფიორე, 2012, 485) გენერალი ტოდოროვსკი, რომელმაც 18 წელი გაატარა პატიმრობაში, იკვლევდა სტალინის ბრძანებით დახვრეტილი ადამიანების შესახებ ფაქტებს. მხოლოდ მაღალი რანგის სამხედრო პირი 44 000 იქნა დახვრეტილი, რომ არ ჩავთვალოთ შედარებით დაბალი ჩინის სამხედრო პირები. ეს ციფრები სამამულო ომის დაწყებამდე პერიოდის მონაცემებია. (გვარიშვილი, 1998,11) ასევე ცნობილია ის ფაქტი რომ სტალინი არ ინდობდა ტყვედ ჩავარდნილ ჯარისკაცებს. მათ სამშობლოს მოღალატეებად აცხადებდა და ყველა ტყვედ ჩავარდნილს, მისი ბრძანებით, ხვრეტდნენ. როგორც ერთ–ერთი ომის მონაწილის მოგონებებიდან ირკვევა, რამდენიმე ტყვედ ჩავარდნილმა პარტიზანულად გააგრძელა გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლა და ამით სამსახური გაუწია საბჭოთა კავშირს, თუმცა ომიდან დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს, გადაასახლეს და სამშობლოს ღალატში დასდეს ბრალი. სტალინის

უშუალო ბრძანება იყო გაენადგურებინათ ყველა ტყვედ ჩავარდნილი „მოღალატე“. მათ შორის გაწირა საკუთარი შვილი იაკობი. (გვარიშვილი, 1998, 55–56)

რაც შეეხება სტალინს–როგორც მხედართმთავარს: არსებობს ფაქტები, რომლებიც მიუთითებს სტალინის სისუსტეზე ომის დროს. როგორც მონტეფიორეს აქვს აღნიშნული, თავდაპირველად სტალინი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და ხელიც კი აიღო მეთაურობაზე, მას აღარ შესწევდა ძალა ყოფილიყო მხედართმთავარი, ეს ყველაფერი გამოწვეული იყო ომის პირველ პერიოდში მარცხით. მან ჩათვალა რომ ლენინის მიერ შექმნილ სახელმწიფოს ვერ მოუარა. მინსკის დაცემის შემდეგ განსაკუთრებით სასოწარკვეთილი იყო სტალინი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა უუნარო ყოფილიყო სტალინი, მისი სახელის ხსენებაც კი ხალხში საბრძოლო სულისკვეთებას აღვივებდა. სტალინის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვერცერთ ფრონტს ვერ წაადგა, ბევრი ჯარისკაცი და ტექნიკა დაიკარგა. ამავე დროს სტალინმა მხარი დაუჭირა ენკაგებეს ნომერ 246 ბრძანებას, რომლის მიხედვითაც ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცის ოჯახის წევრებს სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, ხალხისთვის, ომში მებრძოლი ადამიანებისთვის სტალინი გმირი იყო. (მონტეფიორე, 2012,457– 464)

„განსაკუთრებით სახელგანთქმული საბჭოთა მხედართმთავრების გამონათქვამები ცხადყოფენ, რომ 1941–1945 წლების საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში გმირი საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი წითელი არმია სტალინში ხედავდნენ საყოველთაოდ აღიარებულ მხედართმთავარს–ფაშისტურ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე დიადი გამარჯვების ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს– სტალინი უშაუალოდ მუშაობდა ფრონტების ყველა სარდალთან, აგრეთვე არმიების სარდლებთან, პირადად იცნობდა ბევრ სამხედრო მეთაურს, მათ შორის კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებსაც.“ (ტაკიძე, 2013, 526–527) ამასთანავე მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა უამრავი ქართველი გაიწვიეს ომში, პარალელურად საბჭოთა რეგიონებიდან ჩამოასახლეს ლტოლვილები, რისი მიზანიც საქართველოს დატოვება იყო ქართველების გარეშე. საინტერესოა ის ფაქტი რომ საბჭოთა მთავრობა საშიშად თვლიდა მეორე

მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ და მათ ნათესავებს, რომლებსაც წარმოდგენა ჰქონდათ დასავლეთზე და მათ ღირებულებებზე, ამიტომ ამ ღირებულებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად მათაც ასახლებდნენ. ხშირად, დანიშნულების ადგილსაც ვერ აღწევდნენ გადასახლებულები და გზაში იღუპებოდნენ. (იზორია, 2010,41, 44)

ა.გოლოვანოვი–ავიაციის მთავარი მარშალი „მე ბედნიერება მქონდა, მემუშავა ამ უდიდეს ადამიანთან, რომლისთვისაც სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ინტერესებზე მაღლა არაფერი იდგა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავისთვის არ უცხოვრია, არამედ ისწრაფოდა ჩვენი სახელმწიფო ექცია მსოფლიოში მოწინავე, ძლიერ ქვეყნად. ამას ვლაპარაკობ მე, რომლისთვისაც 1937 წელს გვერდი არ ჩაუვლია.“ პარადოქსული და აუხსნელია მათი დამოკიდებულება სტალინის მიმართ, ვისაც პირადად შეეხო სტალინის რეპრესიები.

სამამულო ომში მებრძოლები, რომლებიც შემდგომ დააპატიმრეს, მაინც პატივს ცემდნენ სტალინს, როგორც მხედართმთავარს „სტალინმა ომი მოიგო, ჩვენ კი, მისი ბრძანებით– ცალკეული ბრძოლები.“ არმიის გენერალი პ. ბატოვი– „ბევრს ნიშნავდა სტალინის ავტორიტეტი. მისი სახელი აღაფრთოვანებდა ბრძოლაში ჩვენს მებრძოლებს, ოფიცრებსა და გენერლებს“. (ტაკიძე, 2013, 530) ამ შეფასებებიდან კარგად ჩანს თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სტალინის მიმართ, მას მიიჩნევდნენ ადამიანად, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა მეორე მსოფლიო ომში და ამის გამო მათთვის გმირი გახდა.

„დიდი ხნით რჩებოდა კაბინეტში და განიხილავდა ომის მსვლელობის სტრატეგიებს, ათასობით დოკუმენტს აწერდა ხელს და უამრავ ადამიანს იღებდა შეხვედრებზე რომ განეხილა ომის საკითხები. მისი მტრებიც კი აღიარებდნენ მის შესანიშნავ უნარებს და ამბობდნენ რომ მსგავსი შესაძლებლობები არ გააჩნდა არცერთ სხვა ადამიანს და მსგავსი შედეგის მიღწევა არ შეეძლო სხვას. გენერალი მ. შტემენკო თავის წიგნში „გენერალური შტაბი ომის წლებში, აღნიშნავს რომ სტალინი ერთპიროვნულად არ იღებდა გადაწყვეტილებებს. მისი სტატეგიული აზროვნების ნიჭი, სიმკაცრე მნიშვნელოვანი იყო. არასდროს აპატიებდა სხვას უზუსტობას, ზედაპირულობას. ძალიან

თავშეკავებული და მშვიდი იყო გადაწყვეტილებების მიღების დროს. მას ზუსტად შეეძლო მიეყენებინა დარტყმა მტრისთვის, ან თავიდან აეცილებინა მისი თავდასხმა ომის ნებისმიერ ეტაპზე“. „ამან განაპირობა კურსკის, სტალინგრადის, მოსკოვის, უკრაინისა და ბელორუსიის, ბერლინის ბრძოლებში გამარჯვება.“(ტაკიძე, 528–529) ამ შეფასებიდან კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება სტალინისადმი. მისთვისაც სტალინი გამორჩეული თვისებების მქონე მხედართმთავარია და ყველა გამარჯვებას მას მიაწერს. აქედან გამომდინარე, სტალინი იმის გამო რომ გამარჯვება მოიპოვა მათთვის გმირად იქცა, მიუხედავად იმისა რომ 1937 წლის რეპრესიებს უკვალოდ არ ჩაუვლია ამ ადამიანებისთვის და მათი ოჯახებისთვის.

ხრუშჩოვის მიერ სტალინის კულტის დაგმობის შემდეგ, მაინც იცავდნენ სტალინის, როგორც მხედართმთავრის სახელს. ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა, ცდილობდნენ დაეკნინებინათ სტალინის, როგორც მხედართმთავრის სახელი, თუმცა ტაკიძის შეფასებით, სტალინს გააჩნდა ნებისყოფა და ჭკუა, რაც მთავარი ნიშანია კარგი მხედართმთავრისთვის. მოგვიანებით, როცა სტალინის კულტი დაიგმო, არსებობდა შიში სტალინის დადებითად ხსენების. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობდა საშიშროება ხრუშჩოვს დაეტოვებინებინა მხედართმთავრებისთვის თანამდებობები, ისინი სტალინს მაინც უდიდეს მხედართმთავრად თვლიდნენ და აღნიშნავდნენ რომ ომში გამარჯვება მისი უდიდესი დამსახურება იყო. ხრუშჩოვი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სტალინის გარეშეც გაიმარჯვებდნენ ომში, და სვამდა კითხვას რატომ არ გახდნენ გერმანიის ან აშშ–ს „მონები“ახლა. თუმცა მის მიერ დაწყებული სტალინის კულტის დაგმობა მართლაც გახდა სოციალიზმის და საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობა. „მიუხედავად იმისა რომ სტალინს არ ჰქონდა სამხედრო განათლება, ის შესანიშნავი მხდართმთავარი იყო.“–ასეთია ავტორის შეფასება. ისინი, ვინც იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში, დაწერეს ნაშრომები, სადაც აღნიშნულია სტალინის დიდი ღვაწლი მათ გამარჯვებაში. ამ ნაშრომების დაბეჭდვას ეწინააღმდეგებოდა ხრუშჩოვი. (ტაკიძე, 2013, 525, 539–546)

აკაკი ვასაძე თავის მოგონებებში სტალინთან შეხვედრის შესახებ წერს: „ჩვენ ხომ იმ ადამიანის სანახავად მივემგზავრებოდით, ვინც საფიცრად ჰყავდა საბჭოთა ხალხის დიდ უმრავლესობას, ვისი სახელითაც სიკვდილს ეგებებოდა ომში საბჭოთა ჯარისკაცი, ვინც ნამდვილი ძმური სიყვარულით დააკავშირა საბჭოთა კავშირში შემავალი ერები და ჩაუნერგა მტკიცე რწმენა ბედნიერი მომავლისა“. აკაკი ვასაძე არ მალავს თავის დამოკიდებულებას სტალინისადმი და ამ სიტყვებშიც კარგად ჩანს სტალინის, როგორც ომში გამარჯვებული მხედართმთავრის როლი.

ხრუშჩოვი და მისი მიმდევრები ამბობდნენ, რომ „მან არ იცოდა საბრძოლო ოპერაციის წარმართვის ბუნება“, „სტალინი შორს იყო ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის რეალური გაგებისგან“, „ომისთვის ქვეყანა კარგად არ მოამზადა“, „ომის პირველ დღეებში აგარაკზე წავიდა, შეეშინდა.“ ხოლო ტაკიძე აღნიშნავს, რომ სტალინი თავად ხელმღვანელობდა ომის მსვლელობას და მაშინაც კი, თუ ის არ იმყოფებოდა მოსკოვში, სხვას მაინც არ გადასცემდა ხელმძღვანელობის უფლებას. ის კარგი ტაქტიკოსი იყო. (ტაკიძე, 2013, 520–525) ამ შეფასებებიდან, ვხედავთ გაზვიადებულ წარმოდგენებს სტალინის მიმართ, რომელმაც თითქოს ერთპიროვნულად მოიპოვა გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში. ამით კარგად ჩანს თუ როგორ იმუშავა პროპაგანდამ ადამიანებზე. ჩარკვიანი ლექსს უძღვნის მას, როგორც ომის გმირს „გიმღერით ბელადს, ვინც ბერლინი მილეწ–მოლეწე”.

მიხეილ მჭედლიშვილის მოყვანილი მონაცემების მიხედვით, 700 000 ქართველი იღებდა მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში, აქედან 300 000 დაიღუპა, უმრავლესობა ქერჩის ბრძოლებში. ქართველთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო, რადგან სტალინის ინიციატივით შეიქმნა ცალკე ქართული დივიზიები. მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა რუსულ სამხედრო ჯგუფებში რომ ებრძოლათ ქართველებს. (მჭედლიშვილი, 2006, 50–51)

სტალინი თავის მიმართვებში ისე განაწყობდა მებრძოლებს, (რაც პროპაგანდის ნაწილი იყო) რომ ისინი მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლე შეეწირათ სამშობლოსა და სტალინისთვის. ეს ორი რამ მათთვის ერთიდაიგივე მნიშვნელობის იყო. სტალინის

მიმართვა საბჭოთა მეომრებს: „თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ, როგორც განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომელნიც გერმანელ დამპყობთა უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი“. (პიონერი, 1946, 12, 3–4)

1930–იანი წლებიდან გაზეთები აქტიურად წერენ სტალინზე, თუმცა ომის დამთავრების შემდეგ სტალინის, როგორც ომში გამარჯვებულის როლი, უფრო ხშირად არის აღნიშნული პრესაში. გაზეთ კომუნისტის სტატიების უდიდესი ნაწილი ეთმობა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას, რომელსაც სტალინის დამსახურებად თვლიან. თითოეულ სტატიაში ხაზგასმულია სტალინის, როგორც ამ გამარჯვების შემოქმედის მნიშვნელობა და სტატიების დიდი ნაწილი მთავრდება ფრაზით „გაუმარჯოს უდიდეს გენერალისიმუსს–სტალინს, გაუმარჯოს გენიალურ ხელმძღვანელს–სტალინს და ა.შ.“ ასეთია ერთ–ერთი სტატიიდან ამონარიდი: „ამხანაგ სტალინის გენიალურ სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ გავიმარჯვეთ ყველაზე სასტიკ და საშინელ მტერზე, როგორიც კი ისტორიას ახსოვს“. გაზეთ კომუნისტში დაბეჭდილი სტატიის სათაური ასე ჟღერს: „საქართველოს მშრომელები მიესალმებიან ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს დიდ სტალინს“ (კომუნისტი, 1945, 170, 3) იბეჭდება სტალინის მიმართვა ხალხისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირის და მოკავშირე ქვეყნების არმიების მნიშვნელობას უსვამს ხაზს: „დიდება საბჭოთა კავშირის, აშშ–ს, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე“, ქვეშ კი სტალინის ხელმოწერა. სტატიებთან ერთად დაბეჭდილია სტალინის ფოტოები, რომელიც პროპაგანდის კარგი საშუალებაა.

საბავშვო ჟურნალშიც კი იბეჭდება წითელი არმიის წარმატებებზე, რაშიც დიდი წვლილი სტალინს მიუძღვის. „წითელი არმიის სიამაყე“–დაბეჭდილია სტატია ასეთი სათაურით, სადაც სამხედრო გამარჯვებები სტალინს და მის ნიჭს მიეწერება. „საბჭოთა არტილერიამ უმაგალითო ძლიერებას მიაღწია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით“,

სტატიებში გამოყენებული იყო ასეთი ფრაზა: „სტალინური არტილერია“. ამავე ნომერში იბეჭდება ვახტანგ გორგანელის სიმღერა, სადაც ასეთი ფრაზაა გამოყენებული „წინ სტალინის სიბრძნე, გამარჯვების საწინდარად“. (პიონერი, 1946, 11, 5–6, 15)

5. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირში შემავალი თითოეული ერის წახალისებას, წახალისებაში იგულისხმება ენის, პრესის, კინოს, თეატრის განვითარება და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, თუმცა აღნიშნული პოლიტიკა ისევ პოლიტიკური ელიტის მიზნებს ემსახურებოდა. სურდათ სოციალიზმის გავრცელება ადგილობრივ ენებზე, რადგან ეს უფრო მარტივი აღსაქმელი იქნებოდა მათთვის. რაც შეეხება კულტურის სფეროს–მწერლობა, კინო, თეატრი–ყველაფერი იქმნებოდა ცენზურის გავლით და ამის გამო თავისუფლებადაკარგულ კულტურის ნიმუშებს არანაირი ღირებულება არ ჰქონდა.

როგორც ლავრენტი ბერია თავის ნაშრომში „ლენინურ–სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“ აღნიშნავს, საქართველო 1935 წლისთვის იქცა სამრეწველო ქვეყნად, ის ადარებს 1913 წელს არსებულ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას, 1935 წლის მდგომარეობას. მოჰყავს მონაცემები სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდის შესახებ და ამბობს რომ ეს ყველაფერი დამსახურებაა ლენინურ–სტალინური ნაციონალური პოლიტიკის. „საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო საქართველოს ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება“. ასევე, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის დამსახურებად მიიჩნევს განათლების დონის ამაღლებას, სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღებას და ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას, თეატრის და კინოს აყვავებას. როგორც ბერია აღნიშნავს, მაღალხარისხოვანი სპექტაკლები და ფილმები, წიგნების სიუხვე– საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის დამსახურებაა და აქვე უსვამს ხაზს იმ დროს გამოცემული წიგნების მნიშვნელობას–„ასეულ–ათას ეგზემპლარობით გამოიცა ქართულ ენაზე მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებები“–ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს სლეზკინის მოსაზრების უტყუარობა რომ ქართულ ენაზე განათლება სჭირდებოდათ საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად. (ბერია, 1936, 30–45)

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის არსებობას და მის ხელშეწყობას სტალინის მიერ ადასტურებენ ისტორიკოსებიც. „საბჭოთა კავშირში შემავალი ერის და ამ ერებში

არსებული ეთნიკური უმცირესობების კულტურული ღირებულებები იყო წახალისებული სტალინის მიერ: კინო, მუსიკა, მწერლობა, თავიანთ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა“. (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, 2012)

სტალინი თავადვე თავის ნაშრომში, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ აყენებს საკითხს ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორობის შესახებ და ემხრობა კანონის შექმნას, რომელიც არ მისცემს არცერთ ნაციონალობას არანაირი სახის პრივილეგიას.(სტალინი,1951,168) სწორედ ეს იყო საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის არსი, შეექმნათ თანასწორი ერთობა თანასწორი უფლებებით, თუმცა, როგორც სლეზკინი აღნიშნავს, ეს პოლიტიკა არსებობდა იმისთვის რომ გაევრცელებინათ თავიანთი იდეოლოგია–სოციალიზმი, კომუნიზმი და მარქსიზმი. (სლეზკინი, 1994) ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს რომ აღნიშნული კინო, თეატრი, მუსიკა, მწერლობა დამოუკიდებლად არ არსებობდა. თითოეული კულტურის ნიმუში სტალინის ცენზურას გადიოდა, შესაბამისად, დამოუკიდებელ და თავისუფალ აზრს გასაქანი არ ქონდა, აქედან გამომდინარე, რა აზრი ჰქონდა აღნიშნული კულტურული ნიმუშების შექმნას, თუ ის მხოლოდ სტალინის ქება–დიდებას მოემსახურებოდა და არანაირი ღირებულება არ ექნებოდა? თუმცა, ჩემს ნაშრომში, საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას განვიხილავ პროპაგანდის ჭრილში. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა გამოყენებული იქნა სტალინის პროპაგანდისთვის, მისი კულტის შექმნისთვის.

სტალინი თავის ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ აღნიშნავს რომ ერთიან სოციალისტურ სისტემაზე გადასვლამდე, თითოეულ ერს მიეცემოდა საშუალება განვითარებულიყო, არ ექნებოდა ადგილი ჩაგვრას და უნდა ყოფილიყო თანასწორობა. თითოეულ ერს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა განვითარებულიყო კულტურული, სოციალ–ეკონომიკური თვალსაზრისით. სოციალიზმი კი, მარქსისტების აზრით, გულისხმობდა ბურჟუაზიული ეპოქის დასასრულს, სადაც ადგილი აღარ ექნებოდა ჩაგვრას, ყველა იქნებოდა თანასწორი თავიანთი ეკონომიკით, კულტურული ღირებულებებით და არ ექნებოდათ პრეტენზია ერთმანეთის რესურსებზე. სოციალიზმის დამყარების შემდეგ კი იგეგმებოდა ერების შერწყმის პროცესი,

გამაერთიანებელი კი უნდა ყოფილიყო რუსული ენა. (სტალინი,1954,17–18) საბოლოოდ, თითოეული ერის „თვითმყოფადობის შენარჩუნების“ პოლიტიკა ემსახურებოდა ამ ხალხების საბოლოოდ შერწყმას, საბჭოთა ხალხად ჩამოყალიბებას, სადაც დაიკარგებოდა ყველა ის მახასიათებელი, რაც ერის არსებობისთვის აუცილებელია.

სტალინი საკუთარ მხარდაჭერას ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში გამოხატავს ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, სადაც აღნიშნავს რომ „მხოლოდ თვითონ ერს აქვს უფლება განსაზღვროს თავისი ბედი, არავის არ აქვს უფლება ძალდატანებით ჩაერიოს ერის ცხოვრებაში, დაანგრიოს მისი სკოლები და სხვა დაწესებულებები, დაარღვიოს მისი ზნე–ჩვეულებები, შეავიწროოს მისი ენა, შეუკვეცოს უფლებები, მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძვლებზე, მას უფლება აქვს სავსებით გამოიყოს. ერი სუვერენულია და ყველა ერი თანასწორუფლებიანია.“ „ერს უფლება აქვს მოეწყოს როგორც სურს, ისე რომ სხვა ერთა უფლებები არ შელახოს“ (სტალინი, 1951, 53–54, 59) სტალინს მოჰყავს შპრინგერის აზრი საკუთარი იდეის გასამყარებლად: „საჭიროა მივცეთ ეროვნებებს სწორი ორგანიზაცია, აღვჭურვოთ ისინი უფლება–მოვალეობებით.“ შპრინგერი ერების შექმნაზეც საუბრობს, რაც საბჭოთა პოლიტიკის ნაწილი იყო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს უმცირესობების კონსტიტუციაზე და მათ უფლებებზე, რაც იქნება გარანტი ნაციონალური გამოვლინებების აღკვეთის. თითოეული ერის წარმომადგენელი ირჩევს თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნება და ბაუერის მიხედვით, ისინი ირჩევენ „ნაციონალურ საბჭოს“, რომლის მთავარი ფუნქციაა იზრუნოს ნაციონალურ ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე, აკადემიებზე, მუზეუმებზე, გალერეებზე, თეატრებზე. ნაციონალური ავტონომიები, ბაუერის აზრით, ყველა სახელმწიფოში უნდა იქმნებოდეს. მათი აზრით სოციალიზმი ნაციონალურ ავტონომიებს დაეფუძნება, თუმცა სტალინი ფიქრობს, რომ კულტურულ ავტონომიებად დანაწევრება ვერ მოაგვარებს ნაციონალიზმის პრობლემას. „ერს კულტურულად განვითარება შეუძლია მშობლიურ ენაზე“. უმცირესობა უკმაყოფილოა არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ დედაენის უფლების უქონლობით. სტალინის აზრით, უმცირესობების უფლებები მაშინ დაკმაყოფილდება და მათი

წინააღმდეგობა იმ შემთხვევაში გაქრება, თუ საკუთარი მშობლიური ენა და მშობლიური სკოლა ექნებათ.(სტალინი, 1951, 85–167)

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის მიზანი იყო, რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობა ჰქონოდათ საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისგან. ეს კი მიიღწეოდა თანასწორობით და თავდაპირველად გარკვეული უფლებების მინიჭებით. წინააღმდეგობის შესამცირებლად შემუშავებული იქნა კორენიზაციის პოლიტიკა–ფესვებისკენ მიბრუნება, რაც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ნაწილი იყო და გულისხმობდა თითოეული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერისთვის მინიჭებულ უფლებებს: თავიანთ ენაზე მიეღოთ განათლება, ვისაც არ ჰქონდა ისტორია და ენა, მათ უქმნიდნენ ახალ ისტორიას და ენას. ტერიტორიებს ეწოდებოდა იმ ეთნოსის სახელი, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, თანამდებობებს კი იკავებდნენ დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები. საბჭოთა მთავრობის მიზანი იყო შეექმნათ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური სახელმწიფო.

აკაკი ვასაძე თავის მოგონებებში აღწერს სტალინთან შეხვედრას და მოჰყავს საინტერესო ფაქტები. სტალინთან შეხვედრის დროს, თავად სტალინმა უარი თქვა თბილისში დასწრებოდა რუსთაველის თეატრის წარმოდგენას. ამბობდა: „რას იტყვიან უკრაინელები, სომხები, ბელორუსები. მოსკოვში შეიძლება ნახვაო“. ამით უნდოდა ხაზგასმა იმისა, რომ ყველა თანასწორია და არცერთი ერი არ უნდა ჩადგეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში (ვასაძე, 2012, 120) როგორც სლეზკინი აღნიშნავს, ცენტრი–მოსკოვი იყო დამაკავშირებელი საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების. მოსკოვი არის ადგილი, სადაც წარმოდგენის ნახვა არ გაანაწყენებს არცერთ ერს. სტალინის პოლიტიკა ერთიმხრივ ითვალისწინებდა თითოეული ერის და ეთნიკური ჯგუფის წახალისებას, თუმცა აღნიშნულ ერებს და ეთნიკურ ჯგუფებს უნდა ჰქონოდათ გამაერთიანებელი რამ, რაც მათ ერთმანეთთან დააკავშირებდათ. ეს დამაკავშირებელი იყო სწორედ რუსული ენა, რომელიც ყველამ იცოდა, ამიტომ ერთმანეთთან არ უჭირდათ კომუნიკაციის დამყარება. (სლეზკინი, 1994) თანასწორობა კი ნაციონალიზმის ჩახშობას ითვალისწინებდა. თითოეული ერის კულტურული უფლებები იქნებოდა

დაცული და აღარ ექნებოდათ პრეტენზიები პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით. (სტალინი, 1951) მათ მიზანს მიაღწიეს. მართლაც სტალინის სიცოცხლეში არ ყოფილა არცერთი ნაციონალისტური გამოვლინება საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, თუმცა სტალინის სიკვდილის შემდეგ რატომ გახდა ის საქართველოში ნაციონალიზმის ნაწილი ეს ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

საბჭოთა პოლიტიკის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობდა შემდეგში: ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდათ ავტონომია, რომელიც კონსტიტუციით იყო გამყარებული, ერთადერთი ავტონომია, რომელიც რელიგიური ნიშნით შეიქმნა იყო აჭარა, იმ მიზნით რომ აქ არ გამოეწვიათ მუსულმანური მოსახლეობის უკმაყოფილება. ამასთანავე, უმაღლეს თანამდებობებზე უნდა ყოფილიყვნენ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობდნენ ტერიტორიაზე. (სლეზკინი,1994)

იმის დასადასტურებლად, რომ საბჭოთა პოლიტიკა ხელს უწყობდა მშობლიური ენების წახალისებას, მოვიყვან სტალინის სიტყვებს თავისი ნაშრომიდან „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, სადაც ის ამბობს: „საჭიროა მოვაწყოთ პრესა , თეატრები, კინო და სხვა კულტურული დაწესებულებანი დედაენაზე, რადგან ხალხის მილიონიან მასებს შეუძლიათ კულტურული, პოლიტიკური და სამეურნეო განვითარების საქმეში წარმატებებს მიაღწიონ მხოლოდ დედაენაზე, ეროვნულ ენაზე“. (სტალინი, 1954) მაგრამ ამავე დროს არაფერია ნათქვამი სიტყვის თავისუფლებაზე. რა მნიშვნელობა ჰქონდა ენის წახალისებას, თუ ამ ენაზე არ იქნებოდა გამოხატული თავისუფლად ადამიანთა აზრი?

საბჭოთა პოლიტიკა ახალისებდა თითოეულ მასში შემავალ ერს, მათ კულტურას, მათ თვითშეგნებას, თუმცა რამდენად იყო ეს პოლიტიკა ამ ერების განვითარებისთვის შექმნილი, ეს საკამათოა. კულტურული ძეგლები–იქნებოდა ეს მწერლობა, თეატრი, კინო–ყველაფერი იქმნებოდა ცენზურის გავლით, რაც უკარგავდა ხარისხს ხელოვანთა შემოქმედებას. არ არსებობდა დამოუკიდებელი სიტყვა, თავისუფალი აზრი. იქმნებოდა მხოლოდ ის, რაც აწყობდა საბჭოთა ხელისუფლებას. ზოგიერთი ავტორის აზრით კი, სწორედ სტალინი იყო ის, ვინც იზრუნა საქართველოზე და მის კულტურაზე, ამ

ავტორების შეხედულებებიდან კარგად ჩანს როგორი ზეგავლენა მოახდინა სტალინის პოლიტიკამ მათზე.

5.1 კინო

1928–41 წლის ფილმები ხასიათდება სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების მცდელობებით. ფილმები ძირითადად იქმნებოდა კოლმეურნეობების, მშრომელების შესახებ, მაგალითისთვის ნიკო ფალავანდიშვილის „ჟუჟუნას მზითევი“, „დაგვიანებული სასიძო“, სიკო დოლიძის „მეგობრობა“, სიკო დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები“. კინოხელოვანთა შემოქმედების წყარო გახდა მარქსიზმ–ლენინიზმი. (ბაბუნაშვილი,

1972, 125)

როგორც რეჟისორი დოვჟენკო იგონებს, მითითება კეთდებოდა რომ კინო უნდა ყოფილიყო ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური. თითოეული ფილმის ცენზორი კი თავად სტალინი იყო. (Liber, 2001, 1105)

სტალინი დიდ ყურადღებას აქცევდა კინოს და სწორედ კინოს საშუალებით ხალხს მიეწოდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ნარატივები ისე რომ ამის შემჩნევა ძნელი ხდებოდა. „სულების წარმოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტანკების წარმოება“– ამბობდა სტალინი. არსებობდა წარმოდგენა რომ სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო კინოს განვითარება, სინამდვილეში ამ ქმედებას თავისი მიზანი ჰქონდა. თავის იდეოლოგიას ამ ფორმით აწვდიდა, ხალხისთვის კი კინო გართობის საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ ამ შეტყობინებებს ისინი ისე იღებდნენ რომ ვერც იგებდნენ სტალინის ჩანაფიქრს.(დევისი, ჰარისი, 2015,29)

კინო ნაკლებად იყო განვითარებული 1934 წლამდე საბჭოთა კავშირში, თუმცა ამ პერიოდიდან იწყება სტალინის, როგორც ცენზორის უშუალო ჩარევა კინოინდუსტრიაში, ის ძალიან ხშირად საღამოობით უყურებდა ფილმებს.(დევისი, ჰარისი, 2015, 375) ასევე მთავარი თემა ფილმებში უნდა ყოფილიყო მობილიზაცია

როგორც სახელმწიფოს დასაცავად ასევე შენიღბული მტრის წინააღმდეგ. კავალერიძის „პრომეთე“, სადაც ნაჩვენები იყო ქართველების და უკრაინელების ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დაიწუნა სტალინმა სუსტი სიუჟეტის და ისტორიული შინაარსის უქონლობის გამო. სტალინი აკონტროლებდა გამოცემებს, მაგალითად, აკაკი ვასაძის „შეხვედრები სტალინთან“ ცენზურის გამო არ გამოსცეს.

სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა გიორგი სააკაძის–ფილმის შექმნაში, რომელიც 1943 წელს გადაიღო მიხეილ ჭიაურელმა. გიორგი სააკაძის ფილმის გადაღება იყო იუბილეებთან ერთად კიდევ ერთი მცდელობა ეჩვენებინათ რომ ზრუნავდნენ საქართველოს და ქართველი ხალხის ეროვნულ, კულტურულ ღირებულებებზე. სტალინის უშუალო ჩართვა და მონაწილეობა ამ ფილმის გადაღებებში, იყო ჩვენება იმისა, რომ მას აინტერესებს და სურს დაიცვას ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. სტალინმა განიხილა არსებული სცენარები და ცვლილებები შეიტანა თავისი შეხედულებების მიხედვით. ერთ–ერთი სცენარის მიხედვით, ფინალი სააკაძის გამარჯვებით მთავრდებოდა, თუმცა როგორც სტალინი წერდა, სააკაძე დამარცხდა და დაიღუპა. ჭიაურელს ხშირად იბარებდა და თავად უშაუალოდ აძლევდა მითითებს, შეიძლება ითქვას რომ ის უშუალოდ მონაწილეობდა გადაღებებში.(ყორანაშვილი) გიორგი სააკაძის ლეონიძის სცენარი არ მოეწონა სტალინს, რომელიც ჩარკვიანს უფრო მეტად მოსწონდა. მან ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარი მოიწონა, მაგრამ დაიწუნა ისტორიული ფაქტები. სტალინს უნდოდა რომ სააკაძე დამარცხებული გამოსულიყო, რადგან, მისი აზრით, ისტორიულად ასე იყო სინამდვილეში. მისი აზრით, აზნაურები და მეფეები სუსტები აღმოჩნდნენ, ვიდრე ფეოდალები და თავადები. შინაგანი დაპირისპირებების ფონზე, გარე ძალას არ შეეძლო ვითარების გამოსწორება. ამიტომ სააკაძე დამარცხდა და სტალინის აზრით, ფილმშიც რეალობა უნდა ასახულიყო. (ჩარკვიანი, 2015, 41–42)

თუმცა გიორგი სააკაძესთან ერთად მიხეილ ჭიაურელი იღებდა ფილმებს, სადაც სტალინის პროპაგანდა ხდებოდა. „დიადი განთიადი“, რომელიც ომამდე გადაიღო ჭიაურელმა, „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „დაუვიწყარი 1919 წელი“, –მიხეილ

ჭიაურელის ეს ფილმები, მთლიანად სტალინის სურვილებს აკმაყოფილებდა. ჭიაურელის „უკანასკნელი მასკარადი“ „დამოუკიდებელ საქართველოში მენშევიკების შემოსვლა–სატირული იუმორი განსაკუთრებით მოსწონდა სტალინს“. ფილმში „ფიცი“ აღწერილია თუ როგორ დებენ საბჭოთა ადამიანები სტალინთან ერთად ფიცს რომ არასდროს გადაუხვევენ ლენინის იდეებს და სამუდამოდ დარჩებიან ლენინის და პარტიის ერთგულები. ამ ფილმით ნათქვამია რომ სტალინი ლენინის, მისი იდეების გამგრძელებელია. „აი ჩვენი აღმშენებელი“–ფიცში გამოყენებულია ეს ფრაზა, რომელიც სტალინის განდიდებას ისახავს მიზნად. ქალი, რომელიც ბევრ ოჯახის წევრს კარგავს და მაინც ერთგულია სტალინის, ეს ქალი თითქოს სიმბოლოა თოიძის „დედა–სამშობლო გიხმობს“–პოსტერის, საგულისხმოა რომ ამ პოსტერის ავტორიც ქართველია. სტალინი ამ ფილმში წარმოჩენილია, როგორც უბრალო, კეთილშობილი და გულთბილი ადამიანი. (პიონერი, 1946, 11, 2–4)

მიხეილ ჭიაურელმა 1938 წელს გადაიღო ფილმი–„დიადი განთიადი“, სადაც ტარდებოდა პროპაგანდა რომ სტალინი თანამედროვე ლენინია და ის არის ერთადერთი ერთგული დამცველი და გამგრძელებელი ლენინის იდეების.

მითების შექმნა, რომელიც კავშირში იყო რეალობასთან, იყო მთავარი მიზანი საბჭოთა ფილმების, სადაც სტალინი გამოყვანილი იყო როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი და დამრიგებელი. გიორგი სააკაძის გადაღება ერთგვარი მითის შექმნის მცდელობა იყო, რომელიც სტალინს ეძღვნებოდა. მითების შექმნის პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა ომის შემდეგ. სტალინი წარმოდგენილია, როგორც უნიჭიერესი მხედართმთავარი, რომელსაც შეუძლია „რუკაზე ერთი თვალის გადავლებით მოიგოს მეორე მსოფლიო ომი“. სტალინი წარმოჩენილი იყო როგორც ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდე, ამ ყველაფერში მონაწილეობას თავად იღებდა, თავად ზრუნავდა საკუთარ პროპაგანდაზე და კულტის შექმნაზე. სტალინის კულტის დაგმობის შემდეგ, ჭიაურელს აღარ ჰქონდა საშუალება გადაეღო ფილმები, თუმცა მან შეფარულად მაინც მიუძღვნა სტალინს ანიმაცია „როგორ დაასაფლავეს თაგვებმა კატა“. სტალინის კულტის დაგმობის დღეს კი მიხეილ გელოვანმა, რომელიც სტალინის როლებს ასრულებდა,

თუმცა დაწუნებული იყო როგორც მსახიობი სტალინის მიერ, თავი მოიკლა. (ოჩიაური, 2016, 37–51)

კინო იყო მასების მობილიზების საშუალება.[2] იქმნებოდა ყველაფერი სტალინისთვის და სტალინზე, ბერლინის დაცემა 1949 წელს გამოვიდა ეკრანზე ამის კარგი მაგალითია. ამ ფილმში სტალინის, როგორც გამარჯვებულის სახე იყო ნაჩვენები.[3] 1930–დან 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, 81 ფილმი იქნა გადაღებული საქართველოში, ქართველი რეჟისორების მიერ. 1946 წელს გადაღებული იოსებ თუმანიშვილის და ნიკოლოზ სანიშვილის „დავით გურამიშვილი“, 1947 წელს გადაღებული კონსტანტინე პიპინაშვილის „აკაკის აკვანი“, სადაც ნაჩვენებია აკაკი წერეთლის ბავშვობა, როგორ გაიზარდა ის. რა თქმა უნდა, ქართველ პოეტებზე და მწერლებზე გადაღებული ფილმები ტოვებდა იმის განცდას ქართველებში, რომ ზრუნავდნენ მათ ეროვნულ ღირებულებებზე. (გოგოძე, 1948, 1, 3)

თითქმის ყველა ფილმში, სხვადასხვა სახით: იქნებოდა ეს მუსიკა, ფოტო, სიტყვები, აუცილებლად ჟღერდა სტალინის ქება–დიდება. ნიკოლოზ სანიშვილის „ბედნიერი შეხვედრა“, რომელიც 1949 წელს არის გადაღებული, ფილმს მუსიკად გასდევს ბელადზე სიმღერა, სადაც სტალინი წარმოჩენილია როგორც გამარჯვებული მხედართმთავარი. ფილმში მთავარი ადგილი ეთმობა კოლმეურნეობებს, გეგმების შესრულებას და ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს, რომელიც გმირია მცხოვრებლებლისთვის. ფილმის ერთ–ერთ ეპიზოდში ჩანს სტალინის სურათი. აღნიშნული სიმღერა და ფოტო იყო ის ელემენტები, რომელიც ხელს უწყობდა სტალინის სახელის პროპაგანდას.(სანიშვილი, 1949)

1937 წელს გადაღებულ იქნა ნიკოლოზ შენგელაიას მიერ ლეო ქიაჩელის სცენარის მიხედვით „ნარინჯის ველი“. ფილმი გურული კრიმანჭულით იწყება, სხვადასხვა ქართული ხალხური სიმღერებია გამოყენებული. ფილმში ჩანს სტალინის სურათები სახლებში, კრებებზე, ჟურნალში, რომელსაც ერთ–ერთი პერსონაჟი კითხულობს. „მტერი

[2] https://www.youtube.com/watch?v=Buo6v7d882Y

[3] https://www.youtube.com/watch?v=4PpmEiZ-VNY

არ არის საშიში, სანამ წითელი არმია გვიცავს და წინ მიგვიძღვის, გზას გვიჩვენებს ნათელი გონება ჩვენი სტალინის.“ ფილმი მთავრდება სიმღერით სტალინზე: „ჩვენო სტალინ, ჩვენო გმირო, ჩვენო დიდო მოამაგე“. (შენგელაია, 1937) 1937 წელს მიხეილ ჭიაურელის მიერ გადაღებული იქნა ფილმი „არსენა“, რომელიც პატრიოტულ მოტივებზეა, ფილმში ჟღერს სიმღერა ვეფხისტყაოსნიდან ავთანდილის ანდერძის ნაწილზე დაყრდნობით. ფილმში გამოყენებულია შოთა რუსთაველის პორტრეტი, დიდი ადგილი ეთმობა ეკლესიაში ჯვრისწერის სცენას. აღნიშნული ფილმიც გვიჩვენებს თუ როგორ ცდილობდნენ ეჩვენებინათ ეროვნული ღირებულებების დაცვაზე მათი მზრუნველობა. (ჭიაურელი, 1937)

1944 წელს გადაღებულ იქნა ს.დოლიძისა და დ. რონდელის „ჯურღაის ფარი“, რომელსაც საფუძვლად ედო ძველი ხალხური ლეგენდა ჯურღაის ფარზე და პატრიოტული მოტივებით იყო ფილმი სავსე. ფილმის დასაწყისში, როდესაც ჯარი მიდის კავკასიის მთების მისადგომებთან–ფრონტზე 1942 წელს, ჩნდება შოთა რუსთაველის ძეგლი ფილმის დასაწყისშივე და მისივე აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ფილმში გამოყენებულია ხალხური საკრავები და ხალხური სიმღერა, მეგრულ და უკრაინულ სიმღერებთან ერთად, რაც მიუთითებს ქვეყნებს შორის კულტურული ღირებულებების გაცვლაზე და გაცნობაზე. ფილმში ნაჩვენებია ამბავი გმირ ჯურღაიზე, რომელიც იცავდა სამშობლოს–საქართველოს, აღწერილია მისი გმირობა, ეს რა თქმა უნდა აღვიძებდა პატრიოტულ გრძნობებს ქართველებში. ფილმში ჟღერს დღევანდელი ჰიმნის მუსიკა, სიტყვები–„თავისუფლება დღეს ჩვენი“ და რუსთაველის აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, ასევე სიმღერა „ღვინო კახურო“. ფილმში ნაჩვენებია ეკლესიის წინ როგორ ლოცავთ მეომრებს სასულიერო პირი. ასრულებენ ღვთის სადიდებელ სიმღერას და ცეკვა–ხორუმს ბრძოლის წინ. ჯურღაის გმირობა არის მაგალითი ომში მებრძოლებისთვის. სიმღერა ჟღერს რუსულად „იყოს მუდამ ბედნიერი საქართველო, დაუვიწყარი მხარე, სადაც სტალინმა თავისი ახალგაზრდობა გაატარა.“ ფილმის ბოლოს ჩნდება სტალინის სურათი როცა ჯარისკაცები მიდიან საბრძოლველად.(ბაბუნაშვილი, 1972, 153) როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ფილმებში ერთის მხრივ ხდება სტალინის

პროპაგანდა, მეორე მხრივ კი წარმოჩენილია ის ეროვნული ტრადიციები, ღირებულებები, რაც მნიშვნელოვანი იყო ქართველებისთვის და რაც აფიქრებინებდათ მათ რომ სტალინი ზრუნავდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.

5.2 თეატრი

თეატრში, ისევე, როგორც კულტურის სხვა სფეროებში, ხდებოდა სტალინის პროპაგანდა, პარალელურად კი მთავარ თემას წარმოადგენდა რუსთაველი, ილია და ა.შ, ამით იმის თქმა მინდა რომ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა წარმატებით ხორციელდებოდა საქართველოში. მაგალითად, იდგმებოდა სპექტაკლი „ბელადის ყრმობიდან“, რომელიც ლენინს და სტალინს ეძღვნებოდა. რაიმე განსაკუთრებული შინაარსი არ ჰქონდა ამ სპექტაკლს. მთავარი მიზანი იყო სტალინის სახელის პროპაგანდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნშიც კი ჟღერდა სტალინის სახელი „ქვეყანას მიეც დიდი სტალინი“...“სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა“...“დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს სჭედს სტალინური წრთობის თაობა“. აღნიშნული ჰიმნის ტექსტი, რომელიც შექმნილი იყო გრიგოლ აბაშიძის და ალექსანდრე აბაშელის მიერ, შეიცვალა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი კულტი დაიგმო, სტალინის სახელი აღარ იყო მოხსენიებული. მუსიკის ავტორი კი იყო ოთარ თაქთაქიშვილი, რომელმაც აღნიშნული ჰიმნი 1945 წელს შექმნა. (ღვინერია, 2010, 175–176)

1922 წლიდან 1939 წლამდე თეატრების რაოდენობა 20–ჯერ გაიზარდა. 1922 წელს იყო 2 თეატრი, 1939 წელს 45 თეატრი. 1937 წელს რუსთაველის სცენაზე დაიდგა შექსპირის „ოტელო“.

სტალინის ქართულ საოპერო თეატრთან შეხება 1926 წელს მოხდა, როდესაც სტალინი დაესწრო „თამარ ცბიერს“. დიმიტრი არაყიშვილმა 1937 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავისთვის დაწერა „ნესტანი“, საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავს კი მიუძღვნა კომპოზიცია სახელწოდებით „შოთა რუსთაველი“. 1939–1941 წლებში ოპერის სცენაზე დაიდგა ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ტუსკიას „სამშობლო“,

კილაძის „ლადო კეცხოველი“ და თაქთაქიშვილის „დეპუტატი“, ამავე დროს იქმნება შველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით შეიქმნა ნაწარმოები „განდეგილი“, გაბიჩვაძის „ვეფხისტყაოსანი“, მაჭავარიანის „მუმლი მუხასა“, აზმაიფარაშვილის „ძველი თბილისის სურათები“ და „ყვარლის მთებს“. 1936 წელს ანდრია ბალანჩივაძის „მთების გული“ დაიდგა, სადაც პატრიოტული ნიშნები იკვეთება. (ბაბუნაშვილი, 1972, 115) ვხედავთ რომ პატრიოტულ თემატიკაზე იქმნება ნაწარმოებები. ეს გამიზნული იყო იმისთვის რომ ქართველებს არ ქონოდათ პრეტენზიები დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა უნდა ყოფილიყო გადაფარული იმით რომ სტალინი ზრუნავდა მათ ეროვნულ ღირებულებებზე.

1947 წელს რუსთაველის თეტრმა მოსკოვში გასტროლების დროს წარადგინა სპექტაკლი გოგოლის „რევიზორი“. ასეთი იყო ამ სპექტაკლის შეფასება: „იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ნაყოფიერად და შემოქმედებითად ითვისებენ და ავითარებენ საქართველოს თეატრები რუსეთის დიდი დრამატული ხელოვნების კლასიკურ ტრადიციებს“, თუმცა პარალელურად რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში იდგმებოდა სპექტაკლები: ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“, ლ.შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, დ.ერისთავის „სამშობლო“. ოპერისა და ბალეტის თეატრში იქმნებოდა ოპერები პატრიოტულ თემაზე: ა.ბალანჩივაძე, შ. აზმაიფარაშვილი, დ. თორაძე ნაწარმოებებს უძღვნიდნენ სამამულო ომს, მაგალითისთვის, თორაძის „როკვა“, შ. თაქთაქიშვილისს „საიერიშო“, ვ. ცაგარეიშვილის „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, შალვა მშველიძის „კავკასიონი“, ასევე ოპერა „ამბავი ტარიელისა“, არჩილ ჩიმაკაძის „ქართლის გული“, არჩილ კერესელიძის „ბაში–აჩუკი“, სათაურებიდანაც ჩანს ნაწარმოებების პატრიოტული ხასიათი. (ბაბუნაშვილი, 1972, 149–150, 205)

1935 წელს პირველი კვარტეტი ჩამოყალიბდა. 1945 წელს კი ჩამოყალიბდა პირველი ნაციონალური ცეკვების ანსამბლი სუხიშვილების ხელმძღვანელობით, ამ დროს დაიდგა „ქართული“, „ყაზბეგური“, „მოხევური“ და სხვანი. სტალინი ხშირად ესწრებოდა მათ წარმოდგენებს. (კომუნისტი, 1936, 103, 4)

თეატრი და კინო იყო 30–იან წლებში და განსაკუთრებით, 40–იან წლებში ახალგაზრდების ძირითადი გასართობი საშუალება. ასე რომ თეატრის და კინოს მეშვეობით მარტივი იყო პროპაგანდის წარმოება.

5.3 ლიტერატურა

როგორც ლევან ასათიანი აღნიშნავს, სტალინის მიზანი იყო თითოეული საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხისთვის შექმნილიყო შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ლიტერატურა. სტალინის დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროებთან მიმართებაშიც იყო შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული. ლიტერატურასთან მიმართებაში კარგად ჩანს საბჭოთა პოლიტიკის მიზანი–ლიტერატურის მეშვეობით ლენინურ–სტალინური იდეოლოგიის გავრცელება ხალხში და ამ იდეოლოგიის მიმდევარი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება, რომელთა სამშობლო იქნებოდა არა საკუთარი სამშობლო, არამედ საბჭოთა კავშირი. სტალინის წერილებში საბჭოთა მწერლებისადმი იკვეთება მათი მთავარი მიზანი. ამის დასადასტურებლად მოვიყვან სტალინის სიტყვებს: „თანდათან გავაძევოთ სცენიდან ძველი და ახალი არაპროლეტარული მაკულატურა... და შევქმნათ საბჭოთა ხასიათის ნამდვილი, საინტერესო, მხატვრული პიესები, რომელთაც შეეძლებათ ამ მაკულატურის შეცვლა.“(ასათიანი, 1954,124, 129) ლიტერატურის და ცალკეული ნაწარმოებების მთავარ მიზნად სტალინი მიიჩნევს იდეების პროპაგანდას. ამ ნაწარმოებებმა წარმატებით უნდა იმუშაოს ხალხის მასებზე და გამოიწვიოს მხარდაჭერა იმ იდეებისადმი, რომლის პროპაგანდასაც ისახავდა მიზნად ესა თუ ის ნაწარმოები. სტალინის წერილებში მწერლებისადმი კარგად იკვეთება აღნიშნული პოზიცია და სწორედ ეს არის საბჭოთა პოლიტიკა, მიიმხრონ ხალხთა მასები და გააერთიანონ მათი იდეოლოგიის გარშემო. თუმცა არ უნდა დაიკარგოს ფორმით ეროვნული განწყობა, რათა არ გაჩნდეს პროტესტი ცალკეულ ხალხებში. სწორედ მსგავსი პოლიტიკა განაწყობდა დადებითად ხალხს ამ პოლიტიკის შემქმნელებისადმი, ამ შემთხვევაში– სტალინისადმი. 1930–იანი წლებიდან წინა პლანზე წამოვიდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა–ფშაველას, ეგნატე

ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის სახელები. მათზე აქტიურად იბეჭდებოდა პრესაში, მაგრამ არ შეიძლებოდა საბჭოთა წყობის, იდეოლოგიის წინააღმდეგ შექმნილიყო რაიმე ნაწარმოები. ამ პერიოდის მწერლებს უნდა ეწერათ სტალინზე და მათი დიდი ნაწილი ამას აკეთებდა კიდეც.

საბჭოთა დროის ქართულ ლიტერატურაზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტში ლავრენტი ბერიას სიტყვები, წარმოთქმული კომპარტიის მეათე ყრილობაზე, სადაც ის საუბრობს ქართველ მწერლებზე და ლიტერატურაზე. ის ასახელებს ქართველ მწერლებს, რომლებიც, მისი აზრით, აფერხებდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას. მათ შორის: ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, იქვე აღნიშნავს რომ ეს მწერლები „გამოსწორების გზაზე“ დგანან და უწონებს მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელს“, ქიაჩელს „გვადი ბიგვას“, რომლებიც გლეხებზეა შექმნილი. საუკეთესო „ნაშრომებად“ მიიჩნევს ნაწარმოებებს, რომლებიც სტალინზე შეიქმნა, მაგალითისთვის ასახელებს „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, ლეონიძის „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“, „ქართველ მშრომელთა წერილი ხალხთა დიდ ბელადს, სტალინს.“ „ჩვენი ლიტერატურა უნდა იყოს სახალხო და ასახავდეს ლენინ–სტალინის იდეებს“. ამ სიტყვაში ის აფრთხილებს მიხეილ ჯავახიშვილს, პაოლო იაშვილს და სხვებს რომ აუცილებად წერონ პარტიისთვის და არ დაამყარონ კავშირი „ხალხის მტრებთან“. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად მიიღებენ ზომებს, რაშიც იგულისხმებოდა რეპრესიები და დახვრეტა, რაც რეალურად განახორციელეს კიდეც. ამ წერილიდან ასევე კარგად ჩანს, თუ როგორი ხარისხის ნაწარმოებები იქმნებოდა. ის ნაწარმოებები, რაც დაფასების ღირსი იყო, აკრძალეს, მათი ავტორები კი დახვრიტეს და გადაასახლეს. (ბერია, საარქივო მოამბე, 2010, 73–78)

ამ პერიოდში დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და „ბელადი“, რომელიც გამსახურდიამ სტალინს მიუძღვნა.

1930–იანი წლებიდან სტალინის გარეშე არაფერი ხდებოდა. ის იყო მთავარი ცენზორი. აღსანიშნავია რომ 1934 წლის 20 აგვისტოს მალაქია ტოროშელიძემ საბჭოთა მწერლების

პირველ საკავშირო ყრილობაზე გააკეთა მოხსენება, სადაც ისაუბრა შოთა რუსთაველზე, რომელმაც მისი აზრით, გაუსწრო აღორძინების ეპოქას. „იგი აღწევს მსოფლმხედველობისა და თავისუფალი აზროვნების იმ სიფართოეს, რომლისათვისაც არ მიუღწევია საშუალო საუკუნეთა დასავლეთის არც ერთ პოეტს თვით აღორძინების ეპოქამდე.“ (ტოროშელიძე, 1934)

„ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილის აღნიშვნა სტალინის იდეა იყო. ის თავად მონაწილეობდა ტექსტის კორექტირებაში და განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა დაწვრილებით განეხილა ეს ტექსტი და იუბილესთან დაკავშირებული დეტალები. როგორც ჩარკვიანი აღნიშნავს, პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო საკითხებში აქტიურად ერეოდა სტალინი და მისი ნებართვის გარეშე არაფერი წყდებოდა. (ჩარკვიანი, 2015, 19–22)

სტალინი ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნაშიც ეხმარებოდა შალვა ნუცუბიძეს. მისი რედაქტორიც თავად იყო და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რომ კარგად ეთარგმნათ. (ზაქარიაძე, 1997, 204) საინტერესოა ის ფაქტი, რომ შალვა ნუცუბიძე შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს და სტალინის ბრძანებით ციხეში ათარგმნინებდნენ ვეფხისტყაოსანს. სტალინი თავად იყო რედაქტორი ამ ტექსტების. როგორც ცნობილია, ის დაწვრილებით კითხულობდა და შენიშვნებს უკეთებდა ნუცუბიძის თარგმანს. გამოდის რომ შალვა ნუცუბიძე სტალინის სურვილით გახდა პატიმარი და მისივე სურვილით გათავისუფლდა იმის გამო, რომ ვეფხისტყაოსნის თარგმანი სჭირდებოდა. 1937 წელსვე აღინიშნა ილია ჭავჭავაძის იუბილე, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე, მაგრამ ვერ ვიტყვით რომ ეს ყველაფერი სტალინმა საქართველოს, ქართველების გამო გააკეთა. ეს ყველაფერი საკუთარ ინტერესებს ემსახურებოდა. (გონჯილაშვილი, 2010, 15–31)

გაზეთ კომუნისტში ერთ–ერთი სტატია ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილეს. ამ დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ნათქვამია სტატიაში. დაიგეგმა მისი ნაშრომების გამოქვეყნება, მისი ძეგლის დადგმა, თარგმანების გამოქვეყნება და ა.შ, რაშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მწერლებს, რომლებიც იმავე

წელს რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილს. პროპაგანდა კარგად მუშაობდა გაზეთების სახით, განსაკუთრებით კი გაზეთ „კომუნისტის“ სახით, სადაც ქვეყნდებოდა სიახლეები თეატრის, კინოს, ოპერის და იუბილეების შესახებ. (კომუნისტი, 1936, 3)

მწერლების და პოეტების უმრავლესობას ერთი ლექსი ან ნაწარმოები მაინც აქვთ მიძღვნილი სტალინისადმი. გ. ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი უძღვნიდნენ ლექსებს სტალინს და მათი ნიჭი უხარისხო ლექსების წერას ხმარდებოდა. „ის ყველაფერი იყო ჩვენთვის“ ამბობდა სტალინზე იოსებ გრიშაშვილი. ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე გარდაცვალების შემდეგ უძღვნიდნენ ლექსებს სტალინს: „როგორ იქნება მოკვდეს უკვდავი“. სტალინმა დე გოლთან აწარმოა მოლაპარაკებები ქართული განძის სამშობლოში დასაბრუნებლად. ამის გამო ქართველი ხალხი მადლიერი იყო მისი და ხშირად აღნიშნავდნენ სტალინის დიდ დამსახურებას ამ საქმეში, თუმცა ეს ყველაფერი კვლავდაკვლავ სტალინის პროპაგანდის ნაწილი იყო. (ზაქარიაძე,1997, 224)

ჩარკვიანი სტალინის დამსახურებად მიიჩნევს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას და აღნიშნავს რომ ეს ნამდვილი საჩუქარი იყო ქართველი ხალხისთვის. (ჩარკვიანი,2015, 39)

ისტორია იყო არა მარტო ის, რაც არქივებში მოიპოვებოდა, არამედ ის რასაც „პარტია“ დაადგენდა. „ზოგჯერ ვინმემ ხო უნდა შეასწოროს ეს ისტორია?“–ამბობდა სტალინი და მართლაც საბჭოთა ლიდერები ხშირად იგონებდნენ ისტორიას.. (მონტეფიორე, 2012, 175) საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენაშიც მონაწილეობას იღებდა სტალინი. წიგნის ავტორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი. სტალინმა დაიწუნა ის, რომ წიგნი მხოლოდ 1921 წლამდე პერიოდს მოიცავდა და არ იყო შესული საბჭოთა საქართველოს ისტორია. სტალინმა შენიშვნა მისცა შემდგენლებს იმის თაობაზე რომ წიგნში არ იყო აღნიშნული საქართველოს სწორი და პროგრესული არჩევანი რუსეთსა და თურქეთ–სპარსეთს შორის. ეს სახელმძღვანელო გამოვიდა, მაგრამ 1953 წელს ხმარებიდან ამოიღეს. სტალინი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხს, ამ თემაზე სვანიძის სტატიაც კი გამოქვეყნდა

სტალინის რედაქტორობით „ხეთებისა და ქართველ ტომებთან მათი ნათესაობის საკითხისათვის“. (ჩარკვიანი, 2015,89–90)

ერთგვარი პარადოქსიც იყო რომ სტალინი ეწინააღმდეგებოდა გ.ლეონიძის ნაწარმოებს „მოთხრობები სტალინის ბავშვობის შესახებ“– რადგან ფიქრობდა რომ კლასი, პარტია ზრდის ლიდერს. აქედან გამომდინარე სტალინი თავის თავს პარტიის კუთვნილებად თვლიდა და არ მოწონდა, როცა საუბრობდნენ და წერდნენ მასზე პარტიისგან დამოუკიდებლად. სტალინის კულტი ლიდერებმა შექმნეს, რომელიც გადაჭარბებული იყო და არასრულფასოვნების გამოხატულებას წარმოადგენდა. (მონტეფიორე, 2012,205) თუმცა სტალინს თავადაც სურდა კულტის არსებობა და უარს არ ამბობდა მისი სახელის განდიდებაზე და მისი სადიდებელი ნაწარმოებების შექმნაზე.

„ხელოვნების დარგების–მხატვრული ლიტერატურის, კინოხელოვნების ნამდვილი თუ მოჩვენებითი მიღწევები ბერიას და ალბათ სტალინსაც თავიანთი სახელის ასამაღლებლად სჭირდებოდათ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ამ დარგებს, თუმცა როგორც კანდიდ ჩარკვიანი იგონებს, 1937 წელმა შეიძლება ითქვას დააცარიელა და ხარისხი დაუკარგა ხელოვნების დარგებს. პაოლო იაშვილმა, რომელმაც მწერალთა კავშირის შენობაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, გამოხატა ერთგვარი პროტესტი საბჭოთა წყობილებისადმი. ამავე დროს სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და მრავალი სხვა შეეწირნენ სტალიის რეჟიმს, რაც ქართველი ხალხისთვის დიდ დანაკარგს წარმოადგენდა. (ჩარკვიანი, 2015,12)

„ხელოვანმა უნდა ასახოს ცხოვრების სინამდვილე და თუკი ასახავს ამ სინამდვილეს, მას არ გაუჭირდება იმის ჩვენება, რომ ცხოვრება სოციალიზმისკენ მიემართება“. სტალინის ეს სიტყვები საბჭოთა მწერლებისთვის იყო ერთგვარი გეზი მათი შემოქმედებისთვის. მწერლებს უნდა ეწერათ მომავალზე, რომელიც სოციალისტურ ფერებში იყო წარმოდგენილი. სტალინი მიმართავდა მწერლებს „თქვენ ქმნით იმ საქონელს, რაც ჩვენ გვჭირდება–ეს უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე მანქანები, ტანკები, თვითმფრინავები–

ჩვენ ადამიანთა სულები გვჭირდება“. სტალინი მწერლებს–„ადამიანთა სულების ინჟინრებს“ უწოდებდათ. (მონტეფიორე,2012, 125)

როგორც მონტეფიორე აღნიშნავს, „სტალინი აკონტროლებდა ყველაფერს, დაწყებული ხიშტების ზომითა და ფორმით, დამთავრებული გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატიების სათაურებითა და მათი ავტორების ვინაობით.“ (მონტეფიორე, 2012,449)

30–იან წლებში გამოვიდა წიგნი „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, სადაც 30 ლექსის ავტორი ქართველი პოეტი იყო მათ შორის გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები. ასევე დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც მწერალმა სტალინს მიუძღვნა, ასევე 23 ხალხური ლექსი და სიმღერა სტალინზე, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაიწერა. (კომუნისტი, 1937, 78, 4) გაზეთ კომუნისტში მრავალი გვერდი ეთმობა სიმღერებს და ლექსებს სტალინზე.

პარალელურად, ომის პერიოდში იბეჭდებოდა ქართველი ავტორების ჩიქოვანის, ტაბიძის, ლეონიძის გრიშაშვილის, ასათიანის პატრიოტული ლექსები. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“, ჩიქოვანის „ვინა თქვა“, ომის თემატიკაზე იწერებოდა პროზაული ნაწარმოებები: ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“, „მამა და შვილი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველები“, ომის წლებში გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, ალექსანდრე ქუთათელაძის რომანი „პირისპირ“, აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. 1947 წელს იწერება გალაკტიონის „ქებათა–ქება ნიკორწმინდას (ბაბუნაშვილი, 1972, 146–148, 204) ომის თემატიკაზე ქართველი მწერლები და პოეტები წერდნენ ნაწარმოებებს, ლექსებს, მაგალითისთვის, გალაკტიონ ტაბიძის „ყველა საომრად გავიდეთ“, „უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე“, გიორგი ლეონიძის „ჰეი, არწივნო“, სიმონ ჩიქოვანის „სიზმარი“. (ბენდიანიშვილი, 2012, 423)

5.4 პრესა

პრესა დიდ როლს თამაშობდა სტალინის კულტის შექმნაში. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა და სტალინისეული პოლიტიკა ითვალისწინებდა საკუთარ ენებზე კინოს, თეატრის, პრესის განვითარებას–ეს კი კარგი საშუალება იქნებოდა მათი იდეოლოგიის გასავრცელებლად. გაზეთი კომუნისტი, რომელიც აქტიურად გამოდიოდა საქართველოში საბჭოთა პერიოდში, იყო კარგი პროპაგანდის საშუალება. თითქმის ყველა სტატია ემსახურება სტალინის ქებას. მაგალითისთვის, ერთ–ერთი სტატიის ავტორი ვ.ჩხეიძე მადლობას უხდის სტალინს კონსტიტუციისთვის, რაც იყო ნამდვილი გადამრჩენელი და განმავითარებელი საბჭოთა კავშირის. ის მადლობას უხდის სტალინს რომ შექმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა და მხოლოდ მას მიიჩნევს ნაციონალური თანასწორობის შემოქმედად. ავტორი ადარებს სხვა ქვეყნებს, სადაც მისი აზრით არის ნაციონალური ჩაგვრა, საბჭოთა კავშირი კი არის ადგილი, სადაც არსებობს სრული თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება და გამოსვლების თავისუფლება. (ჩხეიძე, 1936, 3)

გაზეთი კომუნისტი 1936 წელს ბეჭდავს სტატიას სათაურით „სტალინური სითბო“, სადაც ნათქვამია საქართველოსა და სომხეთის მუსიკალური ანსამბლების საერთო ღონისძიების შესახებ, რაც შეფასებულია როგორც სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება. (კომუნისტი, 1936, 4) 1936 წლის გაზეთი აქტიურად ბეჭდავს და დიდი ადგილი ეთმობა შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებულ სტატიებს, ასევე აქტიურად იბეჭდება ოპერის თეატრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ცნობები, რაც ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების ხელმშემწყობია. (კომუნისტი, 1936, 186, 194, 4)

ამავე დროს, იმ დროიდან, როცა მკვიდრდება ტერმინი „ხალხის მტერი“, გაზეთებშიც ჩნდება ამ საკითხზე სათაურები, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა დამნაშავე უნდა დაიხვრიტოს. მაგალითისთვის, 1936 წლის კომუნისტის გაზეთში იბეჭდება სტატიები სათაურებით „გაცოფებული ძაღლები უნდა დაიხვრიტონ“, „ზიზღი და რისხვა ხალხის მტრებს“. ამ სტატიებში დაფიქსირებულია ქართველი საზოგადო მოღვაწეების,

პროფესორების, მწერლების, როგორებიც არიან ივ. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, კ. ნადირაძე პოზიცია. ისინი სამართლიანად მიიჩნევენ დახვრეტას მათი, ვინც შეეწინააღმდეგება სტალინს, სოციალიზმს და მის იდეებს. უხვადაა სტალინის ქება და აღნიშნულია მისი როლი, როგორც გადამრჩენელის, რომელიც ახალ–ახალი გამარჯვებებისკენ მიუძღვება ხალხს. (კომუნისტი, 1936, 196, 1) (კომუნისტი, 1936, 198, 2)

გაზეთ კომუნისტში, ავტორი აფხაძე უსვამს ხაზს სტალინის დიდ დამსახურებას ქართული სკოლის, მასწავლებლების, საგნების განვითარების საქმეში. მის როლს ბავშვების კომუნისტურ აღზრდაში. (აფხაძე, 1936, 2) კომუნისტის 1936 წლის გაზეთში ადგილი აქვს დათმობილი სტატიას, თეატრის და მსახიობების შესახებ. აღნიშნულია რუსთაველის თეატრის განვითარება, როგორც სტალინის და მისი ნაციონალური პოლიტიკის დამსახურება. მსახიობებზე და თეატრზე სტალინის მზრუნველობის შედეგია რუსთაველის თეატრის და ზოგადად, თეატრების განვითარება და გაძლიერება. აქვეა, რუსთაველის თეატრის ჯგუფის სამადლობელი წერილი სტალინისადმი. ისინი მადლობას უხდიან სტალინს იმისთვის, რომ მან და მისმა ნაციონალურმა პოლიტიკამ განავითარა რუსთაველის თეატრი. (კომუნისტი, 1936, 209, 1) აქტიურად იბეჭდება ცნობები ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით, ავტორის აზრით, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება არის ნაციონალურ–რევოლუციური განწყობის. (რაჭველიშვილი, 1936, 3)

„ჩვენ გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გენერალური ხაზი, სოციალისტური რეალიზმის ხაზი, ეს არის მაგისტრალური გზა, რომელიც დაუსახა ჩვენს ლიტერატურას ხალხთა ბელადმა, დიდმა სტალინმა.“ აქვე ავტორი 1936 წლის კომუნისტის გაზეთში სხვა მწერლებთან ერთად, განიხილავს მიხეილ ჯავახიშვილს და მის ნაწარმოებებს, მათ შორის „ჯაყოს ხიზნებს“, როგორც კარგი ლიტერატურის ნიმუშებს, მიუხედავად ამისა 1937 წელს რეპრესიები მიხეილ ჯავახიშვილსაც შეეხო. (თათარიშვილი, 1936, 3–4)

„სახელმწიფო გამომცემლობის მთელი მუშაობა ემსახურება ერთ ძირითად მიზანს: შეიქმნას იდეოლოგიურად გამართული ბოლშევიკური წიგნი, რომელიც მოგვიწოდებს ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ. ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს კულტურული ფრონტის ერთ–ერთ გადამწყვეტ უბანზე–წიგნის გამომცემლობის საქმეში–წარმოადგენს ლენინურ–სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ განხორციელების შედეგს.“ (გასვიანი, 1936, 3)

რომ შევადაროთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოცემული გაზეთები, მანამდე გამოცემულ გაზეთებს, შეიმჩნევა სტალინზე სტატიების მომრავლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სადაც სტალინი წარმოჩენილია, როგორც გამარჯვების მომტანი დიადი ბელადი. იბეჭდება სტატიები სათაურებით „გამარჯვების სტალინური პროგრამა შესრულებულია, დიდება ამ გამარჯვების შემოქმედს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს“. დიდი ადგილი ეთმობა სტალინის ფოტოებს და მას მოიხსენიებენ როგორც ბრძენ მხედართმთავარს, რომლის გამჭრიახობის წყალობით ომი მოგებულ იქნა. „მთელი პროგრესული კაცობრიობა ფაშიზმის წინაღმდეგ ომში მოპოვებულ უმაგალითო ისტორიულ გამარჯვებას უმადლის დიდ სტალინს, მის მხედართმთავრულ გენიას, მის ტიტანურ შრომას, ჩვენი ხალხი მხურვალე სიყვარულით მიესალმება თავის მშობლიურ ბელადს, საბჭოთა კავშირის გმირს, დიდ სტალინს“.(კომუნისტი, 1945, 136, 1)

იბეჭდება სტატიები სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატებზე, რომლებიც ანგარიშს აბარებენ, რამდენად შეასრულეს გეგმა, აუცილებლად აღნიშნავენ სტალინის, როგორც გამარჯვებულის როლს– „გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას, გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ სტალინს“. (კომუნისტი, 1945, 132, 1)

სტატიების უმრავლესობაში ნახსენებია სტალინის სახელი, აღნიშნულია მისი როლი, როგორც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, ასევე საზოგადოების იდეოლოგიური აღზრდის საქმეში. სტატიების ბოლოს კი არის ქება და სამადლობელი სიტყვები სტალინისადმი: „გაუმარჯოს კაცობრიობის უდიდეს გენიას, სწორუპოვარ

მხედართმთავარს და ბელადს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს დიდ სტალინს“. (კომუნისტი, 1945, 143, 1) „დიდი სტალინის ხელმძღვანელობით“ კომუნისტის მთელ გვერდს იკავებს სტატიები სტალინზე აღნიშნული სათაურით. საუბარია გორზე სათაურით „იქ, სადაც დაიბადა სტალინი“, ამ ქალაქის გამორჩეულობაზე, რადგან სწორედ აქ დაიბადა ბელადი, სტატიას ბოლოს ერთვის ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბის ძირას“, რომელიც, როგორც სტატიაშია აღნიშნული სტალინისადმი არის მიძღვნილი. სხვადასხვა თემაზე დაწერილი სტატიები სრულდება სტალინის დიდებით და კომუნისტის მრავალ გვერდზე დაბეჭდილია სტალინის დიდი ფოტოები, რაც პროპაგანდის ნაწილია. (კომუნისტი, 1945, 1) „სტალინური განმჭვრეტელობის დიადი ძალა“–ამ სათაურით იბეჭდება სტატია, სადაც აღნიშნულია სტალინის, როგორც შორსმჭვრეტელის როლი ომის წარმოების საქმეში, ასევე აღნიშნულია მისი ნიჭი ეკონომიკური დაგეგმარების საქმეში. (კომუნისტი, 1945, 147, 2) „საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის ძევ“, ასე იწყება სამადლობელი სიტყვა სტალინისადმი, სტატიაში კი მადლობას უხდიან სტალინს გამარჯვებისთვის, ეკონომიკის აყვავებისთვის, ხუთწლედებისთვის და პირობას დებენ რომ არ გაუცრუებენ იმედებს საკუთარ ბელადს. (კომუნისტი, 1945, 150, 2)

„რკინიგზელის სტალინური დღე“, რკინიგზელები სტალინს უხდიან მადლობას და პირდებიან რომ პირნათლად შეასრულებენ მის დავალებებს. შეასრულებენ გეგმებს(კომუნისტი, 1945, 154, 3) პარალელურად გაზეთ კომუნისტში იბეჭდება სტატიები ვაჟა–ფშაველაზე, იბეჭდება მისი ბიოგრაფია და ლექსები და ასევე ცნობა ვაჟა–ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოსი. იბეჭდება ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისთვის, ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამოების შესახებ წერს პრესა, რომლებიც ტარდებოდა გორში, თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და ბათუმში. ასევე იბეჭდება ადეიშვილის სტატია „ვეფხისტყაოსნის ეკრანიზაციისთვის“, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა ცალკეულ ეპიზოდებზე, რომლებიც, როგორც ავტორი აღნიშნავს საკამათოა და კარგად გაანალიზებას საჭიროებს ფილმის გადაღებისთვის. (ადეიშვილი, 1937, 3) დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძეს

და მის შემოქმედებას, განხილულია მისი ნაწარმოებები და ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა, დიდ ადგილს იკავებს გაზეთში ილია ჭავჭავაძის ფოტოები.

ყოველთვიურად გამოდიოდა საბავშვო ჟურნალი პიონერი, სადაც იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის მიმართვა პიონერებისადმი–„ყველანი ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკების დიად პარტიას და ამხანაგ სტალინს, ჩვენს საყვარელ მამასა და მეგობარს, ჩვენს ძვირფას იოსებ ბესარიონის ძეს! სწორედ პარტიამ და სტალინმა გახადეს ჩვენი სამშობლო ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოდ. სწორედ პარტიამ და სტალინმა გაანადგურა ჩვენი სახელმწიფოს ყველა მტერი და საბჭოთა ხალხი იხსნეს გერმანელ დამპყრობთა დამონებისაგან. სწორედ პარტიამ და სტალინმა გაგვიხსნეს ყოველ ჩვენგანს და განსაკუთრებით თქვენ, ბავშვებო, ცხოვრების, სწავლის, ბედნიერების ფართო გზა. იყავით ღირსნი... დიდი სტალინის სიყვარულისა, აღიზარდეთ ლენინ–სტალინის საქმის ერთგული“. ნინო ნაკაშიძე მოუწოდებს ბავშვებს დააფასონ ჟურნალი პიონერი, რადგან ეს ჟურნალი სტალინისთვის მნიშვნელოვანია (ჟუკოვი, ნაკაშიძე,პიონერი, 1946, 1, 1) ამავე ჟურნალში იბეჭდება მურმან ლებანიძის საბავშვო ლექსები, სადაც არჩევნების პროპაგანდაა, ბავშვი, რომელიც მშობელს სთხოვს რომ წაიყვანოს არჩევნებზე იმისთვის, რომ ხმა მისცეს სტალინს. (ლებანიძე, პიონერი, 1946, 9) „სტალინის დროშა, სტალინის ქალაქი, სტალინის გვარდია“ ეს ფრაზები ჟღერს ჟურნალ პიონერში დაბეჭდილ ლექსებში, რომლებიც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. (პიონერი, 1946, 3, 5) ამ ჟურნალშიც, ისევე როგორც სხვა ჟურნალ–გაზეთებში იბეჭდება სტალინის ფოტოები, მისი მიმართვები, მაგალითისთვის 9 მაისს, როცა აღინიშნება ფაშიზმზე გამარჯვების დღე. ლავრენტი ბერია, რომელსაც დიდი წვლილი შეჰქონდა სტალინის კულტის შექმნაში, ჟურნალ პიონერის საშუალებით ულოცავს ბავშვებს პიონერთა სასახლის 5 წლისთავს და ამბობს: „გისურვებთ, რომ პიონერთა სასახლე კვლავაც ზრდიდეს ჩვენს საბჭოთა ბავშვებს სამშობლოსა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით“. (პიონერი, 1946, 5) იბეჭდება ბავშვების ლექსები სტალინისადმი მიძღვნილი. ლექსებში და მიმართვებში ახალგაზრდობისადმი გამოყენებულია ფრაზები: „დიდი სტალინის ეპოქის ბედნიერი ბავშვები“, „დიდი სტალინის დიდი ქვეყანა“, ამავე დროს იბეჭდება

ვაჟა–ფშაველას ლექსები ბავშვებისთვის. (პიონერი, 1946, 7) “მტერს მოერევა შენი მამიკო, სტალინს ის მხარში ამოსდგომია“ (ჟურული, პიონერი, 1946, 10) მთავარი თემა ხუთწლედები და ომში გაარჯვებაა, რაც სტალინს უკავშირდება. „ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს“–მსგავსი ფრაზებით მთავრდება ლექსები, პოემები, მოთხრობები თუ უბრალოდ სტატიები სტალინზე. ჟურნალ პიონერშიც, ისევე როგორც სხვა ჟურნალ–გაზეთებში იბეჭდებოდა უამრავი ფოტო სტალინის, რაც პროპაგანდის კარგი საშუალებაა. იბეჭდება ინფორმაცია ჭიაურელის ფილმ–ფიცის შესახებ, რომელიც სტალინს მიეძღვნა და სტატიის ბოლოს მოყვანილია სტალინის როლის შემსრულებლის მიხეილ გელოვანის სიტყვები:“ სტალინი–ეს არის საბჭოთა ქვეყანა, ხოლო საბჭოთა ქვეყანა–ეს არის სტალინი“. პიონერის ამავე ნომერში დაბეჭდილია ვარლამ ჟურულის ლექსი „ბელადის სადღეგრძელო“, რომელიც სტალინს ეძღვნება(პიონერი, 1946, 11, 2–3)

ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსი „მადლობა სტალინს“, სადაც გამოხატულია ავტორის სიხარული რომ საქართველოც „საბჭოთა ოჯახის“ ნაწილია და რომ ქვეყნის აღორძინება სტალინის დამსახურებაა, ამისთვის კი მადლიერი უნდა იყვნენ სტალინის. ამავე ნომერში სტატია ეძღვნება სტალინური კონსტიტუციის 10 წლისთავს, სადაც საუბარია სტალინის დამსახურებებზე „გავუზრდივართ სტალინს ერთგულებად ქვეყნის, რომ გმირობით, შრომით ვემსახუროთ ხალხს“. აქვე რევაზ მარგიანის ლექსი „დღეგრძელი იყოს“, სადაც სტალინის ქება და მადლიერებაა გამოხატული. (პიონერი, 1946, 12, 1–2) სტალინზე სტატიების პარალელურად იბეჭდება სტატიები ქართველ პოეტებზე, მწერლებზე, მაგალითად ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ასევე იოსებ ნონეშვილის ლექსი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეძღვნება. (მაჩაბელი, პიონერი, 11, 23–24)

იბეჭდება ანა სახუტაშვილის „ილიას პირველი ნახვა“, სადაც აღწერილია ბავშვის სიხარული ილია ჭავჭავაძის პირველად ნახვისა. (პიონერი, 1946, 12–14)

გაზეთ სახალხო განათლებაში, სტალინის პროპაგანდის პარალელურად ხდება ქართველი მწერლების პოპულარიზაცია, მაგალითისთვის ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების მნიშვნელობას აქვს დიდი ადგილი დათმობილი გაზეთში. (მჭედლიძე, 6, 3) იბეჭდება ცნობა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 100

წლისთავის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელზეც ზრუნავდა სპეციალურად შექმნილი კომისია.

პრესაში, ისევე როგორც კინოსა და თეატრის შემთხვევაში შეიმჩნეოდა, იბეჭდება სტატიები, რომელიც სტალინის პროპაგანდას უწყობს ხელს და მეორე მხრივ, სტატიები, რომლებიც ქართველების ეროვნული ღირებულებების დაცვას ემსახურება.

5.5 განათლება

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის მიხედვით, უნდა მომხდარიყო განათლების მიღება მშობლიურ ენებზე, თუმცა სკოლა იყო სწორედ ის ადგილი, სადაც ახალგაზრდებში ხდებოდა სტალინის პროპაგანდა. 1956 წლის 9 მარტის მონაწილეები კი სწორედ ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც განათლება 1930–იან 40–იან წლებში მიიღეს.

სკოლების და მოსწავლეების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 1930–იანი წლების შემდეგ. მუშების შვილების 28% იღებდა განათლებას 1924–25 წლებში. 1930–31 წლებში კი 47%–მდე გაიზარდა მათი რაოდენობა, ასევე გაიზარდა სკოლების რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. 1921 წელთან შედარებით 1940–41 წლისთვის სკოლების და მოსწავლეების რაოდენობა გასამმაგდა. „წერა–კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ“–ეს ლენინის სიტყვებია. გაიზარდა წიგნების და ბიბლიოთეკების რაოდენობა. 1921 წელს დაარსდა გამომცემლობა სახელგამი, რომელიც ძირითადად ბეჭდავდა მარქსის, ენგელსის და ლენინის ნაშრომებს. 1921–1940 წლებში დაიბეჭდა 337 ნაშრომები მარქსიზმ–ლენინიზმის თემატიკაზე 3 132 850 ეგზემპლარი. სკოლების და გამომცემლობის ზრდასთან ერთად გაიზარდა როგორც პროპაგანდის წარმოების საშუალებები, ასევე პროპაგანდის ობიექტი ადამიანები–ვგულისხმობ მოსწავლეებს და სტუდენტებს.

როგორც ბაბუნაშვილი აღნიშნავს, საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობა შეუქმნა ქართულ მწერლობას განვითარებისთვის. ვინც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა საქართველოს, ძირითადად სტუდენტებს, ავტორი უწოდებს ნაციონალიზმის შხამით მოწამლულებს, თუმცა პირიქით, ხდებოდა ყველა ღირებული ნაწარმოების აკრძალვა.

მწერლობა იყო იდეოლოგიის გავრცელების და სტალინის პროპაგანდის საშუალება, თუმცა პარალელურად ყურადღება ექცეოდა ისეთ ქართულ ნაწარმოებებს და მწერლებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სისტემას და იდეოლოგიას. 1939 წლისთვის უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობა საქართველოში ყველაზე მეტი იყო. გაიზარდა სამეცნიერო ნაშრომების რიცხვი, ასევე სტუდენტებისა და მასწავლებელ–პროფესორების რიცხვი 1930–იანი წლებიდან. 1950 წელს კი განსაკუთრებით გაიზარდა კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებები. მათმა რიცხვმა 2177–ს მიაღწია, 1948 წლის კპ ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის ნოემბრის დადგენილებით კი უნდა მომხდარიყო კულტურის ძეგლების შესწავლასთან ერთად მათი რესტავრაცია და დაცვა. (ბაბუნაშვილი, 1972, 44–45, 58– 87, 176–196)

სკოლებში, მიუხედავად იმისა საგანი ეხებოდა თუ არა პოლიტიკას, მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ ესაუბრათ ბავშვებთან პოლიტიკაზე. დილა იწყებოდა ლექსებით სტალინზე. ნებისმიერი საგანი უნდა დაწყებულიყო პოლიტიკაზე, პარტიაზე, სტალინზე საუბრით. ხდებოდა მასწავლებლების, მოსწავლეების და სტუდენტების იდეურ–პოლიტიკური აღზრდა. ხაზი ესმებოდა სტალინის წვლილს საბჭოთა მასწავლებლების დაფასების საქმეში, ამიტომ მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ მადლიერება გამოეხატათ ამ ზრუნვისთვის და შეესრულებინათ ის ვალდებულებები, რასაც სტალინი დაუწესებდათ. ეწყობოდა ექსკურსიები, მაგალითად, გორის უნივერსიტეტის სტუდენტები ჩამოდიოდნენ თბილისში ლიტერატურულ–მხატვრულ საღამოებზე დასასწრებად, რომელიც სტალინს ეძღვნებოდა. საინტერესოა, რომ უნივერსიტეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობისაა. (დარიაშვილი, 6, 2) „ყველა საბჭოთა მასწავლებელს და პროფესორს უნდა სჯეროდეს კომუნიზმის. სხვა შემთხვევაში, სხვაგან უნდა ნახოს სამსახური. ბავშვებისთვის უნდა ეჩვენებინათ თუ როგორი განსხვავება იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ მუშას იქ არ ქონდა საშუალება განათლების მიღების და ბედნიერები და მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ ბავშვები საბჭოთა კავშირში ცხოვრებით.“ საბჭოთა განათლების მთავარი მიზანი იყო რომ საბჭოთა ბავშვებს უარყოფითი წარმოდგენა ჰქონოდათ დანარჩენ მსოფლიოზე. ამ სისტემის მთავარი შედეგი იყო ის, რომ როგორც ანისიმოვი აღნიშნავს, სკოლა ზრდიდა რობოტებს,

რომელთაც ჰქონდათ შეზღუდული და ჩარჩოში ჩასმული ცოდნა და წარმოდგენა ყველაფერზე. (Anisimov, 1950, 92, 93)

საბჭოთა განათლება უნდა ყოფილიყო მუშათა კლასისთვის. საბჭოთა მასწავლებლებს უნდა ესწავლებინათ ბავშვებისთვის ის, რასაც დაუწესებდათ კომუნისტური პარტია. იდეოლოგიურ–პოლიტიკურ განათლებას იღებდნენ პროფესიულ განათლებასთან ერთად. „სკოლა აყალიბებს მოსწავლეებში ახალი, საბჭოთა ადამიანის თვისებებს, ადამიანისა, რომელიც აღსავსეა ლენინ–სტალინის იდეებით...“. ავტორი ჰულიკა აღნიშნავს, ანისიმოვის მსგავსად– საბჭოთა განათლების ერთ–ერთი მთავარი მიზანი იყო, უარყოფითი წარმოდგენა დაენერგათ ახალგაზრდებში კაპიტალისტური სამყაროს შესახებ. მთავარი პროპაგანდისტები კომუნისტური იდეოლოგიის, იყვნენ მასწავლებლები. (Hulicka, 1953,139–140–142–148)

საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის სიტყვები: „ბავშვებმა სკოლა უნდა დატოვონ იდეოლოგიურად დარწმუნებულებმა“–ეს სიტყვები ადასტურებს ვარაუდს რომ მათი მთავარი მიზანი იყო სკოლებში, ახალგაზრდებისთვის მიეცათ იდეოლოგიური განათლება. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა განათლების მიღებას მშობლიურ ენაზე, თუმცა მშობლიურ ენაზე იღებდნენ ინფორმაციას მხოლოდ სოციალიზმის, კომუნიზმის შესახებ. (Evans, 1976, 224) გრიგოლ ბარამიძე გაზეთ „სახალხო განათლების“ ერთ–ერთ სტატიაში აღნიშნავს საბავშვო წიგნებთან დაკავშირებით: „ქართული საბავშვო ლიტერატურის აღმზრდელობითი დანიშნულებაა, ბავშვების გულში აღძრას სამშობლოს, მშრომელი ხალხისა და დიდი ბელადისადმი სიყვარულის გრძნობა“. (ბარამიძე, 1948, 1)

დიდი ყურადღება ექცეოდა ისტორიის წიგნებს და მკაცრად კონტროლდებოდა ისტორიკოსთა ნამუშევრები. სტალინის სიტყვა ისტორიკოსებზე: „ისტორიკოსები არიან მთავარი ნაწილი საზოგადოების, რომლებმაც უნდა ასახონ პარტიის მუშაობა და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ყრილობებზე“. ისტორიკოსები უნდა ყოფილიყვნენ იდეოლოგიის დამცველები, სტალინის ინტერესების დამცველები. ისტორიის წიგნები უნდა ყოფილიყო სოციალიზმის დამცველი და გაევრცელებინა ეს

იდეოლოგია მოსწავლეებში და სტუდენტებში. ავტორები წერდნენ უშუალოდ ზემდგომი პირების დეტალური მითითებებით და შენიშვნებით. სტალინი თავად არჩევდა ისტორიკოსებს, რომლებიც დაწერდნენ ისტორიის სახელმძღვანელოებს მოსწავლეებისთვის, ერთ–ერთი სტალინის ფავორიტი ისტორიკოსი იყო ანა პანკრატოვა, რომელიც მუშაობდა სახელმძღვანელოებზე. (Dorotich, 1967, 297–306)

რომ შევადაროთ 1956 წლამდე და 1956 წლის შემდეგ სსრკ–ს ისტორიის წიგნები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიდნენ ბავშვებს, ვნახავთ განსხვავებას სტალინის პროპაგანდის წარმოების კუთხით. 1948 წელს გამოცემულ საშუალო სკოლის მე–11 კლასის სსრკ–ს ისტორიის სახელმძღვანელოში მოცემულია სტალინის ფიცი ლენინისადმი, ისწავლებოდა სტალინური ხუთწლედის წარმატებების შესახებ, კონსტიტუცია სათაურით „დიადი სტალინური კონსტიტუცია"–ამ თავში კი მოცემულია ფრაზა „საბჭოთა სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში, რადგან იგი უზრუნველყოფს ხალხის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს, იმ დროს როცა ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია არის დემოკრატია გაბატონებული უმცირესობისთვის. სტალინური კონსტიტუცია გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება ყველაზე თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიის ნიმუშია." 1963 წელს გამოცემულ სსრკ–ს ისტორიის სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი სტალინის შესახებ, სათაურმა განიცადა ცვლილება სტალინური კონსტიტუცია გადაიქცა სსრკ–ს კონსტიტუციად. 1953 წელს გამოცემულ მე–11 კლასის სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოში ცალკე თავი ეთმობა სტალინს სათაური ასეთია: „სტალინის სახელი და საქმე საუკუნეებში იცოცხლებს".(პანკრატოვა, 1948, 468–469, 525–529) (მინცი, 1963, 401)

საინტერესოა, 1956 წლამდე, სანამ სტალინის კულტი დაიგმობოდა, როგორ სწავლობდნენ სკოლებში მშობლიურ ლიტერატურას. 1947 წელს გამოცემულ მე–7 კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო იწყება ხალხური ლექსით „სიმღერა სტალინზე", მას მოსდევს ლექსი „სტალინის სამშობლოში" და ასევე ხალხური ლექსი „სიმღერა ბელადზე", გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სტალინი", იოსებ

გრიშაშვილის „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“ და ს. ჩიქოვანის 1936 წელს დაწერილი ლექსი „გორის ციხე“, რომელიც სტალინს ეძღვნება. საინტერესოა ლექსები, რომლებსაც ბავშვები სწავლობდნენ აღნიშნული ლექსების პარალელურად–„ხალხური ლექსები ვაჟკაცობაზე“, რომელიც პატრიოტულ მოტივებზეა დაწერილი. ისწავლებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა–ფშაველას, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები. (კეკელიძე, ყიფშიძე, 1947) 1953 წელს გამოცემულ მე–8 კლასის სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა სტალინს, ისწავლებოდა ს.შანშიაშვილის ლექსი „შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“, სადაც გამოყენებული იყო ფრაზები: „იგი მზე შენ ხარ ყოველ დილით ამომავალი“, „შენ მუდამ ჩვენთვის ზრუნვაში ხარ, დაუღალავი“, „შენ გიმღერ სტალინ, შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო“. ასევე ისწავლებოდა იოსებ გრიშაშვილის ლექსი „სტალინი რუსთავში“, ლექსი „დიდება ბელადს“, რომელსაც ავტორი არ ყავს და რომელიც დაწერილია 1944 წელს, ასეთი ფრაზაა გამოყენებული „ო, როგორ მატკბობს, როგორ მალაღებს, ჩემი სამშობლოს თავისუფლება“, ამ ლექსიდან ჩანს, რომ საქართველოს მაინც დამოუკიდებლად და თავისუფლად აღიქვამდნენ საბჭოთა კავშირშიც კი. საინტერესოა ამავე სახელმძღვანელოში დაბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „იმიტომ ხდება რევოლუცია“, სადაც ავტორი ამბობს: „იმიტომ ხდება რევოლუცია, მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი, რომ პოეტების არ გაისმოდეს უიმედობა, კვნესა, წუწუნი“. თითქოს მწერლებისთვის და პოეტებისთვის რევოლუცია იყო იმედის მიმცემი. პარალელურად, ამავე სახელმძღვანელოში დაბეჭდილია ალ. აბაშელის ლექსი „აკაკის“, ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის პოემიდან „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“– ნაწყვეტი, ლექსი „დიადი სტალინური კანონი“. (კეკელიძე, ჟღენტი, 1953) 1925 წლის ლიტერატურის სახელმძღვანელოში არაფერია დაწერილი სტალინზე, ძირითადად იბეჭდება, რუსთაველის, ჭავჭავაძის, ყაზბეგის, ბარათაშვილის ნაწარმოებები და ასევე 1962 წლის ლიტერატურის სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი სტალინზე. 1930–იანი წლებიდან დაწყებული 1950–იან წლებამდე შეიმჩნევა ლიტერატურის სახელმძღვანელოებშიც სტალინის პროპაგანდა, ეროვნული ღირებულებების დაცვის პარალელურად.

სკოლის გაზეთებში იბეჭდებოდა სტალინის ფოტოები, სტატიები. ტრადიციად იყო ქცეული პიონერთა რაზმების სტუმრობა „დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქში“–გორში, რაც ასოცირდებოდა სტალინთან. (პიონერი, 1946, 11, 27) უნდა აღინიშნოს 7 ნოემბრის, 9 მაისის, 1 მაისის გამოსვლები, სადაც მრავლად იყო სტალინის სურათები, მოსწავლეები და პედაგოგები გამოდიოდნენ სიტყვით და ადიდებდნენ სტალინს.

6. 1956წ 9 მარტი

ამ თავში მინდა ვისაუბრო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მოხდა 1956 წლის 9 მარტი, რატომ გამოვიდა ხალხი სტალინის დასაცავად.

ჟურნალ „ისტორიულ მემკიდრეობაში“ დაიბეჭდა ინტერვიუ 9 მარტის აქტიურ მონაწილესთან ზაურ მაჭავარიანთან. მისი სიტყვები კარგი დადასტურებაა იმ მოსაზრებისა, რომ სტალინურმა პროპაგანდამ განაპირობა ხალხის სიყვარულის მოპოვება. „მთელი ჩემი ახალგაზრდული წლების განმავლობაში მე ვიზრდებოდი ლენინ–სტალინის საქმის მგზნებარე სიყვარულის ატმოსფეროში, ვსწავლობდი ბელადების ავტობიოგრაფიებს, შრომებს, ყოფაცხოვრებას, ვაკვირდებოდი მათ ზრუნვას ახალგაზრდობაზე“– ამბობს იგი და სტალინის გამო მიტინგზე გასვლას სტალინის სიყვარულით ხსნის. „გამახსენდა სკოლის წლები, თუ როგორ გვინერგავდნენ მასწავლებლები სტალინის სიყვარულს, როგორ ვსწავლობდი ლექსებს დიდ ბელადზე“. მაჭავარიანის თქმით, სწორედ სტალინისადმი სიყვარული იყო 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მიზეზი და არა რაიმე სხვა. მისი სიტყვებით, „სტალინური საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანებით იყო დასახლებული“, „სტალინის ეპოქის ადამიანები ზეადამიანები იყვნენ, დღევანდელები კი მხოლოდ სტატისტიკური მოსახლეობაა, მეტი არაფერი“. მისი თქმით, 1956 წლის 9 მარტს ნამდვილად თავისუფალი ადამიანები იყვნენ გამოსულნი უსამართლობის გასაპროტესტებლად. ის უარყოფს ვერსიებს რომ 9 მარტს ახალგაზრდები დამოუკიდებელი საქართველოს მოთხოვნის ან საბჭოთა რეჟიმის დამხობის გამო გამოვიდნენ. ზაურ მაჭავარიანი ადასტურებს, რომ მიზეზი ნამდვილად სტალინის კულტის დაგმობა იყო, რომელიც აღქმული იქნა გამომსვლელების მიერ როგორც ეროვნული შეურაცხყოფა. მონაწილეები ითხოვდნენ სტალინზე ფილმების და სპექტაკლების ჩვენებას. (კორძაძე, 2013, 20–26) გამომსვლელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც განათლება 30–იან 40–იან წლებში მიიღეს. როგორც ჩანს, სტალინურმა პროპაგანდამ დადებითად იმოქმედა და საბოლოოდ მიზანს მიაღწია.

„ეროვნული თვითშეგნებისა და ღირსების შეგინებით შეურაცხყოფილთა საერთო–სახალხო აღშფოთება“–ასე აფასებს 5–9 მარტის დღეებს 9 მარტის მოვლენების მომსწრე თამაზ ჯანელიძე–საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის მე–20 ყრილობაზე დაგმო სტალინის კულტი, დაადანაშაულა სტალინი უდანაშაულო ადამიანების დახვრეტაში. დაიგმო პიროვნების კულტი, რომლის ზეკაცობასაც უნერგავდნენ 3 ათეული წელი ადამიანებს. საინტერესო ფაქტია: ისინი, ვინც შემდგომში დაკავებულ მონაწილეებს კითხავდნენ და სჯიდნენ სტალინის სახელის დაცვის გამო, თავად სტალინის ფოტოები ეკიდათ კაბინეტებში.(ჯანელიძე, 2008, 60, 67, 75)

ძნელია მონაცემების და სტატისტიკის შედგენა, რადგან არ არსებობს ზუსტი რიცხვი და გამომსვლელების ვინაობა, ამიტომ მხოლოდ არსებული მონაცემების მიხედვით შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა.

მონაწილეები	**რაოდენობა**	**30–40იან წლებში დაბადებულები (%)**
დაღუპულები	26	92%
დაჭრილები	36	89%
სულ	62	90%

(ნოზაძე, 1992, 83–96) (ვეფხვაძე, 2001, 56)

9 მარტის მოვლენებში ძირითადად მონაწილეობდნენ ახალგაზრდები და როგორც ავტორი აღნიშნავს ეს ის თაობაა, რომლებსაც არ შეხებია და არ მოსწრებიან 1937 წლის რეპრესიებს, თუმცა ბევრი ფაქტი იყო იმის დასადასტურებლად, რომ რეპრესიებიდან დაბრუნებულებიც და მათი ოჯახის წევრებიც ადიდებდნენ სტალინის სახელს. საინტერესო ფაქტია აღწერილი 9 მარტის მოვლენების მონაწილის–აკაკი წერეთლის მოგონებებში. ერთი ადამიანი სტალინის ძეგლთან პირჯვარს იწერდა და ადიდებდა მას (წერეთელი, 1994,4) სტალინი წმინდანთან ყავდათ გაიგივებული.

სტალინის დასაცავად უამრავი ადამიანი გამოვიდა, რადგან მისი შეურაცხყოფა ეროვნულ შეურაცყოფად აღიქვეს. ქართველების ღირსება სტალინის ღირსებასთან გააიგივეს. გამოსვლებს ჰქონდა ნაციონალისტური შინაარსი, გამოსვლები იყო ქუთაისში, გორში, ბათუმში, სოხუმსა და თბილისში.

სტალინის კულტი იმიტომ დაიგმო რომ ის ქართველი იყო, ამიტომ უნდა დაეცვათ მისი სახელი. 1954 წელს სტალინის ძეგლთან შეიკრიბა ათასობით ხალხი, რაც წინასწარ არ იყო დაგეგმილი. „ორატორები საუბრობდნენ რა დიდი ისტორიული ფიგურა იყო სტალინი, რა გადამწყვეტი იყო მისი როლი მეორე მსოფლიო ომში და რა უსამართლო იყო მისი კულტის დაგმობა“. როგორც ნათაძე აღნიშნავს და მისი სიტყვები განამტკიცებს ჩემს ჰიპოთეზებს, ქართველები პოლიტიკურად იმდენად იყვნენ დასუსტებულები, მათთვის სტალინის დაინტერესება ქართული ფილმებით, ხალხური სიმღერით და ქართული სასმელ–საჭმელით–დიდი იმედი და შვება იყო.(ნათაძე, 1991) მისი კულტის დაგმობა იყო ქართველებისთვის ერის შეურაცხყოფა, რადგან სტალინი ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ იყო ქცეული. თუმცა, როგორც იმდროინდელი საქართველოს უშიშროების კომიტეტის უფროსი ალექსი ინაური იხსენებს, რომელიც უშუალო მონაწილე იყო ამ მოვლენების, მთავარი მაინც სტალინის დაცვა იყო. ისმოდა ლოზუნგები გაუმარჯოს ლენინ–სტალინის პარტიას. (ვეფხვაძე, 2001, 111) გამოდიოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მწერლები, პოეტები, მუშები. ჟღერდა სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები: „ცივა მხოლოდ ქარი კივის“... „ცივა, მაგრამ ბაღში ბელადს ვინ დატოვებს მარტო“... (ნათაძე, 1991) „ვინ დაივიწყებს იმ მამას, ვინც შვილნი დაამამაცა, სტალინი საქართველოსთვის, შვილიც იყო და მამაცა“. (წერეთელი,1994, 4), ასევე ჟღერდა სტალინისთვის მიძღვნილი იოსებ ნონეშვილის ლექსი „მამავ ძვირფასო, ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო“.

1956 წლის 9 მარტს ახალგაზრდები მოითხოვდნენ ნიკიტა ხრუშჩოვის გადადგომას, თუმცა ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა როგორც იყო მოსალოდნელი და ქართველ ხალხს ხრუშჩოვის ბრძანებით სასტიკად გაუსწორდა რუსული არმია. შესაძლებელი იყო ამ მოვლენების მშვიდობიანი მოგვარება, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ეს მოვლენები

გამოიყენა, როგორც მაგალითი დასჯისა, იმისთვის რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ვერ გაებედათ მსგავსი საპროტესტო გამოსვლების მოწყობა. ამ პროტესტის საფრთხეს კი გრძნობდა საბჭოთა ხელისუფლება, რადგან სტალინის დამცველნი მრავლად იყვნენ სხვა რესპუბლიკებშიც. „რუსებს სძულდათ ქართველები, მათ ეგონათ რადგან საბჭოთა კავშირს ქართველი მართავდა, ქართველებს რეპრესიები ნაკლებად შეეხებოდათ, ქართველების მდგომარეობა პრივილეგირებული იქნებოდა, ამიტომ უნდა მომხდარიყო მათი დაქვეითება, დასჯა," თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ქართველებმა იმავე დოზით მიიღეს რეპრესიები და მძიმედ გადაიტანეს საბჭოთა რეჟიმი. მიუხედავად ამისა, მაინც მწვავედ აღიქვეს სტალინის კულტის დაგმობა. სტალინის სახელი გაიგივებული იყო ქართველ ხალხთან და საქართველოსთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტალინის კულტის დაგმობა განსაკუთრებით მძაფრად აღიქვა ახალგაზრდობამ, სტუდენტობამ, რომლებმაც საქართველოს მრავალ რეგიონში დაიწყეს გამოსვლები სტალინის სახელის დასაცავად. (იზორია,2010, 46–48)

ვასილ მჟავანაძის თანაშემწე გივი მელაძე 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს საბჭოთა პროპაგანდას უკავშირებს, რომელიც ხორციელდებოდა პრესის საშუალებით. „იგი აღიარეს საბჭოთა ხალხების მამად, მსოფლიოს მხსნელად კაციჭამია ფაშისტებისგან, გამარჯვებული სოციალიზმის სულისჩამდგმელად და ა.შ." ქუთაისის ქალაქკომის იმდროინდელ პირველ მდივანთან ინტერვიუში ირკვევა რომ ახალგაზრდები მზად იყვნენ თავი გაეწირათ სტალინისთვის. როგორც ავტორი იხსენებს, ერთ–ერთი გოგონა, რომელიც ვასილ მჟავანაძესთან ითხოვდა შეხვედრას, ამბობდა, რომ მზად იყო სტალინის გამო მომკვდარიყო. ეს სიტყვები ნათელი დასტურია იმისა, რომ ადამიანები სტალინის სიყვარულის გამო და მის დასაცავად გავიდნენ მიტინგზე. (ვეფხვაძე, 2001, 123, 130)

1956 წლის 9 მარტის მოვლენების მონაწილე იური ბიბილეიშვილი, რომელიც იყო 9 მარტის ბათუმის გამოსვლების ხელმძღვანელი და აქტიური სტუდენტი, წერს მოგონებებს ამ დღესთან დაკავშირებით და საინტერესოა წიგნის სათაური „საქართველოსათვის", მართალია 9 მარტის გამოსვლების დროს საქართველოს

დამოუკიდებლობის საკითხმაც წინ წამოიწია და იქ გამომსვლელები საქართველოს სახელს იცავდნენ, თუმცა გამოსვლის მიზეზი სტალინის სახელის დაცვა იყო. გამოდის რომ საქართველოს ღირსება და სტალინის ღირსება გათანაბრებულია ერთმანეთთან. სტალინის კულტის დაგმობით ქართველებისთვის დაიგმო საქართველოს სახელიც. როგორც ავტორი წერს, ნიკიტა ხრუშჩოვმა სკკპ–ის ყრილობაზე გამოსვლის დროს არამხოლოდ სტალინის კულტი დაგმო, არამედ ქართველი ხალხის ღირსებაც შელახა. ავტორს მოჰყავს ხრუშჩოვის სიტყვები–„არც სტალინი იყო დიდი პიროვნება და არც მისი მშობელი ხალხია დიდი“, ეს ფრაზა განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო იქ გამომსვლელთათვის. (ბიბილეიშვილი, 2011,13)

როგორც შოთა ნოზაძე აღნიშნავს, რომელიც უშუალო მონაწილე იყო ამ მოვლენების, 9 მარტს რესპუბლიკური გაზეთები წერდნენ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავთან დაკავშირებით. რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა წერილები სტალინის გარდაცვალებიდან 3 წლისთავისადმი მიძღვნილი, ასევე წერილები, სადაც პატივს მიაგებდნენ სტალინს, 9 მარტის მოვლენებზე კი არაფერი იყო ნათქვამი, ასევე არაფერი იყო ნათქვამი ამ მოვლენების შესახებ საკავშირო გაზეთებშიც. (ნოზაძე, 1992,18) ასეთი ქმედება იმით იყო განპირობებული, რომ 9 მარტის მოვლენებს არ გამოეწვია მსგავსი პროტესტი მოკავშირე რესპუბლიკებში.

ვერ ვიტყვით, რომ სტალინის სახელი არაფერ შუაში იყო და ხალხი მხოლოდ ქართველთა ღირსების დასაცავად გამოვიდა ქუჩაში. ამას ადასტურებს სტალინის გარდაცვალების დღეს–5 მარტს თბილისში, გორში, ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალში, ბათუმში და სხვა რეგიონებშიც, ხალხის შეკრება სტალინის ძეგლთან. სწორედ ამ დღეს დაიწყო გამოსვლები და პირველად ხდებოდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, რომ არც რადიომ და არც ტელევიზიამ არაფერი არ გამოაცხადა სტალინის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით. ხალხი, როგორც ავტორს აქვს აღნიშნული, იჩოქებდა სტალინის ძეგლთან მისი სახელის პატივსაცემად. (ბიბილეიშვილი, 2011, 25, 28) საინტერესოა გამომსვლელთა ასაკი, მათ დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სკოლის

მოსწავლეები და სტუდენტები. ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ 1930–იან წლებში, რომლებმაც განათლება სტალინის პერიოდში მიიღეს, რომლებიც ეცნობოდნენ ამ პერიოდის პრესას, უყურებდნენ ფილმებს, თეატრს. როგორც 9 მარტის მონაწილე აღნიშნავს, ბელადის გარეშე ცხოვრება ვერავის წარმოედგინა. (ვეფხვაძე, 2001, 19)

ერთ–ერთი მონაწილის–თემურ თოფურიას მამა 1937 წლის სტალინის რეპრესიებს ემსხვერპლა, თვითონ კი 1956 წლის 9 მარტს შეეწირა, საინტერესოა ამ ფაქტის შეფასება– „ერთი სახელმწიფოს მიმართ „მტრულად განწყობისთვის“ შეირისხა, მეორე–ამავე სახელმწიფოს დამაარსებლის ქომაგობისთვის“. ეს შემთხვევა აბათილებს იმ მოსაზრებას რომ 1956 წლის მარტში მხოლოდ ის ადამიანები იყვნენ გამოსულები, რომლებსაც არ შეხებიათ 1937 წლის რეპრესიები. (ვეფხვაძე, 33–41)

„სროლის ბრძანება მოსკოვის იყო, რუსი ჯარისკაცები ნებართვას ელოდებოდნენ, მათ ქართველების სისხლი სწყუროდათ.“ 1956 წლის 9 მარტს ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 26 კაცი, ხოლო ლევან იზორიას თქმით 150 კაცი. დაიჭრა 36 მოქალაქე. თუმცა რუსულ წყაროებში მითითებულია რომ დაიღუპა 21 ადამიანი და დაიჭრა 25. ცნობილია, რომ რუსებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თბილისის საჰაერო დაბომბვა თუ 9 მარტს ვერ მოხდებოდა მიტინგის დაშლა. ამ შემთხვევაში მსხვერპლი ძალიან დიდი იქნებოდა. საჰაერო დაბომბვა არ განხორციელებულა და რუსი ჯარისკაცები მხოლოდ თბილისის, გორის და ქუთაისის მიტინგების დასაშლელად გამოიყენეს. როგორც ბათუმის მიტინგის მონაწილე და ხელმძღვანელი აღნიშნავს, ბათუმში მშვიდობიანად დაიშალა მიტინგი და თბილისის მოვლენებიც მოგვიანებით გაიგეს, რადგან რადიო და ტელევიზია არ აცხადებდა არაფერს ამ ფაქტთან დაკავშირებით. როგორც ჩანს მთავრობას არ აწყობდა ამ ამბის გახმაურება. თუმცა დიდ ხანს, რა თქმა უნდა, ვერ დაიმალებოდა. გაჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგები–„თავისუფლება საქართველოს“. სტალინის კულტის დაცვა დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა. მომიტინგეებს სჯეროდათ რომ მათი პროტესტი შედეგს გამოიღებდა და ასევე სწამდათ რომ სტალინი და საქართველო ერთიდაიგივე იყო. სტალინის კულტის დაგმობა საქართველოს დაგმობას ნიშნავდა. სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო მიტინგის თითოეულ

მონაწილეს ალბათ სათითაოდ დახვრეტდა და ქართველი ხალხი კი მისი სახელის გამო თავს სწირავდა. 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა და სტალინის სახელის დაცვამ გამოიწვია არალეგალური მიწისქვეშა ორგანიზაციების შექმნა, რომელთა მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა (ნათაძე, 1991) (ბარბაქაძე, 2010, 128, 132) საინტერესოა ის ფაქტი, რომ 9 მარტის მოვლენების შემდეგ გავრცელებულ პროკლამაციებში აღნიშნული იყო 1924 წლის აჯანყების დროს სასტიკი დასჯა, 30–იანი წლების რეპრესიები და რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. საქართველოს უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოებრიობა. ისინი ვერ ითავისებდნენ რომ აღნიშნული რეპრესიების შემოქმედი სტალინი იყო და რომ მას დიდი წვლილი მიუძღვოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში. (ბარბაქაძე,2010, 133)

1956 წლის 9 მარტი იყო პირველი მასშტაბური გამოსვლის თარიღი საქართველოში საბჭოთა ისტორიის მანძილზე და ამ პირველი ნაციონალისტური გამოსვლების მიზეზი იყო სტალინის კულტის დაგმობა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო პარადოქსული და საკვირველი მოვლენა. როგორც მერი ბარბაქაძე აღნიშნავს „რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, სტალინის გამანადგურებელმა კრიტიკამ მისცა ბიძგი იმ გამოსვლებს, რომელიც მანამდე ვერ ხერხდებოდა. საკვირველი იმიტომ, რომ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა სხვა დანარჩენი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისგან. ქართველმა ხალხმა, სწორედ რომ თავისი შვილის თავკაცობით, საკუთარ თავზე იწვნია უსასრულო რეპრესიები და უდანაშაულო მსხვერპლი.“ როგორც ავტორი აღნიშნავს, იქ გამომსვლელები სტალინის სიყვარულით იზრდებოდნენ და მისი სახელი თავიანთ ეროვნულობასთან ჰქონდათ გაიგივებული. (ბარბაქაძე, 2010,131)

ბათუმელი მიტინგის მონაწილის დაკითხვის დროს ეს სიტყვები უთხრეს: „სტალინის დროს რომ ჩაგედინა ის, რისთვისაც აქ იმყოფები, მზის სინათლე მოგენატრებოდა არა მარტო შენ, არამედ შენს ოჯახსაც“. ამ ყველაფრის მიუხედავად, მოგონებებში კარგად ჩანს, რომ სტალინის გამო მზად იყვნენ ციხეში გაეტარებინათ მრავალი წელი და გადასახლებასაც არ უშინდებოდნენ. (ბიბილეიშვილი,2011, 40) ერთ–ერთი მონაწილე დაკითხვის დროს ამბობდა– „სტალინი იყო, არის და იქნება ის პიროვნება, რომელსაც

ვეთაყვანები“. (ვეფხვაძე, 2001, 65) საბოლოოდ, ამ მოვლენებს უამრავი ქართველი შეეწირა, თუმცა ამაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. საბჭოთა ხელისუფლებამ ისევ ქართველი ხალხი დაადანაშაულა „შოვინიზმში“ 9 მარტის მოვლენების გამო. (იზორია, 2010,48)

სტალინის სახელის დასაცავად გამოსული ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდა. საინტერესოა ერთ–ერთი გამომსვლელის სიტყვები „ 30 საუკუნის მდიდარი ისტორია ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ეს ღირსება, დამოუკიდებლობა მას მეფის რუსეთმა წაართვა, საქართველომ უნდა დაიბრუნოს დამოუკიდებლობა, რადგან სწორედ დამოუკიდებელი, ძლიერი საქართველო შესძლებს ღირსეული პატივი მიაგოს თავის დიდ შვილს, რომლის ბადალი პიროვნება მსოფლიოს არც ჰყოლია და არც ეყოლება“. (წერეთელი,1994, 8) საყურადღებოა ამ სიტყვებში ის ფაქტი, რომ სტალინი თითქოს სრულიად უდანაშაულოა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში და ის დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოა, ღირსეული შვილია.

ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე აფრთხილებდა ხალხს, რომ დაეტოვებინათ მიტინგი. შეიძლება რამე საშინელება მომხდარიყო, (წერეთელი, 1994,26) თუმცა გამომსვლელები ვერ შეაშინა ამ სიტყვებმა. პირიქით, ისმოდა ხალხური ლექსები სტალინზე: „კალთა ფოლადის, მხრებიც ფოლადის, რკინის ჩაჩქანი მახურავს, ძმებო, დღეს ბელადის ხმას ვემსახურები,გაუტეხელი სახელი მერგო .“(ხალხური, 10)

„დიდი ომი გადიხადე, დაამარცხე ხალხის მტერი“. (ხალხური, 14)

პარადოქსია–ადამიანი, რომელიც ალბათ თავად არასდროს დაუშვებდა ამდენი ხალხის ქუჩაში გამოსვლას პროტესტის გამო, მიუხედავად ამისა, მის დასაცავად უამრავი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

ანონიმურ სტენოგრამაზე არსებობს ზუსტი ჩანაწერი, თუ რა ხდებოდა 9 მარტს, მათ შორის ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვები–„მე მიყვარს კომუნისტური პარტია, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, ვერავინ ვერ შებღალავს

სტალინის სახელს“. თუმცა როგორც ერთ–ერთი მონაწილე იხსენებს, დამოუკიდებელი საქართველოს იდეა მხოლოდ ერთხელ გაჟღერდა ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ. შეკრების მთავარი მოტივი კი სტალინის სახელის დაცვა იყო. მიტინგი იმართებოდა სტალინის პიროვნების დამცირებისა და მისი ღვაწლის ასე მალე დავიწყების გამო. (ნოზაძე, 1992,26–28, 41)

ერთ–ერთი მონაწილე 1956 წლის 9 მარტის–არჩემაშვილი წერს „სტალინის კრიტიკა ყველამ მტკივნეულად განვიცადეთ. იგი მივიჩნიეთ არა მარტო ჩვენი რწმენისა და იდეალის ხელყოფად, არამედ ქართველი ერის დამცირებად, შეურაცხყოფად.“ (ნოზაძე, 1992,36)

მიტინგზე მყოფი ადამიანების დასჯა მთავრობის მიერ გამართლებული იყო იმით, რომ მათ ბრალს სდებდნენ წესრიგის დარღვევაში. სტალინის როლს და ღვაწლს კი არავინ უარყოფდა. „პროვოკატორები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქართველი ხალხის პატიოსან შვილთა სამწუხარო გრძნობები სოციალიზმის საზიანოდ, დიდი ლენინის საქმის საზიანოდ, რომელსაც სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა.“ (ნოზაძე, 1992, 47)

სტალინის სახელის დასაცავად გამოსული ხალხი სტალინის პორტრეტებს იმ ტანკებზე ათავსებდა, რომლებსაც მათ დასასჯელად იყენებდნენ, ეს იყო სიმბოლო იმ თანგანწირვისა და სიმბოლო იმ მზადყოფნისა, რომელსაც ქართველი ხალხი გამოხატავდა სტალინის სახელის დასაცავად. (ჯანელიძე, 2009, 7,10)

სტალინისადმი პატივისცემის გრძნობა უფრო მძაფრად გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ აზრს ნოდარ ნათაძეც იზიარებს. 9 მარტის მონაწილეთა გამოსვლა ამ მიზეზითაც იყო გამოწვეული. ერთ–ერთი მონაწილის სიტყვებია: „ყველაფერს სტალინის და პარტიის სახელით ვაკეთებდით. ვხედავდით სტალინის დამსახურებას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხისა და ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებებში.“ 1956 წლის 9 მარტის მონაწილეთა მსგავსი ფრაზები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სტალინის კულტი ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო

ომში გამარჯვების გამო. ამ გამარჯვებას სტალინს მიაწერდნენ და სწორედ ამის გამო გამოდიოდნენ და სწირავდნენ თავს 1956 წლის 9 მარტს.

სტალინის გამო ათასობით ქართველი ომში მოხალისედ წავიდა და სწორედ მისი სახელის დაცვას შეეწირნენ 5–9 მარტს ქართველები. ამ მოვლენების მიზეზების გაგება რთულია და დროის საქმეა, როგორც ნათაძე მიიჩნევს. (ნოზაძე, 1992,63–64, 178)

როგორც 9 მარტის მონაწილეთა მოგონებებიდან ირკვევა, გამომსვლელთა დიდი ნაწილი მზად იყო თავი შეეწირა სტალინისთვის. გარდაცვლილის მშობლებიც კი, რომელთა შვილები სტალინის სახელის დაცვას შეეწირნენ, მაინც არ თვლიდნენ მათი შვილების სისხლს ტყუილად დაღვრილს. „თუ მომარჩენთ ხომ კარგი, თუ არა, იმას მაინც იტყვიან სტალინისთვის მოკვდაო“–ეს იყო ბოლო სიტყვები 9 მარტის ერთ–ერთი მონაწილის. ამ სიტყვებით შეიძლება გავაბათილოთ მოსაზრება, რომ 9 მარტს სტალინის დასაცავად მხოლოდ იმიტომ გამოვიდნენ რომ ის ქართველი იყო.

„ჩვენ სტალინისთვის ვიბრძოდით, ჩვენთვის ეს სახელი თავისუფლების ტოლფასი იყო–ასე გვწამდა.“–ამ მოვლენების მონაწილე აღიარებს, რომ მათ სათანადოდ არ ჰყავდათ შეფასებული სტალინის პიროვნება, თუმცა თვლიდნენ რომ უნდა დაეცვათ სტალინის სახელი, რომელიც იბრძოდა სამშობლოს გასაძლიერებლად. (ნოზაძე, 1992, 72–86)

ამ მოვლენაზე უცხოური პრესა და ტელევიზია წერდა წლების შემდეგ. ისინი მიტინგზე გამოსულ ახალგაზრდებს ახასიათებდნენ როგორც ანტისტალინელებს, რომლებიც მხოლოდ სამშობლოს დასაცავად გამოვიდნენ ქუჩაში. თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს ნოზაძის წიგნში მოხსენიებული ერთ–ერთი გამომსვლელის სიტყვები: „ვთვლიდი რომ სტალინის ლანძღვით, ლანძღავდნენ ქართველ ერს“. (ნოზაძე, 1992, 76–106)

ასევე არსებობს არგუმენტი და კითხვა, რატომ გამოვიდნენ მხოლოდ საქართველოში? ერთ–ერთი მონაწილის და მსხვერპლის ბოლო წერილიდან ირკვევა რომ სტალინის სახელის დასაცავად ერევნიდან და ბაქოდანაც ჩამოვიდნენ სტუდენტები და როგორც მისთვის იყო ცნობილი, მოსკოვშიც აპირებდნენ გამოსვლას. ჩემი აზრით, საქართველო

იყო პირველი შემთხვევა და ამ დარბევით სხვებს აჩვენეს მაგალითი, მსგავსი პროტესტის შემთხვევაში ისინიც მათ ბედს გაიზიარებდნენ. (ვეფხვაძე, 2001, 35)

ერთ–ერთი მონაწილის დაკითხვის დროს კითხვაზე–„რატომ გიყვარს სტალინი როცა ის თვალით არ გინახავს?“ მან უპასუხა: „მე მასთან ერთად ვიბრძოდი, შენ კი არანაირი მიზეზი არ გაქვს რომ გიყვარდეს“. თუმცა პასუხი იყო რომ „სტალინი ყველასთვის საყვარელია, რა საჭიროა ნაცნობობა.“ 9 მარტის გორის მიტინგების მონაწილე, რომელიც გადაასახლეს, წერდა „მძულს ჩემი თავი რომ არ შემიძლია თუნდაც ერთხელ მაინც დავიძახო დიდება დიდ სტალინს“ „ვინ გაბედავს სიყვარული წამართვას, ბელადთან ვარ სულითა და გონებით“, „ჩემი სხეულის ნაწილში ისე ღრმად არის გამჯდარი ბელადის სიყვარული რომ არც წამებას, არც კარცერს არ შეუძლია თუნდაც ოდნავი ჩრდილი მიაყენოს მას“. (ნოზაძე, 1992, 108, 139)

1956 წელს სიტყვით გამოდიოდნენ სამხედროები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ სტალინის დიდ დამსახურებებს, მის მტკიცე ხასიათს და მის გამარჯვებებს. მოიხსენიებდნენ სტალინს, როგორც დამონებული ხალხის გამათავისუფლებელს. როგორც შოთა ნოზაძე აღნიშნავს, 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მიზეზი იყო, პირველ რიგში, სტალინის სიყვარული და ის, რომ ამ მოვლენების მონაწილეები სამშობლოს აიგივებდნენ სტალინთან. (ნოზაძე, 1992,148, 197, 221)

ნოდარ შამანაძე, რომელიც თავის წიგნში „როგორ შემაყვარეს სტალინი“, აღწერს თუ როგორ ეწეოდა სტალინის პროპაგანდას მასწავლებელი სკოლაში. როგორ უყვებოდნენ მითებს და ლეგენდებს სტალინის უძლეველობასა და ყოვლისშემძლეობაზე. როგორ ლოცულობდნენ ოჯახის წევრები სტალინის სურათებთან. ავტორის ოჯახის წევრებიც სტალინის რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ, თუმცა 1956 წლის 9 მარტს გამოსული იყო სტალინის დასაცავად და მკერდზე ეკეთა სტალინის სურათი, რომელსაც ბავშვობიდან ატარებდა და უფრთხილდებოდა. (შამანაძე, 1996,26) ეს მოგონება კარგი დასტურია იმისა თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა სტალინურმა პროპაგანდამ ადამიანებზე.

1956 წლის 9 მარტის მონაწილე ნანა მეტონიძე იხსენებს, რომ გამოსვლების მთავარი მოტივი სტალინის სიყვარული იყო. მისი თქმით, სტალინს უამრავი დამსახურება ჰქონდა ქართველების წინაშე. განსაკუთრებულ ღირსებად კი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას თვლის. ეს არამარტო ქართველებისთვის, არამედ მსოფლიოს წინაშე უდიდესი დამსახურება იყო. კითხვაზე–თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რეპრესიებთან დაკავშირებით, ის ამბობს რომ ეს ყველაფერი საჭირო იყო რეჟიმის შესანარჩუნებლად და დისციპლინისთვის. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ის ამბობს რომ არ უგრძვნიათ დამოუკიდებლობა რომ არ ჰქონდათ, ამბობს რომ „ვსწავლობდით ქართულ ენაზე, ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, ყველა ღირებულება დაცული იყო და არ გვქონდა რაიმე შეზღუდულობის შეგრძნება“. (ინტერვიუ, მოქალაქე–ნანა მეტონიძე)

1956 წლის 9 მარტის მონაწილე, მიხეილ კირვალიძე ამბობს რომ თავადაც და იქ გამომსვლელთა უმრავლესობა მხოლოდ სტალინის სიყვარულის გამო გავიდა მიტინგზე. მისი თქმით, სტალინის სიყვარულს ბავშვობიდან უნერგავდნენ. სკოლაში ყოველი დღე იწყებოდა ლექსების თქმით სტალინზე. მასწავლებლები ხშირად უყვებოდნენ სტალინზე ლეგენდებს. ხშირად დადიოდნენ გორში და მათთვის გორი ასოცირდებოდა სტალინთან. ჩემს კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით და სტალინის მონაწილეობაზე რეპრესიებში, მან აღნიშნა რომ სტალინმა არაფერი იცოდა რეპრესიების შესახებ და ეს მისი მტრების მოგონილი იყო. რაც შეეხება დამოუკიდებლობის დაკარგვას, მისი თქმით, ქართული სული არ დაუკარგავთ, სტალინი ყურადღებას აქცევდა ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, კინოს, თეატრს, ხალხურ სიმღერას, ცეკვას. ასახელებს სტალინის დიდ როლს გიორგი სააკაძის ფილმის შექმნაში. იმ დროს მთავარი გასართობი იყო კინო და სწორედ გიორგი სააკაძე გადიოდა ხშირად, ასევე სტალინს აფასებს იმის გამო რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას აქცევდა ყურადღებას. მიხეილ კირვალიძისთვის სტალინი ასოცირდება დიდ ქართველთან, რომელიც სათავეში ედგა დიდ იმპერიას. (ინტერვიუ, მოქალაქე–მიხეილ კირვალიძე) ინტერვიუებიდან ირკვევა,

რომ საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ, როგორც პროპაგანდის ნაწილმა გავლენა მოახდინა იმ დროს მცხოვრებ ადამიანებზე.

7. დასკვნა

ჩემი კვლევის მთავარი მიზანი იყო, იმის ახსნა თუ რატომ გახდა სტალინი ქართული ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი 1930–იან 50–იან წლებში. რამ გამოიწვია 1956 წლის 9 მარტის გამოსვლები? რატომ გამოვიდნენ სტალინის დასაცავად? მიუხედავად იმისა, რომ სტალინი მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში და ასევე ის იყო შემოქმედი რეპრესიების.

9 მარტის მონაწილეების მოგონებების, ინტერვიუების, იმდროინდელი პრესის, კინოს, თეატრის, სახელმძღვანელოების და ლიტერატურის გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ რომ სტალინი ქართული ნაციონალიზმის შემადგენელი ნაწილი გახდა საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის, როგორც პროპაგანდის წარმოების საშუალების გამო და ასევე იმიტომ რომ სტალინს მიეწერებოდა მეორე მსოფლიო ომის მოგება.

პარადოქსული იყო მოვლენა: დოკუმენტებით დადასტურებულ ფაქტს, რომ სტალინი უშუალოდ იყო შემოქმედი რეპრესიების და ასევე ის იყო ერის მთავარი ღირებულების–სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ორგანიზატორი, მაინც ქართველებისთვის მისი შეურაცხყოფა აღქმული იქნა, როგორც ეროვნული შეურაცხყოფა. იცავდნენ მის სახელს, იმის გამო რომ ქართველი იყო, რომელიც უდიდეს იმპერიას ედგა სათავეში.

ჩემი აზრით, მიზეზი, რის გამოც სტალინი ქართული ნაციონალიზმის შემადგენელ ნაწილად იქცა, იყო ის პოლიტიკა, რასაც სტალინი ატარებდა. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისთვის შეენარჩუნებინათ კულტურული ღირებულებები, რაც ახშობდა მათ პოლიტიკურ აქტიურობას და მოთხოვნილებებს, პარალელურად კი ხდებოდა სტალინის, როგორც დიადი ბელადის პროპაგანდა, რომელიც ზრუნავდა მათი ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაზე.

პრესაში სტატიების უმრავლესობა ეთმობა სტალინს, პარალელურად კი იბეჭდება სტატიები ქართველ მწერლებზე, პოეტებზე, მათ ბიოგრაფიებზე, შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის იუბილეებზე და ა.შ. ფილმები და სპექტაკლები იქმნება სტალინზე, მაგალითისთვის, მიხეილ ჭიაურელის ფილმები, რომელიც სტალინს მიეძღვნა,

პარალელურად კი სტალინის უშუალო მონაწილეობით იღებენ გიორგი სააკაძეს, ჯურღაის ფარს, რაც პატრიოტულ მოტივებზეა გადაღებული. ლიტერატურა, ძირითადად იქმნება სტალინზე, თუმცა პარალელურად იწერება ღირებული ნაწარმოებები და ყურადღება ექცევა ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, შოთა რუსთაველი და ა.შ. 1956 წლის 9 მარტის მონაწილეები იყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება 30–იან–40–იან წლებში მიიღეს და რომელთათვისაც მთავარი გასართობი იყო კინო, თეატრი. მათზე იმოქმედა იმ პროპაგანდამ, რაც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ქვეშ ტარდებოდა.

სკოლაში ისტორიის და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა სტალინზე ლექსებს, ნაწარმოებებს და ისტორიის სახელმძღვანელოში მთელი თავი ეთმობა სტალინს. თუმცა, პარალელურად მოსწავლეებს ასწავლიდნენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. ხდებოდა ფორმით ეროვნული სისტემის შექმნა, პარალელურად კი ხდებოდა სტალინის პროპაგანდა. უნდა მომხდარიყო კულტურული ფასეულობების შენარჩუნება, რათა ქართველებს არ გასჩენოდათ დამოუკიდებლობის მოთხოვნის სურვილი.

რაც შეეხება, ჩემს მეორე ჰიპოთეზას, მიზეზი, რის გამოც სტალინი გმირი გახდა ქართველებისთვის, ეს იყო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, როგორც პროპაგანდის ნაწილი. ომის შემდეგ კულტურის ნებისმიერ სფეროში ხდება სტალინის, როგორც ომის გმირის და გამარჯვებულის პროპაგანდა. ეს შეიმჩნეოდა ფილმებშიც, თეატრშიც, პრესაშიც, ლიტერატურაშიც–სტალინმა, რომელმაც მსოფლიოს მტერი დაამარცხა და უდიდესი გამარჯვება მოუტანა მსოფლიოს.

1956 წლის 9 მარტის მონაწილეების მოგონებებიდან, ინტერვიუდან ჩანს პროპაგანდის გავლენა და ირკვევა რომ სტალინის სახელის დაცვის და მისთვის სიცოცხლის გაწირვის მიზეზი, ეს იყო მათი მოსაზრება რომ სტალინი იცავდა მათ ეროვნულ ღირებულებებს იმდენად, რომ დამოუკიდებლობის სურვილი არც უჩნდებოდათ. მეორე მხრივ, სტალინი მათთვის იყო ქართველი, რომელმაც დიდი იმპერია შექმნა და რომელმაც მეორე მსოფლიო ომი მოიგო.

გამოყენებული ლიტერატურა:

წიგნები:

- ასათიანი, ლევან.1954. სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები. თბილისი: საბჭოთა მწერალი
- ბაბუნაშვილი, ზაური.1972. ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე. თბილისი: საბჭოთა საქართველო
- ბენდიანიშვილი, ალექსანდრე.2012. საქართველოს ისტორია, ტომი მე–4. თბილისი: პალიტრა L
- ბერია, ლავრენტი. 1936. ლენინურ–სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება. თბილისი: საქ. კ. პ. (ბ). ც. კ. პარტგამომცემლობა
- ბიბილეიშვილი, იური.2011. საქართველოსათვის, 1956 წლის 5–9 მარტის მოვლენების გახსენება. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- გვარიშვილი, ოსიკო. 1998. ავადმოსაგონარი 1937 წელი: დოკუმენტური მოთხრობები, წერილები, სტატიები, თარგმანები. ბათუმი: გამომცემლობა აჭარა
- დევისი, სარა, ჰარისი, ჯეიმს.2015. სტალინი–ძალაუფლება და იდეები. თბილისი: არტანუჯი
- ვაალი, თომას. 2013. სტალინის თავსატეხი. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდი https://ge.boell.org/sites/default/files/stalin_puzzle_176x250mm_corrected.pdf ნანახია: 20 მაისი, 2017
- ვასაძე, აკაკი.2012. შეხვედრა სტალინთან. თბილისი: არტანუჯი
- ვეფხვაძე, გივი. 2001. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ. თბილისი: მარჯი
- ზაქარიაძე, ნოდარ.1997. სტალინი და საქართველო. თბილისი:
- ზურაბიშვილი, თინათინი. 2006. თვისებრივი მეთოდი სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- იზორია, ლევან.2010. ქართველთა გოლგოთა. თბილისი: უნივერსალი
- კეკელიძე, პრ, ყიფშიძე, დ. 1947. მშობლიური ლიტერატურა, მე–7 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა

- კეკელიძე, პრ, ჟღენტი, ბ. 1953. მშობლიური ლიტერატურა, მე–8 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: საქართველო სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
- მაცაბერიძე, მალხაზ. 2014. ტოტალიტარიზმის კონცეფცია (ჰანა არენდტი). თბილისიhttp://www.politscience.info/filemanager/files/bakalavriati/skolebi%20da%20konc/Totalitarizm-Concefcia-2014.pdf ნანახია: 14 მაისი, 2017
- მგალობლიშვილი, მიხეილ. 2016. 1937: მოგონებები, წერილები ქართულ კინოზე, სტატიები. თბილისი: მაგმა
- მინცი, ი, კარევი, დ. 1963. სსრ კავშირის ისტორია, მე–8 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: ცოდნა
- მონტეფიორე, საიმონ სებაგ.2012. სტალინი: წითელი მეფის კარი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
- მჭედლიშვილი, მიხეილ. 2006. სტალინი: ხალხის საყვარელი ბელადი თუ უბოროტესი ჯალათი?!. თბილისი: მომავლიდან
- ნათაძე, ნოდარ. 1991. სისხლიანი პარასკევი, საქართველოს ისტორია–1956 წლის 9 მარტი. თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის მხატვრის სტამბა
- ნოზაძე, შოთა.1992. 1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი. თბილისი: მერანი
- პანკრატოვა, ა, ბაზილევიჩი, კ. 1948. სსრ კავშირის ისტორია: საშუალო კლასის მე–11 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
- სიუნი, რონალდ.2002. სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში. თბილისი: დედაენა
- სოლოვიოვი, ბორის, სუხოდეევი, ვლადიმერ.2002. უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი. თბილისი:
- სტალინი, იოსებ. 1951. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თბილისი: სახელგამი
- სტალინი, იოსებ.1954. ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. თბილისი: სახელგამი
- ტაკიძე, არჩილ.2013. იოსებ სტალინი. თბილისი: ივერიონი

- ტოროშელიძე, მალაქია. 1934. ქართული ლიტერატურა: მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წლის 20 აგვისტოს. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა
- ყორანაშვილი, გურამ.2006.სტალინი–შტრიხები პორტრეტისათვის. თბილისი: უნივერსალი
- შამანაძე, ნოდარ.1996. როგორ შემაყვარეს იოსებ სტალინი. თბილისი: დიადემა
- ჩარკვიანი, კანდიდ. 2015. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები. თბილისი: არტანუჯი
- წერეთელი, აკაკი.1994. 9 მარტის მონაწილის დღიურებიდან. თბილისი: ცოდნა
- ხარატიშვილი, კარლო. 2012.სტალინი და რეპრესიები. თბილისი
- ჯანელიძე, თამაზ. 2008. რაც მოგონებად აიკინძა: მოგონებები. თბილისი: აზრი
- Davies, Sarah. 2004. Stalin and the Making of the Leader Cult in the 1930s. 9editor) Apor, Balazs, Behrends, Jan. The Leader Cult in Communist Dictatorships (Stalin and the Eastern Bloc) 29-47, New York: Pargrave Macmillan
- Dome, Crystal. A timid flock: Investigating Propaganda Under Stalin. Evergreen State College https://jsis.washington.edu/ellisoncenter/wp-content/uploads/sites/13/2016/05/dome_REECASNW.pdf ნანახია: 10 აპრილი, 2017
- Ennker, Benno. 2004. The Stalin Cult, Bolshevik Rule and Kremlin Interaction in the 1930s. (editor) Apor, Balazs, Behrends, Jan. The Leader Cult in Communist Dictatorships (Stalin and the Eastern Bloc) 83-102 New York: Pargrave Macmillan
- Hobsbawm, Eric and Ranger, Terence. 2000. The Invention of Tradition. United Kingdom: Cambridge University Press http://psi424.cankaya.edu.tr/uploads/files/Hobsbawm_and_Ranger_eds_The_Invention_of_Tradition.pdf ნანახია: 10 მაისი, 2017
- Nove, Alec. 1992. Stalinism and after-the road to Gorbachev. University of Glasgow, London and New York:Routledge
- Pisch, Anita. 2014. The personality cult of Stalin in Soviet posters, 1929-1953: Archetypes, inventions and fabrications. A thesis for the degree of Doctor of Philosophy:

Australian National University, Australia https://openresearch-repository.anu.edu.au/bitstream/1885/12737/1/Pisch,%20A%20Thesis%202014.pdf ნანახია: 29 აპრილი, 2017

- Wood, Alan. 2005. Stalin and Stalinism. London and New York: Routledge

სტატიები:

- ადეიშვილი, შ. 1937. ვეფხისტყაოსნის ეკრანიზაციისთვის. კომუნისტი, 70, 3
- არველაძე, ბონდო. 2008. სასწორზე შეგდებული სიცოცხლე. საარქივო მოამბე, 2, 71–76
- აფხაძე, პ. 1936. საბჭოთა სკოლა ახალ ეტაპზე. კომუნისტი, 206, გვ. 2
- ბარამიძე, გრ. 1948. კარგი საბავშვო წიგნი. სახალხო განათლება, 1, გვ.4
- ბარბაქაძე, მერი. 2010. „საბჭოეთში აკრძალული მწერალი“, ლიდა რობაქიძის წერილი ლეონიდ ბრეჟნევს. საარქივო მოამბე, 2, 139–147
- ბარბაქაძე, მერი. 2010. შინსახკომის ზედამხედველის ჩვენება: როგორ შენდებოდა საბჭოთა ეპოქა. საარქივო მოამბე, 2, 148–156
- ბარბაქაძე, მერი. 2010. 1956 წლის 9 მარტი, გასაიდუმლოებული „შიფრტელეგრამები“. საარქივო მოამბე, 9, 127–143
- ბერია, ლავრენტი (უავტორო). 2010. ლავრენტი ბერია ქართველ მწერლებსა და ლიტერატურაზე. საარქივო მოამბე, 2, 73–78
- გასვიანი. ლ. 1936. ბრძოლა საბჭოთა წიგნისთვის. კომუნისტი, 103, გვ. 3
- გოგოძე, კ. 1948. ფილმი დიდი პოეტის ცხოვრებიდან. სახალხო განათლება, 1, გვ. 3
- გონჯილაშვილი, ნანა. 2010. გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია?. საარქივო მოამბე, 2, 5–31
- დარიაშვილი, ალ. 1948. სტუდენტები სწავლობენ დიდი ბელადის ბიოგრაფიას. სახალხო განათლება, 6, გვ.2
- თათარაშვილი, აკ. 1936. ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ქართულ ლიტერატურაში. კომუნისტი, 78, გვ. 3–4
- ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილე. 1936. კომუნისტი, 151, 3

- კაჭკაჭიშვილი, იაგო, ჩიტიშვილი, მარინა. 2009. დესოვეტიზაცია. სოლიდარობა, 3, 15–27
- კვეზერელი, ვანო. 2006. ვეტერანები მოვითხოვთ, რომ სანაპიროზე ძეგლი აღდგეს. საქართველოს რესპუბლიკა, 48, 5
- კლდიაშვილი, გიორგი, ავალიშვილი, ლევან. 2010. სანდრო ახმეტელის საქმე. საარქივო მოამბე, 9, 37–44
- კომუნისტი. 1936. სახელმწიფო ვოკალური კვარტეტი. 103, გვ. 4
- კომუნისტი. 1936. შოთა რუსთაველის საიუბილეო პორტრეტი. 186, გვ. 4
- კომუნისტი. 1936. ოპერის თეატრი ემზადება სეზონისთვის. 194, გვ. 4
- კომუნისტი. 1936. გაცოფებული ძაღლები უნდა დაიხვრიტონ. 196, გვ.1
- კომუნისტი. 1936. ზიზღი და რისხვა ხალხის მტრებს. 198, გვ. 2
- კომუნისტი. 1936. საბჭოთა თეატრის გამოჩენილი ოსტატები. 209, გვ. 1
- კორძაძე, გიორგი. 2013. ზაურ მაჭავარიანი: სიცრუეა, როდესაც ამბობენ, 1956 წლის 9 მარტი არსებული საბჭოთა სისტემის დამხობისკენ მიმართული მღელვარება იყოო. ისტორიული მემკვიდრეობა, 7(36), 20–26
- მარგიანი, რევაზ. 1946. დღეგრძელი სტალინი. პიონერი, 12, 1–2
- მაჩაბელი, ია. 1946. ალექსანდრე ჭავჭავაძე. პიონერი, 11, 23–24
- მჭედლიძე, ბ. 1948. ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა შესწავლა სკოლაში. სახალხო განათლება, 6, გვ.3
- ნაკაშიძე, ნინო. 1946. ჩემი კეთილი სურვილები. პიონერი, 1, 1–2
- ოჩიაური, ლელა. 2016. მიხეილ ჭიაურელის სტალინის ტრილოგია და ღმერთ(ებ)ის დაღუპვა. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, 2, 33–54
- რაჭველიშვილი, ქ. 1936. ილია ჭავჭავაძე. კომუნისტი, 212, გვ. 3
- სლეზკინი, იური.1994. საბჭოთა კავშირი როგორც კომუნალური ბინა. სლავური კვლევების ხელშეწყობის ამერიკული ასოციაცია
- სტალინური სითბო. 1936. კომუნისტი, 192, 4

- სტალინური სიები საქართველოდან. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=26&p=1 ნანახია: 15 მაისი, 2017
- სტურუა, გ. 1948. საბჭოთა საქართველოს 27 წელი. სახალხო განათლება, 9, გვ.1
- სუხატიშვილი, ანა. 1946. ილიას პირველი ნახვა. პიონერი, 12, 12–14
- ქიქოძე, არჩილ. 2009. ძეგლებით თამაში: პერსპექტივა. სოლიდარობა: სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა, 1, 40–44
- ღვინერია, თინათინ. 2010. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ჰიმნი. საარქივო მოამბე, 2, 173–177
- ყიფშიძე, ნინო. 2010. ვახტანგ გურული: 1925 წლისთვის საბჭოთა კავშირში სიკვდილით 250 000 ღვთისმსახური დასაჯეს. საარქივო მოამბე, 9, 63–68
- ჩელიაპოვი, ნ. 1936. სტალინური კონსტიტუცია. კომუნისტი, 153, 3
- ჩხეიძე, ვ. 1936. სტალინური ეპოქის ბრწყინვალე დოკუმენტი. კომუნისტი, 154, 3
- ჯანელიძე, თამაზ. 2009. 1956 წლის 9 მარტი: „რაც მოგონებებად აიკინძა“. საქართველოს რესპუბლიკა, 42, 7–10
- Anisimov, O. 1950.The Soviet system of education. Wiley-The Russian review: April, vol. 9, issue 2, 87-97 http://www.jstor.org/stable/125454 ნანახია: 13 აპრილი, 2017
- Blattacherjee, Anol. 2012. Social science research: principles, methods and practices. Florida: University of South Florida http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=oa_textbooks ნანახია: 13 მაისი, 2017
- Blauvelt, Timothy. 2009. Status shift and ethnic mobilization in the March 1956 events in Georgia. Taylor & Francis, Ltd, Europe-Asia studies: June, vol. 61, issue 4, 651-66 http://www.jstor.org/stable/27752275 ნანახია: 13 აპრილი, 2017
- Dorotich, Daniel. 1967. A turning point in the Soviet school: The seventeenth party congress and the teaching of history. History of education society: Autumn, vol. 7, issue 3, 295-311 http://www.jstor.org/stable/367174 ნანახია: 23 აპრილი, 2017

- Evans, Alfred. 1976. Trends in Soviet secondary school histories of the USSR. Taylor & Francis, Ltd, Soviet studies: April, vol. 28, issue 2, 224-243 http://www.jstor.org/stable/150830 ნანახია, 22 აპრილი, 2017
- Essays, UK. (November 2013). Stalin's Cult of Personality. Retrieved from https://www.ukessays.com/essays/history/stalins-cult-of-personality.php?cref=1 ნანახია: 7 აპრილი, 2017
- Hulicka, Karel. 1953. Political education in soviet schools. Taylor & Francis, Ltd, Soviet studies: October, vol. 5, issue 2, 138-150 http://www.jstor.org/stable/148734 ნანახია: 22 აპრილი, 2017
- Kenny, Julia. 2015. Stalin's cult of personality: its origins and progression. The university of York student history magazine. (September) https://theyorkhistorian.com/2015/09/18/stalins-cult-of-personality-its-origins-and-progression/ ნანახია: 7 აპრილი, 2017
- Liber, George. 2001. Adapting to the Stalinist order: Alexander Dovzhenko's psychological journey, 1933-1953. Taylor & Francis, Ltd, Soviet studies: November, vol. 53, issue 7, 1097-1116http://www.jstor.org/stable/826408?seq=1&cid=pdf-reference#references_tab_contents ნანახია: 28 აპრილი, 2017

ფილმები:

- დოლიძე, ს, რონდელი, დ. 1944. ჯურღაის ფარი. თბილისი: თბილისის კინოსტუდია https://www.youtube.com/watch?v=9zIwe4PmErc ნანახია: 15 მაისი, 2017
- სანიშვილი, ნიკოლოზ. 1949. ბედნიერი შეხვედრა. თბილისი: თბილისის კინოსტუდია https://www.youtube.com/watch?v=JCCr8Yp8avs ნანახია: 10 მაისი, 2017
- შენგელაია, ნიკოლოზ. 1937. ნარინჯის ველი. თბილისი: სს სახკინმრეწვი https://www.youtube.com/watch?v=4xofil48PEs ნანახია: 18 მაისი, 2017
- ჭიაურელი, მიხეილ.1937. არსენა. თბილისი: სს სახკინმრეწვი https://www.youtube.com/watch?v=rrWqtEzvDBA ნანახია: 30 მაისი, 2017

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Bendianishvili

Stalin and Georgian nationalism in the 1930s-50s

Nationalism and Ethnicity Studies

Master's thesis is done to obtain a Master's degree in Nationalism and Ethnicity Studies

Supervisor: Irakli Chkhaidze, assistant professor

Tbilisi

2017